საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

28 ივლისი **შაბათი** 2012 №177 (13 783) ფასი 80 თეთრი



## ლონდონი 2012

# პირველი ქართული ესებუამ გაისროლა: ათიანში!

## ათიანები დაგვბედებოდეს!







3

## ჯანომ სპარტაკთან გააგრძელა

## შავი ზესტაფონი

### ჩემპიონი უმაღლეს ლიგაში ვეღარ ითამაშებს?


2

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ექსკლუზივი


ვალერი გაზაევი

# ვალერი გაზაევი: ვანაძის სანახავად ჩამოვედი

გორის "დილასა" და დანიური "ორჰუსის" შეხვედრას ბევრი უცხოელი სპეციალისტი დაესწრო. ერთი მათგანი ჩვენთვის კარგად ნაცნობი **ვალერი გაზაევი** გახლდათ, რომლის ხელმძღვანელობითაც 2005 წელს მოსკოვის ცსკა უეფას თასის მფლობელი გახდა. მის გვერდით 1995 წლის რუსეთის ჩემპიონად აღზევებული "ალანიას" ბევრი ცნობილი წევრი იყო – **ვოვა გუცაევი, ომარ თეთრაძე, მურთაზ შელია.**

გაზაევი ადრე თბილისის ხშირი სტუმარი გახლდათ, ნახევარი წელი თბილისის "დინამოშიც" ითამაშა, "ალანიაში" მუშაობის დროს კი ვლადიკავკაზური კლუბი ლამის საქართველოს ნაკრების საბაზო კლუბად აქცია.

თუმცა, მოსკოვის ცსკა რომ ჩაიბარა, თანამშრომლობა შეწყდა და მხოლოდ 2011 წელს განაახლა, როდესაც ვლადიკავკაზის "ალანიას" პრეზიდენტის რანგში დაბრუნდა.

თბილისში ბოლოს 2003 წლის 30 აპრილს გვესტუმრა, როდესაც საქართველოს ნაკრებმა რუსეთის გუნდი 1:0 დაამარცხა.

ვალერი გეორგიევიჩს "დილა"-"ორჰუსის" შეხვედრის დასრულებისთანავე გავესაუბრეთ, რადგან შევიტყვეთ, რომ საგანგებოდ **მათე ვაწაძეზე** დასაკვირვებლად ჩამოვიდა.

მათე მატჩის გმირი გახდა – "ორჰუსს" დუბლი შეუსრულა, ჯამში კი, დანიელთა კარში გატანილი 4 გოლიდან 3 მიითვალა და წესით, გაზაევზე ურიგო შთაბეჭდილება არ უნდა დაეტოვებინა. მაგრამ აჯობებს, "ალანიას" პრეზიდენტის კომენტარს თავად გაეცნოთ.

**- თბილისში შემთხვევით არ გვესტუმრებოდით.**

- რა თქმა უნდა. მიხარია, დიდი ხნის შემდეგ თბილისში რომ ჩამოვედი, აქ უამრავი მეგობარი მყავს. თანაც, შეხვედრის ნახვაც მსურდა. დასამალიც არაფერია, ერთ მოთამაშეს ვაკვირდებოდი. მაინტერესებდა, რა დონის ფეხბურთელია, რეალურად შეუძლია თუ არა "ალანიას" გაძლიერება.

**- ვიცით, რომ მათე ვაწაძეს აკვირდებოდით.**

- ნუ, ვაკვირდებოდი... გილოცავთ გამარჯვებას.

**- როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- როგორი? დუბლი შეასრულა.

**- ანუ, მისი ტრანსფერი რეალურია?**

- ჯერ ვერაფერს გეტყვით.

**- იყო ლაპარაკი ლაშა სალუქვაძისა და გოჩა ხოჯავას გადასვლაზეც.**

- სხვას ვერაფერს მოგახსენებთ.

■ ■ ■

"ალანიაში" შესაძლო ტრანსფერზე კომენტარი მათე ვაწაძესაც ჩამოვართვით.

**- მათე, "ალანიაში" გადასვლა გადაწყვეტილია?**

- არ ვიტყვი, რომ არაფერი მსმენია, რალაც ლაპარაკი არის, მაგრამ პირადად მე არავინ დამლაპარაკებია.

**- ისიც გვითხრეს, რომ ერთ-ერთ რესტორანში გაზაევს მოსალაპარაკებლად უნდა შეხვდეთ.**

- დიახ, მოლაპარაკება იქნება, მაგრამ მას ჩემი მენეჯერი მამუკა ჯულელი დაესწრება.

**- ყველაზე მეტად ის გვაინტერესებს, "ანორთოსისთან" ითამაშებ თუ მანამდე წახვალ?**

- შემდეგ ეტაპზე აუცილებლად "დილაში" ვითამაშებ.

**მერაბ მამულაშვილი**

დილა-ანორთოსისი. მატჩის წინ

# დავით კვირკველია: სიფრთხილე გვჭირდება

## თომაშვილი დაშავდა, ონიანი იმედიანად არის

ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გორის "დილას" ჩვენთვის კარგად ნაცნობი კვიპროსული "ანორთოსისი" შეხვდება. ეს ის გუნდია, სადაც გორის "დილაში" ჩარიცხვამდე **დავით კვირკველია** თამაშობდა.

*"მიმაჩნია, რომ ჩემი ყოფილი გუნდი „ორჰუსზე" არანაკლებ ძლიერია. „ანორთოსისში" ნახევარი სეზონი ვითამაშე და საკმაოდ კარგად ვიცი მისი შესაძლებლობები. "ანორთოსისი" შეტევაში საკმაოდ კარგად თამაშობს, 3-4 ინდივიდუალური ძლიერი მოთამაშე ჰყავთ და ისეთი გუნდია, შეცდომას რომ არ გაპატიებს. ამიტომ, შემდეგ ეტაპზე გასასვლელად სერიოზული მობილიზება დაგვჭირდება"*, – ამბობს კვირკველია.

ცნობილია, რომ საბერძნეთი და კვიპროსი ეკონომიკურმა კრიზისმა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ცხადია, კრიზისს თავი ვერც საფეხბურთო კლუბებმა დააღწიეს. ხომ არ აისახა ეს "ანორთოსისზე"?

*"ვერ ვიტყვი, რომ ფინანსურად ბერძნული კლუბებივით გაუჭირდათ. დავალიანება ჰქონდათ, მაგრამ ეს ჩვეული ამბავია, მთავარია, რომ ფეხბურთელებს ხელფას-პრემიებს დროულად უხდიან და გუნდი არეული ნამდვილად არ არის".*

აქვე გეტყვით, რომ "ანორთოსისში" **თემურ ქეცბაიას** მწვრთნელობის პერიოდში თამაშობდა გორელთა კიდევ ერთი ფეხბურთელი **გოჩა ხოჯავა**, მაგრამ საეჭვოა, 27 წლის პლეიმეიკერმა ევროპის ლიგის მატჩში ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ითამაშოს – მენისკის ოპერაციის შემდეგ, გოჩა რეაბილიტაციას გადის.

■ ■ ■

რა იცის მეტოქეზე "დილას" თავდამსხმელმა **მათე ვაწაძემ?**

*"მათზე მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა მაქვს, "ანორთოსისი" ძალიან კარგად დაკომპლექტებული კლუბია და ჩემი აზრით, "ორჰუსზე" ძლიერიც უნდა იყოს. მაგრამ კვიპროსული ბარიერის გადალახვა შეუძლებელი ნამდვილად არ არის. მთავარია, მოვინდომოთ და კონცენტრირებულები ვიყოთ"*, – ამბობს ვაწაძე.

დანიური შემადგენლობიდან "დილას" მთავარმა მწვრთნელმა **თემურ შალამბერიძემ** ცენტრალური მცველი **გულვერდ თომაშვილი** შეცვალა, რომელიც განმეორებით შეხვედრაში განაცხადშიც არ იყო. ბუნებრივია, ეს საკმაოდ უცნაურად ჩანდა.

შევიტყვეთ, რომ თომაშვილი ტრავმირებულია და შესაძლოა, შემდეგი შეხვედრაც ვერ ითამაშოს. თუმცა, გორელებს მისი შემცვლელის მოძებნა არ გასჭირვებიათ და "ზესტაფონიდან" დამატებული **გიორგი ონიანი** ჩართეს საქმეში, რომელმაც მეორე საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა.

გიორგი ამბობს, რომ "ანორთოსისთან" განმეორებითი შეხვედრის შეცდომა არ უნდა დაუშვან: *"დანიელებს პირველ ტაიმში ძალიან უკნიდან ვეთამაშეთ და საჯარიმოსთან ძალიან ახლოს ვუშვებდით. ეს ჩვენი შეცდომა იყო. მეორე ტაიმში დანიელებს აქტიური პრესინგით ვეთამაშეთ და ზონები შევუზღუდეთ. ასე მეტოქეს რიგებში შეცდომის დაშვების ალბათობა იზრდება. ასეც მოხდა და ვფიქრობ, მეორე ტაიმში გამარჯვება დავიმსახურეთ. იმედია, "ანორთოსისთანაც" ასე მოხდება და პლეი ოფში ვითამაშებთ".*

**მერაბ მამულაშვილი**

დილა-ორჰუსი. ნამატჩევს

# დავით დევდარიანი: დილა კარგი გუნდი ყოფილა

ქართული კლუბებისა და ჩვენი ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ ჩვენი ფეხბურთის ბევრ აღზრდილს უთამაშია – საბერძნეთის პაოკ რომ გვესტუმრა, "ლოკომოტივის" წინააღმდეგ **ომარ თეთრაძემ** ითამაშა, საბერძნეთის ნაკრებს მისივე ბავშვობის სამშობლოში **ანდრო ნინიადისი** ჩამოჰყვა, აზერბაიჯანულ კლუბებს – **გიორგი ჭინჭარაული** და **ალეკო გოგობერიშვილი.**

ფეხბურთში ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, მაგრამ დანიური "ორჰუსი" ამ კუთხით ერთგვარად რეკორდსმენია, რადგან მის განაცხადში ორი ქართველი იყო – "დილასთან" **დავით დევდარიანმა** ითამაშა, **დავით სხირტლაძე** კი მწვრთნელმა სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

"ორჰუსის" 24 წლის ქართველ პლეიმეიკერს, დავით დევდარიანს მატჩზე, გორის "დილასა" და დანიელების იმედგაცრუებაზე ველაპარაკეთ.

**- შენი აზრით, "დილასთან" ამ ორმატჩიან დაპირისპირებაში რა შეცდომა დაუშვით?**

- ძნელი სათქმელია, თითქოს, სერიოზულადაც ვემზადებოდით, მაგრამ საბოლოოდ, "დილამ" დამსახურებულად გვაჯობა. არადა, აქ პირველი ტაიმი ჩვენი უპირატესობით მიმდინარეობდა, მომენტებიც შევქმენით და დავწინაურდით. სამწუხაროდ, მეორე ტაიმში ორგანიზებულობა გვაკლდა და ამიტომაც დავმარცხდით.

წაგება ყოველთვის არასასიამოვნოა, მაგრამ ის მაინც მახარებს, რომ ქართულმა გუნდმა გამოგვაგდო - გორის "დილას" წარმატება მინდა ვუსურვო.

**- საკუთარი ქვეყნის გუნდის წინააღმდეგ თამაში გარკვეულ დისკომფორტს არ გიქმნიდა?**

- არა, რატომ, ფეხბურთში ეს ჩვეულებრივი ამბავია, პირიქით, გამიხარდა, საქართველოში რომ უნდა ჩამოვსულიყავი.

**- მეორე ტაიმში სიცხემ უფრო იმოქმედა, თუ გორელთა აქტიურმა თამაშმა?**

- ასეთ სიცხეს დანიელები შეუჩვევლები არიან და ეს წაგების ერთ-ერთი ფაქტორი იყო, მაგრამ არა მგონია, ასეთ ამინდში თამაში ქართველებს გვიყვარდეს. გორელები აზრიანად და მწვავედ გვიტევდნენ. რა თქმა უნდა, ფეხბურთელებს ვიცნობდი, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა, როგორც გუნდი რას წარმოადგენდა. "დილამ" საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მიხარია, საქართველოში ასეთი ძლიერი კლუბი რომ ჩამოყალიბდა.

**- დანიაში შეხვედრაზე ჩამოსული ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია თუ გელაპარაკა?**

- ჩამოსული იყო, მაგრამ არ გვისაუბრია.

**მერაბ მამულაშვილი**

თითქმის დაუჯერებელი ამბავი

# კოკაია: 60 000 არ მაქვს

## ფედერაცია: ზესტაფონის ნაცვლად უმაღლესში გურია ითამაშებს

## ...თუმცა დღის ბოლოს ვითარება დალაგებისკენ წავიდა

**უცნაური ამბავი: საფეხბურთო კლუბმა "ზესტაფონმა" ოფიციალურად აცნობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომ ეროვნული ჩემპიონატის საწევროს გადახდა არ შეუძლია.**

**ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია "ზესტაფონის" პრეზიდენტის, ილია კოკაიას წერილი, სადაც შავით თეთრზე წერია ასეთი რამ:**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ ზვიად სიჭინავას

ბატონო ზვიად,

თქვენს მიერ 2012 წლის 16 ივლის გამოგზავნილი N03/620 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მოცემულ ეტაპზე შპს საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი" გადახდის უუნაროა. მისი პასივები აღემატება კლუბის შემოსავლებს, შესაბამისად მოკლებული ვართ შესაძლებლობას გადავიხადოთ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საწევრო გადასახადი, რომელიც შეადგენს 60 ათასი (60 000) ლარს.

პატივისცემით, ს-კ „ზესტაფონის" პრეზიდენტი ილია კოკაია

რამდენიმე დღის წინ ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა ჩატარდა, რომელმაც დაამტკიცა ეროვნული ჩემპიონატის დებულება და მათ შორის ის პუნქტიც, სადაც საწევროს გადახდაზეა მითითებული. ჩვენთვის ცნობილია, რომ საწევროს ოდენობაზე ფედერაციის ხელმძღვანელობას კონსულტაციები ჰქონდა უმაღლესი ლიგის კლუბებთან და ბუნებრივია, მათგან მწვავე რეაქცია რომ ყოფილიყო, ფედერაცია ასე ხელაღებით ვერ დაუწესებდა კლუბებს 60 ათასი ლარის გადახდას.

მაშ, რაშია საქმე? რა თქმა უნდა, ფინანსური სირთულეებისგან დაზღვეული არავინაა, მით უმეტეს საფეხბურთო კლუბი, რომელსაც საქართველოს ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში მონაწილეობით ხარჯების დაფარვა ჯერ არ შეუძლია.

"ზესტაფონი" ბოლო ორ წელიწადში ზედიზედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. ცხადია, ასეთ მაღალ დონეზე გუნდის შენახვა მნიშვნელოვან ხარჯებთანაა დაკავშირებული. ისიც ფაქტია, რომ "ზესტაფონს" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში გასვლის ამბიცია ჰქონდა და გაუგებარი რჩება, ასეთ კლუბს 60 ათასი ლარის დეფიციტი როგორ აღმოაჩნდა. შესაძლოა, კლუბი უკუგებას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოხვედრით ელოდა, მაგრამ ეს ხომ გარანტირებული არავის აქვს, მით უმეტეს, არ ჰქონდა ამ "ზესტაფონს", რომელიც გაძლიერების ნაცვლად საამსეზონოდ დასუსტებულია – ფეხბურთელთა კონტინგენტს ვგულისხმობ, **გიორგი ონიანის** და **შოთა გრიგალაშვილის** ვერშენარჩუნებას "ზესტაფონმა" ალტერნატივა ვერ მოუძებნა.

სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას არ ვაპირებთ, თუმცა ამ ეტაპზე 60 ათასი ლარის შოვა ევროსარბიელზე მოთამაშე კლუბისთვის პრობლემა არ უნდა იყოს. უეფა სოლიდარობის ფონდიდან თავისი წევრი ქვეყნის ჩემპიონს 200 000 ევროთი ასაჩუქრებს, ამას ემატება ჩემპიონთა ლიგის თითოეულ ეტაპზე მონაწილეობისთვის 110 000 ევრო. მარტივი არითმეტიკაა – "ზესტაფონს" წლეულს უეფადან 310 000 ევრო აქვს მისაღები. უეფა ამ თანხებს შემოდგომაზე უნაწილებს იმ კლუბებს, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე რომ ვერ მოხვდებიან. შესაბამისად, "ზესტაფონს" შეეძლო რომელიმე ბანკიდან 60 000 ლარის კრედიტის აღება ისეთი მყარი გარაანტიით, როგორიც უეფას მაღალი რეპუტაციაა.

ისეც მომხდარა, რომ ქართულ კლუბს ფეხბურთის ფედერაციისთვის ოფიციალურად უთხოვია, ახლა არ მაქვს სამონაწილეო თანხა და შემოდგომაზე უეფას სოლიდარობის ფონდიდან რომ მივიღებ ფულს, იქიდან გამომიქვითეო. მოკლედ, რეალურად არსებობდა იმის მექანიზმი, რომ "ზესტაფონს" როგორმე ეშოვა 60 000 ლარი.

ახლა საკითხავი ისღა რჩება, რა პოზიციას დაიკავებს ფეხბურთის ფედერაცია. ამ ორგანიზაციის პრესსამსახურის უფროსმა **გიგა გობეჯიშვილმა** გვითხრა, რომ ფედერაციის პოზიცია მყარი და უცვლელია, "ზესტაფონს" 1 გვისტომდე აქვს ვადა, რათა 60 000 ლარი გადაიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გუნდი უმაღლესი ლიგიდან მოიხსნება.

ფედერაციაში ისიც გვითხრეს, რომ თადარიგი უკვე დაჭერილი აქვთ – თუ "ზესტაფონი" 3 აგვისტომდე მაინც არ გადაიხდის 60 000 ლარს, მის ნაცვლად უმაღლეს ლიგაში ლანჩხუთის "გურია" ითამაშებს, ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** უკვე უსაუბრია ამის თაობაზე "გურიას" ხელმძღვანელობასთან.

**დავით თავართქილაძე**

### ყოფნა-არყოფნის თემა გაზვიადებულია

შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით "ლელომ" კომენტარი "ზესტაფონის" პრესსამსახურის უფროს **სერგო ფუტკარაძეს** სთხოვა.

*"წერილში კონკრეტულ დროის მონაკვეთზე იყო საუბარი, რომ კლუბი ვერ ახერხებდა ამ თანხის გადახდას. იმის მაგივრად, რომ ყველაფერი დიპლომატიურად მოგვარებულიყო და ფედერაციიდან ვინმეს ეკითხა, რატომ ვერ ახერხებდა კლუბი გადახდას, წერილი მსწრაფლ გამოაქვეყნეს. ვილაცა კლუბის დაშლის პერსპექტივამ მოხიბლა და საზოგადოებას შესთავაზა, რითაც ძალზედ კმაყოფილი დარჩა კიდეც. უსიამოვნო ეჭვებს ბადებს ასეთი დამოკიდებულება. მინდა ყველას ვაცნობო, რომ კლუბის არსებობა-არარსებობის საკითხი დღის წესრიგში არ დგას"*, - გვითხრა ფუტკარაძემ.

**მაგდა კლდიაშვილი**

# 1000 კვირის წვრილმანი

დავით თავართქილაძე

## ინტელიგენტი ორჰუსიდან

ევროსარბიელს აგვისტოსთვის ოდენ ერთი ქართული გუნდი შემორჩა, რომელსაც მანამდე მხოლოდ ინტერტოტოს თასზე უთამაშია – პატარა გორის "დილა" უკვე დიდ საქმეს შეეჭიდა.

"დილამ" უკან მოიტოვა მასზე სახელიანი ქართული კლუბები, საქმე ნულიდან არ დაიწყო, მყის ძვირიანი ფეხბურთელებით დააკომპლექტა გუნდი და შედეგიც მიიღო.

გორელებს ახლა ფამაგუსტას "ანორთოსისი" ჰყავთ დასამარცხებელი, ეს ის კლუბია, საიდანაც შეიქმნა სახელი და დიდება მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ**. ოთხი წლის წინ მწვრთნელმა ქეცბაიამ "ანართოსისი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში გაიყვანა. ქეცბაია იქ მანამდე ფეხბურთსაც თამაშობდა და 14-ნომრიანი მაისურა ქეცბაიას მერე ალარავის ჩაუცვამს ფამაგუსტურ გუნდში.

ამ "დილასთვის" შეუძლებელი სულაც არ უნდა იყოს კვიპროსელთა დამარცხება. თუ "ანართოსისის" შემადგენლობას გადავხედავთ, ძნელი არ იქნება იმის განჭვრეტა, რომ "დილას" კბილა გუნდია.

სხვათა გარდა "დილას" **მათე ვანაძეც** ჰყავს. ქართულ მედიას მისთვის მეტაფორები ადრეც არ დაუშურებია, ყისმათი აკლია, მეტს რომ მიაღწიოს, ან იქნებ უფრო ეგოისტი და ქედმაღალი უნდა იყოს მოედანზე. არის ნიჭი და არ არის ის რაღაც, რითაც უნდა აფეთქდეს ფეხბურთელი. დევდარიანის პოზიციაზე ასეთი ინტელიგენტი ფეხბურთელი საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატებში ვგონებ არავინაა. შესაძლოა, დევდარიანს მეტი საერთაშორისო გამოცდილება სჭირდება, ნაკრებში თამაშმა უფრო რომ გაათამამოს. ასეთი ტიპის ფეხბურთელისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ იქნება მისი მწვრთნელი კლუბში ან იმ ნაკრებში, სადაც მოუწევს თამაში.

დევდარიანი მოედნიდან გავიდა თუ არა, "ორჰუსი" ბრინჯივით დაიბნა. ამ ფეხბურთელს ლიდერობაც შეუძლია, ოლონდაც ჯერ კარგად არ ვიცი, რამდენად მედეგია ის ასეთი ტვირთისთვის. დევდარიანი საქართველოს ნაკრებში – საინტერესო თემა უნდა იყოს. ეჭვიც არ მეპარება, რომ ქეცბაიასთვის ეს ფეხბურთელი უმნიშვნელო არ არის. ყველაზე კარგად ხომ ნაკრების მწვრთნელი გრძნობს, რა ტიპის ფეხბურთელი აკლია მის გუნდს. დევდარიანი 24 წლისაა, დრო კიდევ აქვს...


დავით დევდარიანი

მეტოქის საჯარიმოში ის მართლაც "მატადორია", ერთი ბასრი მოქმედებით კლავს მოწინააღმდეგის იმედებსა და ჟინს. ვანაძეს **პიპო ინძაგისაც** ადარებენ და ამ შემთხვევაშიც ვერ ვიტყვით, შედარება უადგილო არისო. ვანაძე ფორვარდია და თქმა რად უნდა, სხვაზე მეტად რომ ფასობს.

ის უკვე იყო რუსეთში და მისით ხელმეორედაც დაინტერესდნენ ჩრდილოელი მეზობლები, ოლონდაც გვემეტება კი ვანაძე რუსეთისთვის? არ ვიცი, რუსეთში არწასვლა იქნებ უკვე მოძველებული და არასწორი შეხედულებაა, მაგრამ რუსეთი მაინც რუსეთია, ევროპა კი სულ სხვა არის. ზოგადად, გორის "დილადან" არ უნდა იყოს ადვილი ევროპული ტრანსფერის გაჩარხვა, მაგრამ თუ გორელებმა "ანართოსისიც" გაიარეს, მასშტაბებიც გაიზრდება.

"დილა"-"ორჰუსის" შეხვედრაში იქითა გუნდის ქართველიც მოგეწონებოდათ. **დავით დევდარიანი** რალაცნაირად, დახვეწილად თამაშობს ფეხბურთს. ელეგანტურობით **დავით ყიფიანსაც** კი შევადარებდი. დევდარიანს თითქოს

"ზესტაფონმა" პირველი ოცი წუთი ჩინებულად ითამაშა "ნეფთჩისთან", მაგრამ ისიც კარგად გამოჩნდა, რომ ევროტურნირზე სერიოზული წარმატებისთვის ეს გუნდი ჯერ მზად არ არის. ყველაფერი აქაც ფულთან მიდის. საქართველოში ბევრი არ არის ისეთი მდიდადრი ადამიანი, წლობით მილიონებს რომ დახარჯავს ფეხბურთში და ვინც არის, იმათ ხელშეწყობა სჭირდებათ. "ზესტაფონის" პრეზიდენტის, **ილია კოკაიას** ზოგი გადაწყვეტილება და მოქმედება შეიძლება საკამათო იყოს, მაგრამ ქართული ფეხბურთისთვის ის უკვე მნიშვნელოვანი ადამიანია. ფული იოლად არ იშოვება, მით უმეტეს იქ, სადაც ბაზარი პატარაა. "ზესტაფონის" პოლიტიკა უფრო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში გასვლაზეა ორიენტირებული, ვიდრე ფეხბუთელების ექსპორტზე – ასეთი შთაბეჭდილება მრჩება და ვფიქრობ, ეს უფრო ძვირიანი პროექტია. "ნეფთჩისთან" შეხლაც კარგი გაკვეთილი იქნება მიზანმიმართული პოლიტიკის განსახორციელებლად.

ევროპის ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. მეტოქე

# კვიპროსელები ვანაძეს უფრთხიან და ექსტრაკლასის თავდამსხმელს უწოდებენ

### ანორთოსისის მეორე მწვრთნელი დილას მატჩს დაესწრო


კადრი ანორთოსისი-გაგრას შარშანდელი მატჩიდან

გორის "დილამ" ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით დაძლია და მესამე რაუნდში კვიპროსულ "ანორთოსის" დაუპირისპირდება, რომელმაც ესტონურ "ლევადიას" დამაჯერებლად აჯობა.

შარშან "ანორთოსისმა" საქართველოს თასის მფლობელი "გაგრა" გამოთიშა ევროსარბიელს. ამის შემდეგ ამ კლუბებს შორის მეგობრული დამოკიდებულება ჩამოყალიბდა, სწორედ ამიტომ, მომავალი მეტოქის მატჩზე დასწრება და მასპინძლობა კვიპროსელებმა "გაგრას" სთხოვეს.

"გაგრას" პრესსამსახურის ხელმძღვანელმა და იურისტმა **მიხეილ აფხაზავამ** საქმის კურსში "დილას" ხელმძღვანელობაც ჩააყენა და "ლელოსაც" დეტალურად მოუყვა, თუ ვინ მოეწონა მომავალი მეტოქის მეორე მწვრთნელს "დილას" რიგებიდან ყველაზე მეტად.

*"კვიპროსიდან მეორე მწვრთნელი ჩამოვიდა და თამაშს დაესწრო.* ***სიმუს კარაპულილისი*** *"ანორთოსისში" ივნისში დაინიშნა, ის უშუალოდ მთავარი მწვრთნელის,* ***აარონ ლევის*** *დავალებით ჩამოვიდა. ვესაუბრე მას და პირდაპირ თქვა, რომ გორის "დილა" მათთვის არასასურველი მეტოქე იქნებოდა, ვინაიდან ის გაცილებით ძლიერი გუნდია, ვიდრე "ორჰუსი".*

როგორც აფხაზავა ამბობს, კვიპროსელმა მწვრთნელმა რამდენიმე ფეხბურთელი ჩაინიშნა, მატჩამდე კი მათაც ჰკითხა, თუ ვინ იყო "დილაში" ყველაზე ძლიერი ფეხბურთელი.

*"ჩვენ ვანაძეზე მივანიშნეთ, რომ ის კარგი ფეხბურთელი იყო, შემდეგ თავადაც თქვა, რომ ვანაძე არის ექსტრაკლასის ფორვარდი და გუნდში საუკეთესო ფეხბურთელიც. ასევე მოეწონა კვირკველიას თამაში, მან საგოლე გადაცემაც გააკეთა. კვირკველია თამაშობდა მათ გუნდში და აკვირდებოდნენ. სხვათა შორის, ერთი შეცვლა გამოიცნო, როდესაც ბეჭვაია გამოვიდა მოედანზე. მან თქვა, თუ შემდეგ ეტაპზე გასვლა უნდა "დილას", საყრდენი ნახევარმცველი უნდა შეცვალოსო".*

კვიპროსელებს პირველი თამაშიდან გამომდინარე, მოსწონთ **კახა ალადაშვილიც** და ამბობენ, რომ სახიფათოა. როგორც კარაპულილისს უთქვამს, გუნდმა ორი სხვადასხვა ტაიმი ითამაშა.

*"პირველი ტაიმის შემდეგ, კვიპროსელ სპეციალისტს სახე შეეცვალა, შეცბუნებული იყო, ხომ არ მიმალავთ თამაშსო. ვინაიდან პირველი და მეორე ტაიმები განსხვავებული იყო. მეორე ტაიმში კარაპულილისმა დაინახა გუნდის პოტენციალი და იცის, რომ ძალიან გაუჭირდებათ. მან მოიკითხა გოჩა ხოჯავა, რომელიც თამაშობდა წლების წინ "ანორთოსისში" და იცის, რომ სახიფათო ფეხბურთელია, ასევე გამოყო გოგიტა გოგუას თამაშიც".*

აფხაზავამ შარშანდელი თამაშიც გაიხსენა და რამდენიმე ფეხბურთელი გამოარჩია, რომელსაც უნდა უფრთხილდნენ გორელები.

*"ანორთოსისს" ჰყავს ლაბორდე, რომელმაც ავსტრიულ შეკრებაზე კიევის "დინამოს" ორი გოლი გაუტანა, ის მატჩი კვიპროსელებმა 3:1 მოიგეს, უკრაინელებმა კი მეორე დღესვე შეთავაზება გაუკეთეს ფეხბურთელს და მზად იყვნენ, მასში მილიონი ევრო გადაეხადათ, თუმცა ლევიმ ეს შეთავაზება არ მიიღო, მისი მიზანი ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა და ჩემპიონობაა, ამიტომ ლაბორდე სჭირდება გუნდში. ლაბორდემ "გაგრასაც" გაუტანა შარშან და იმ ფეხბურთელების კატეგორიას ეკუთვნის, მარტოს რომ შეუძლია თამაშის მოგება".*

კიდევ ერთი გარემო, რაზეც აუცილებლად უნდა იქნას ყურადღება გამახვილებული, კლიმატია. კვიპროსში ძალიან ცხელა და იქაური ფეხბურთელები მიჩვეულები არიან მაღალ ტემპერატურაზე თამაშს. როგორც კვიპროსელმა სპეციალისტმა აღნიშნა, 6 საათზე თამაში იდეალური იქნებოდა მათი გუნდისთვის, ამიტომ "დილამ" ეს გარემოება აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

"ანორთოსისის" საშინაო არენა ყოველთვის ივსება. როგორც კვიპროსელმა სპეციალისტმა თქვა, "დილასთან" სრულ ანშლაგს ელოდებიან. ლარნაკაში, თამაშის წინ, როდესაც გუნდები გადიან მოედნიდან, თამაშის დაწყებამდე ყოველთვის ირწყვება სტადიონი. როგორც აფხაზავა ამბობს, გორელებს, დაინტერესების შემთხვევაში, მათი მთავარი მწვრთნელი **ზვიად ჯელაძე** დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის და თამაშის დისკსაც გადასცემს.

"ანორთოსისი", როგორც წესი, ტაქტიკას მეტოქეზე დაყრდნობით აწყობს. მისი დამახასიათებელი ნიშანი, ბურთის კონტროლი, ფლანგებიდან შეტევა და პრესინგია, ამიტომ უპირატესობის მოპოვება "დილამ" პირველივე შეხვედრაში უნდა შეძლოს და ბურთიც დაიჭიროს.

აფხაზავას თქმით, სავარაუდოდ, კვიპროსელები სასტუმრო "ბომონდ გარდენში" დაიდებენ ბინას, საქართველოში კი 31 ივლისს ჩამოფრინდებიან ჩარტერული რეისით. გუნდი სალამოს გამოფრინდება თბილისში, მანამდე დილით კი ლარნაკაში გამართავს ვარჯიშს. საქართველოში კვიპროსიდან 150-კაციანი დელეგაცია ჩამოვა - ფეხბურთელები, მწვრთნელთა შტაბი და ხელმძღვანელობა. მობილიზებულია გულშემატკივარიც. "ანორთოსისს" საქართველოში დაახლოებით 60-70 ქომაგი ჩამოჰყვება.

ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს, "ანორთოსისის" წინააღმდეგ "დილა" 2 აგვისტოს თბილისში გამართავს, განმეორებითი მატჩი კი ლარნაკაში 9 აგვისტოს შედგება.

**მაგდა კლდიაშვილი**

ზესტაფონი

# საჯაია წავიდა, ვინ იქნება შემდეგი?

"ზესტაფონში" ყველაფერი რომ რიგზე ვერაა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის გაგზავნილ წერილშიც კარგად ჩანს. კლუბი უკვე შეელია **ედიკ საჯაიას**, რომელიც კარიერას საჩხერის "ჩიხურაში" გააგრძელებს. როგორც ფეხბურთელმა განაცხადა, საჩხერულ კლუბში დეკემბრის ბოლომდე დარჩება.


ედიკ საჯაია (მარცხნივ) და ზურაბ მენთეშაშვილი

რაც შეეხება **ზურაბ მენთეშაშვილს**, გავრცელებული ინფორმაციით, მას კლუბმა ნახევარ ხელფასზე თამაში შესთავაზა. "ლელო" მენთეშაშვილსაც ესაუბრა, რომელმაც განაცხადა, რომ კლუბში რჩება და პირობების განახევრებაზე საუბარი მასთან არ ყოფილა.

**მაგდა კლდიაშვილი**

ლეგიონერი


ჯანო ანანიძე

# სპარტაკმა ჯანოს გაუხანგრძლივა

რუსული საინფორმაციო წყაროების ცნობით, **ჯანო ანანიძემ** მოსკოვის "სპარტაკთან" კონტრაქტი გაახანგრძლივა. ამით კი წერტილი დაესვა იმ ვარაუდებს, რომელთა მიხედვითაც ქართველ ნახევარმცველს შეიძლებოდა, რუსული კლუბი დაეტოვებინა.

ახლა ისლა დაგვრჩენია, იმედი დავიტოვოთ, რომ "სპარტაკის" ახალი მთავარი მწვრთნელი, ესპანელი **უნაი ემერი** ჯანოს კარგი თვალით შეხედავს და მას საკმარის სათამაშო პრაქტიკას მისცემს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● დილა

# გორში ტრიბუნა ისევ აამაღლეს

გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის არენაზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარე წლის ზამთრიდან მიმდინარეობს. გორის "დილას" ხელმძღვანელებმა იქ თავდაპირველად მოედნის მწვანე საფარი შეცვალეს, შემდეგ კი სტადიონის დასავლეთი ტრიბუნის დემონტაჟი მოახდინეს და ხელახლა ააგეს. რემონტის გამო, "დილამ" ზამთრის შესვენების მერე სეზონი თბილისში განაახლა. საკუთარ მოედანზე კი მარტიდან მაშინ დაბრუნდა, როდესაც სამუშაოების ის აუცილებელი ნაწილი დასრულდა, რომელიც მატჩის გასამართადაა საჭირო, ანუ საშხაპე-გასახდელები და მსაჯთა ოთახი მოეწყო. ტრიბუნის დარჩენილი ნაწილის აშენება და კეთილმოწყობა ევროტურნირებამდე ვერ მოესწრო. შესაბამისად, "დილამ" დანიურ "ორჰუსსაც" თბილისში უმასპინძლა და მომდევნო ეტაპზე "ანორთოსისსაც" იქვე მიიღებს. მიუხედავად ამისა, კლუბის პრესატაშე **ზურაბ კარტოზიას** ინფორმაციით, გორელები ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის სტარტზე შინ ჩვეულებრივ ითამაშებენ, ისევე, როგორც გასული სეზონის მიწურულს.

სტადიონზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების დასაწყისში დასავლეთ ტრიბუნა უწინდელზე უფრო მაღალი იყო გათვლილი, თუმცა ბოლო ხანს თავდაპირველ პროექტს კიდევ ერთი სართულიც დაამატეს. პირველზე - გასახდელები, მსაჯების, მატჩის დელეგატის ოთახები განთავსდება, მეორე-მესამეზე VIP და პრესლოჟები, ბარები, მეოთხეზე კომენტატორთა ოთახები, ბარები. მომავალში იგეგმება სტადიონის ჩრდილოეთის ტრიბუნის მოწესრიგებაც.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

*დავით ასპანიძის ფოტო*



● ვიტ ჯორჯია

# მარცხი მინიმალური სხვაობით

**ქართალსფორი–ვიტ ჯორჯია 1:0**

ვიტ ჯორჯია: დაუშვილი - ხურცილავა, გოგიაშვილი, გეთიაშვილი, ღანიაშვილი - კასრაძე, გურეშიძე - კორიფაძე (71. ჯულელი), ვასაძე, ზაქრაძე (46. ლობჟანიძე) – ჩიმაკაძე.

თურქულ შეკრებაზე მყოფი "ვიტ ჯორჯია" მეორე საკონტროლო შეხვედრაში თურქეთის პირველი ლიგის ბინადარ "ქართალსფორს" დაუპირისპირდა და 0:1 დამარცხდა.

როგორც ვეტერინართა ოფიციალური ვებგვერდი გვატყობინებს, მატჩი "ქართალსფორის" შეტევებით დაიწყო. მე-19 წუთზე თურქებმა ანგარიში საჯარიმო დარტყმით, რის შემდეგაც "ვიტ ჯორჯია" გააქტიურდა და რამდენიმე კარგი საგოლე მომენტი გააფუჭა.

შემდეგ შეხვედრას "ვიტ ჯორჯია" დღეს გამართავს "ბოლუსფორის" მეორე შემადგენლობასთან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონერები

# ჯერ ანჟი, შემდეგ კალევი

"დიორ ეტოს" ყოფილი ქართველი მოთამაშე, **დავით ლორთქიფანიძე** კარიერას ესტონეთის მეისტრილიგის სილამიაეს "კალევში" გააგრძელებს - დათო 21 წლის არის და მარჯვენა ნახევარმცველია, "დიორ ეტოში" კი ერთი წელი ითამაშა.

*"უნგრეთში "ვიტ ჯორჯიადან" მიმიწვიეს, მაგრამ წამოსვლა მომიხდა და ცხინვალის "სპარტაკში" ჩავირიცხე. ბოლო 8 თვე კი მახაჩყალის "ანჟიში" ვვარჯიშობდი – ჯერ საბუთების მოგვარება დამჭირდა, შემდეგ მეგონა, მოაგვარეს და კონტრაქტს გავაფორმებ-მეთქი, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და სწორედ ამ დროს მიმიწვია "კალევში", სადაც რეკომენდაცია კოხტლა-იარვეს "ლოტუსის" პრეზიდენტმა ანდრეი სკალეტამ და რომან რამიშვილმა გამიწიეს.. ეს გუნდი ესტონეთის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზეა, ევროპის ლიგის საგზურისთვის იბრძვის და სიამოვნებით დავთანხმდი. კონტრაქტი კი ჯერ ნახევარწლიანია", – გვითხრა ლორთქიფანიძემ.*

**ანდრეი სკალეტა**, კოხტლა-იარვეს "ლოტუსის" პრეზიდენტი: *"ესტონეთში ქართველებზე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა – ინტერესი განსაკუთრებით "ფლორაში" ზაქარია ბეგლარიშვილის კარგი თამაშის შემდეგ გაიზარდა. ერთი თვის წინ საქართველოში ვიმყოფებოდი და შესაფერის კანდიდატურებს ვარჩევდი. მართალია, ესტონური კლუბები დიდი ფინანსური შეძლებით არ გამოირჩევიან, მაგრამ ნორმალური და სტაბილური ბიუჯეტები აქვთ, თანაც, ევროკავშირის წევრი ქვეყანა ვართ და ევროპელები ჩვენს შეხვედრებზე სკაუტებს ხშირად აგზავნიან. გარდა ამისა, გუნდებს საკმაოდ კარგი მოსამზადებელი პირობები გააჩნიათ. ასე რომ, ქართველთა ნაწილს, შესაძლოა, ჩვენი ჩემპიონატი "ტრამპლინადაც" გამოადგეს. "კალევი" საკმაოდ კარგი გუნდია და ევროთასების საგზურისთვის იბრძვის. ახლა რომან რამიშვილთან ერთად, ამ ურთიერთხელსაყრელი კავშირების აწყობას ვცდილობთ. შესაძლოა, მალე აქ კიდევ ერთი ქართველი ჩამოვიყვანო, პოზიციით მეკარე, მაგრამ ჯერ გვარს ვერ დაგიკონკრეტებთ. "ლოტუსში" თქვენებურთა ჩამოყვანა თავადაც მსურდა, მაგრამ პირველ ლიგაში ლეგიონერებზე მკაცრი ლიმიტია, ოთხივე უცხოელი გვჭირდებოდა, ვერ გავუშვებდით და ამ ჩანაფიქრზე დეკემბრამდე ხელი ავიღე".*

**მერაბ მამულაშვილი**




# ფრაგმენტები შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

# შო, შეტენე ერთი გოლი ჩვენებურად!..

გაგრძელება. დასაწყისი:
„ლელო" № 110 (13716)

"რეინჯერსში" თავაწეული დავბრუნდი. გუნდში ხუმრობდნენ კიდეც, ვისი ნაკრებებიც შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზე არიან, ერთ მაგიდასთან დასხედითო. საქართველოს გარდა, თავიანთ ჯგუფებში ხორვატიაც პირველ ადგილზე იყო და სერბეთიც. რაც შეეხება "რეინჯერსთან" კონტრაქტის გახანგრძლივებას, ამის თაობაზე კლუბის ხელმძღვანელობას რეალური ინიციატივა ისევ არ გამოუჩენია.

ნაკრებმა კი ჯგუფში მესამე მატჩი უკრაინაში ითამაშა და 0:2 წავაგეთ. შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელებად უკრაინიდან - **ანდრეი შევჩენკო**, ხოლო საქართველოდან მე დამასახელეს, პრიზიც კი გადმომცეს, მაგრამ ის გასახდელში დავტოვე. რატომღაც არ მინდოდა მისი წამოღება. დისკვალიფიკაციის გამო, **კახა კალაძე** გვაკლდა, რაც ჩვენთვის დიდი დანაკლისი იყო. დაცვაში **ზურაბ ხიზანიშვილმა** ითამაშა კარგად, მაგრამ მაშინდელი "მილანისა" და უკრაინის ნაკრების ლიდერმა მაინც გაგვიტანა გოლი. ჯგუფში ლიდერობა დავკარგეთ, თუმცა ვგრძნობდით, რომ გულშემატკივარი თითქოს ჩვენსკენ მოტრიალდა. ნაკრების ლიდერობა **მალხაზ ასათიანმა** იკისრა, თან ეს საკმაოდ კარგადაც გამოსდიოდა. „ასათა" ძალიან მაგარია, მასთან თამაში ერთი სიამოვნებაა. ფეხბურთელები იმასაც ვგრძნობდით, რომ ნაკრებში თამაში ძალიან გვსიამოვნებდა. ბოლო მატჩებმა მონდომება და თავდაჯერებულობა შეგვმატა.

უკრაინის შემდეგ დანიას ვუმასპინძლეთ. ჟირესმა არც ამჯერად დამაყენა სასტარტოში. 1:2 იყო, შეცვლაზე რომ შევედი. ჯერ ასათიანმა გაათანაბრა, ხოლო როცა მატჩის დასრულებას ორი-სამი წუთი აკლდა, **ლევან კობიაშვილმა** მარცხნიდან ჩააწოდა, ბურთი ჩემსკენ წამოვიდა, კარიდან სამ-ოთხ მეტრში ვიდექი, ვიფიქრე, შევაგდებ და მატჩის გმირიც გავხდები-მეთქი, მაგრამ ბურთისკენ **გიორგი დემეტრაძეც** წამოვიდა და ისე გამოვიდა, რომ ერთმანეთს ხელი შევუშალეთ და საგოლე მომენტიც გავანიავეთ. რას ვიზამთ, ფეხბურთია და ყველაფერი ხდება.

დანიას "აიაქსში" ჩემი ყოფილი მწვრთნელი, **მორტენ ოლსენი** წვრთნიდა, შემტევი ფეხბურთის მქადაგებელი, ამიტომაც მიადვილდებოდა მის გაწვრთნილ "აიაქსში" თამაში. ის საოცრადაა ფეხბურთზე შეყვარებული. მატჩის წინ მოედანზე შევხვდით ერთმანეთს და დაახლოებით ათი წუთი ვილაპარაკეთ. ყველაფერი გამომკითხა, რეზის ამბავიც, — მუხლი როგორ გაქვსო... მოკლედ, ძალიან თბილი შეხვედრა იყო. თამაშის შემდეგ კი დანიის ნაკრებში მოთამაშე ჩემს "რეინჯერსელ" თანაგუნდელ **პეტერ ლოვენკრანდსს** ვკითხე, — წინასამატჩო დარიგებისას ოლსენმა ჩემზე რა გითხრათ-მეთქი. არველაძე საკმაოდ სახიფათოა — არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღება შეუძლიაო.

"რეინჯერსში" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზეც უგოლოდ არ დავრჩენილვარ, თუმცა ტურნირს გამოვეთიშეთ. შოტლანდიის ჩემპიონატში კი მაკლიში თავდასხმაში **დადო პრშოსა** და **ნაჩო ნოვოს** ენდობოდა. მათ გოლები გაჰქონდათ, კარგ ფორმაში იყვნენ, მე ხან ნახევარდაცვაში მათამაშებდა, ხან მარცხენა ფლანგზე. მიუხედავად ამისა, გამონათებებიც მქონდა. "სელტიკს" ვეთამაშებოდით ლიგის თასზე სახლში, 0:1-ს ვაგებდით და სამოცდამეთვრამეტე წუთზე მაკლიშმა მოედანზე შემიშვა. პრშომ ჩემი პასით გაიტანა გამათანაბრებელი, დამატებით დროში კი "სელტიკს" მე გავუტანე; მარცხნიდან გავედი დასარტყმელ პოზიციაზე და მეკარეს ახლო კუთხეში შევუცურე ბურთი; ეს გამარჯვების გოლი გამოდგა! ამის შემდეგ უფრო რეალური გახდა ჩემი "რეინჯერსთან" კონტრაქტის გახანგრძლივების საკითხი. მერე, კიდევ იყო ერთი, არცთუ უმნიშვნელო გოლი; სტუმრად "კილმარნოკს" 1:0 მოვუგეთ, ლამაზი გოლი შევაგდე. მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე მკითხეს, — როგორ ფიქრობთ, "კილმარნოკთან" და "სელტიკთან" გატანილი გოლები თუ წაგდებათ "რეინჯერსთან" კონტრაქტის გაგრძელებაშიო. ვუთხარი, — გლაზგოში დარჩენა მინდა, მაგრამ სახვეწარი არავისთან არაფერი მაქვს-მეთქი.

როცა ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა იხურებოდა, ინგლისის "ბლექბერნ როვერსიდან" დამირეკეს და ტრანსფერი შემომთავაზეს. ეს 31 დეკემბერს მოხდა, სატრანსფერო ფანჯრის დახურვის ბოლო დღეს... მოსაფიქრებლად ორი საათი ვითხოვე. მე და თამუნა დავსხედით და ყველაფერი გავაანალიზეთ. "ბლექბერნის" შემოთავაზებაზე უარი ვთქი, გუნდი ინგლისური პრემიერლიგის გასავარდნ ზონაში იყო და, თუ გავარდებოდა, ქვედა ლიგაში თამაში ჩემთვის სასურველი არ იქნებოდა.

2 იანვარს დანდიში, ადგილობრივ "იუნაიტედთან" ვითამაშეთ. პირველ ტაიმს 0:1-ით ვაგებდით, როცა კუნთმა მომქაჩა, მაგრამ მაინც გავაგრძელე თამაში. ვაგებდით და არ მინდოდა გამოვსულიყავი. რამდენიმე წუთში კუნთი ბოლომდე გავიგლიჯე, რაც უპატიებელი შეცდომაა პროფესიონალი ფეხბურთელისთვის, — ამ ტრავმამ ორი თვე გამომატოვებინა. დანდიში მატჩი კი ბოლო წუთზე გავათანაბრეთ. გოლი კარიდან გამოსულმა მეკარემ, **შტეფან კლოსმა** გაიტანა, რაც საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა ფეხბურთში.

თბილისში ახალი ამბავი მოხდა. „ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელად ჩემი **ჯემალ ჩიმაკაძე** დანიშნეს. ვურჩიე, არ გადაედგა ეს ნაბიჯი, რადგან ძალიან ემოციური იყო, ყველაფერი გულთან ახლოს მიჰქონდა, მაგრამ არ დამიჯერა. საშუალეზონო შეკრებაზე "ლოკომოტივი" თურქეთში წავიდა. იქ ჯემალს გულის შეტევა მოუვიდა და საავადმყოფოშიც მოხვდა. ვერ მოისვენა და ერთ დღეში გუნდს დაუბრუნდა. მანამდე არაფერი აწუხებდა, სრულიად ჯანმრთელი იყო. როცა "ლოკომოტივი" საქართველოში მატარებლით ბრუნდებოდა, ჯემალს გულის კიდევ ერთი შეტევა დაემართა და გარდაიცვალა... ასე სულელურად დავკარგე მთელი ცხოვრების მეგზური და ძვირფასი ადამიანი, რომელსაც ჩვენთვის კარგის მეტი არასდროს არაფერი ნდომებია.

ჯემალს პირველად 1982 წელს შევხვდი, ის ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის თილისმას, "ნარანხიტოს" ბრელოკს ათამაშებდა ხელში. ჰოდა, მეც თამამად მივიჭერი და მის ლამაზ ნივთს ხელი წავავლე; აქედან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა...

ჩემზე და აჩიზე ბევრს კამათობდნენ, ამბობდნენ, ტყუპები ან ითამაშებენ ან ვერ ითამაშებენო, მაგრამ ჯემალი ყოველთვის ჩვენს მხარეზე იყო, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ნიჭიერებად გვთვლიდა; ამბობდა, — მათ ისეთი სიყვარული შეუძლიათ და ისე უყვართ ფეხბურთი, რომ აუცილებლად ითამაშებენო.

აჩის თან გადაჰყვა, ეუბნებოდა, — შენ და შენი მუხლის ვინტებმა გამაჭაღარავეთო. ჩვენს მოსალონიერებლად რას არ აკეთებდა, ჩვენთან მამაშვილური დამოკიდებულებაც ჰქონდა და ძმაკაცურიც. ძალიან განიცდიდა, რომ თვითონ ვერ ითამაშა ფეხბურთი, მაგრამ ჩვენით ხარობდა, — თქვენი თავი ღმერთმა გადმომიგდოო. განსაკუთრებული თვალი ჰქონდა, ადვილად შეძლო ნიჭიერი ბავშვის ადრეულ ასაკში შემჩნევა, ფეხბურთზე უზომოდ იყო შეყვარებულდი, ჩემზე და აჩიზე ხომ გიჟდებოდა.

ვეხვეწებოდი, "ლოკომოტივის" მწვრთნელობას არ დათანხმდე-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა, რაღაცას ამოიჩემებდა და არ გადათქვამდა. ჩვენზე კარგად მას არავინ იცნობდა, ძალიან ემოციური იყო და ამიტომაც ვუშლიდით მწვრთნელობას. ამბობდა, ლოგინში მე ვერ დავწვები, უცბად უნდა მოვკვდეო...

ბავშვობაში ჯემალი მე და აჩის ხანდახან წაგვითაქებდა, მაგრამ იქვე გვეტყოდა, — ჩემი წამოთაქება თაფლივითაა, მთავარია ცხოვრების დარტყმები აიტანოთო.

ბედნიერი ვიყავი იმით, რომ ჩემი შვილი მას ბაბუას ეძახდა. ჩემი უმცროსი შვილის სურათი კი ჯემალს საძინებელში ჰქონდა გაკრული.


შოთა არველაძე რეინჯერსში თამაშის დროს

მას პეტროვიჩსაც ვეძახდით. ძალიან მიჭირს ჯემალის გარეშე, ხანდახან სალამოობით აქეთ-იქით დავდივარ ხოლმე, ვერ ვისვენებ, ვგრძნობ, რაღაც მაკლია... სულ მინდოდა მისი აზრი გამეგო ჩემი რომელიმე გოლის თუ თამაშის შესახებ.

პეტროვიჩ, არასდროს დამავიწყდება, აიაქსელობისას ჩემი "უდინეზესთან" თამაშისას შენ და აჩი მუხლებზე რომ იდექით და ასე მქომაგობდით. არასდროს დამავიწყდება სტამბულში ნათქვამი შენი სიტყვები: — "გაილვიძე, სააკაძის სულო!"... ჩვენ ყველაფერი ვიყავით ერთმანეთისთვის, მართლაც, ყველაფერი, პეტროვიჩ!.. იქ გაგიმარჯოს, სადაც ხარ, ვგრძნობ, რომ იქიდანაც გვეხმარები მე და აჩის... ეს წიგნი შენს ხსოვნასაც ეძღვნება...

**გაგრძელება იქნება**

ბაიერნი

# ყველანი დორტმუნდის წინააღმდეგ


ფრანკ რიბერისა და არიენ რობენს შორის მშვიდობამ დაისადგურა

### უფლება აღარ გვაქვს

"ბაიერნის" 28 წლის ფრანგი ლიდერი **ფრანკ რიბერი** აცხადებს, რომ მასა და მის თანაგუნდელებს აღარ აქვთ უფლება, ბუნდესლიგაში ბოლო ორი წლის განმავლობაში დაშვებული შეცდომები გაიმეორონ. რასაკვირველია, გერმანიის ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტად სწორედ რეკორდმაისტერი მიიჩნევა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ **იურგენ კლოპის** გუნდიც არ დასუსტებულა, პირიქით თუ არ ვიტყვით, ეს ბრძოლა მაქსიმალურად დაძაბული უნდა იყოს. რიბოს მტკიცებით, ბრძოლა ფსიქოლოგიურ ფრონტზე 12 აგვისტოს "ბორუსიასთან" სუპერთასზე მიუნხენის "ალიანს არენაზე" დანიშნულ შეხვედრაში იწყება. *"გერმანიის ჩემპიონატის მოგება ყოველი ჩემი თანაგუნდელისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ჩვენ აღარ გვაქვს უფლება, რომ "დორტმუნდთან" კიდევ ერთხელ წავაგოთ. "ბაიერნმა" სუპერთასი ულაპარაკოდ უნდა მოიგოს,"* – აცხადებს ფეხბურთელი. ქვემოთ რიბერის ისევ მივუბრუნდებით, იქამდე კი სხვა თემებზე გადავერთოთ.

### საუკეთესოები უნდა ვიყოთ

ამბიციური გეგმები აქვს "ბაიერნის" მთავარ მწვრთნელ **იუპ ჰაინკესსაც**. გაზეთების მტკიცებით, მორიგი სეზონის დაწყებამდე დონ იუპი ოპტიმისტურად არის განწყობილი. *"ჩვენ მწვერვალებს შევუტევთ. "ბაიერნი" ვალდებულია, გერმანიის საუკეთესო გუნდის სახელი მოიპოვოს. ამისთვის სეზონი მაქსიმალურად კონცენტრირებულებმა უნდა დავიწყოთ. ამას გარდა მოვითხოვ ფეხბურთელებისგან, რომ ყოველი დეტალის მიმართ უფრო ყურადღებიანები გახდნენ,"* – აცხადებს 67 წლის მწვრთნელი.

### მიულერი: ვემზადებით!

"შპორტ აინცი" **თომას მიულერს** დაუკავშირდა და გუნდის მზადებაზე ორიოდე სიტყვის თქმა სთხოვა. *"მაგალითი იმისა, თუ რა შეიძლება დაგემართოს, როცა ყველა თამაშზე კონცენტრირებული არ ხარ, ბაიერნელებს თვალწინ გვაქვს. ფეხბურთელები ჩვენთან ასე უბრალოდ არ მოდიან. ზაბენერშტრასეზე ("ბაიერნის" ბაზა სწორედ ამ ქუჩაზე მდებარეობს. რედ) ყველას თავის ამბიცია აქვს. კიდევ ერთი წელიწადი უტიტულოდ დარჩენას არავინ შეეგუება. რაკი ტიტულები ძალიან მოგვენატრა, ამიტომ გაბოროტებულები ვართ და გადამწყვეტი ბრძოლისთვის ვემზადებით. "ბაიერნი" პრეტენდენტებს ნამდვილ ომს გაუმართავს ბუნდესლიგაში,"* – თქვა 22 წლის ფეხბურთელმა.

### იოლად არაფერი მოვა

"ბაიერნისა" და "დორტმუნდის" მომავალ დაპირისპირებებს შეეხო გერმანული გრანდების ყოფილი დამრიგებელი **ოტმარ ჰიტცფელდიც**. 63 წლის სპეციალისტის აზრით, "ბაიერნი" ფავორიტია, მაგრამ მისი მთავარი კონკურენტის მიერ შემადგენლობის გაძლიერების გამო სეზონი მაინც ძალიან რთული იქნება. *"ბოლო ორი სეზონის განმავლობაში დორტმუნდელები საკუთარ ძალებში დარწმუნდნენ. ამას გარდა კლოპის გუნდს ახლა მარკო როისიც ჰყავს, ასე რომ, მათთან ჭიდილი "ბაიერნისთვის" იოლი არ იქნება,"* – აცხადებს ლეგენდარული მწვრთნელი, ვისაც ორივე გუნდთან ერთად მოუგია ჩემპიონთა ლიგაც და ბუნდესლიგის ჩემპიონის ტიტულიც.

### კონფლიქტი ამოწურულია

მადრიდის "რეალთან" ჩემპიონთა ლიგის 1/2-ფინალური მატჩის შემდეგ **ფრანკ რიბერისა** და **არიენ რობენს** შორის კონფლიქტი რომ მოხდა, ამაზე ჩვენი გერმანელი კოლეგები თავის დროზე ბევრს წერდნენ. ითქვა, რომ ფრანგი თანაგუნდელს ხელითაც კი შეეხოო. დეტალები იმისა, თუ რა მოხდა რეალურად ვარსკვლავებს შორის, რა თქმა უნდა, ოფიციალურად არავინ დაადასტურა, მაგრამ ფაქტია, რომ კლუბმა სწორედ რიბერი დააჯარიმა. მოულოდნელად ამ თემაზე ჰოლანდიელი ალაპარაკდა და განაცხადა, რომ მან და ფრანკმა ყველაფერი დაივიწყეს და ისევ მზად არიან "ბაიერნის" საკეთილდღეოდ იბრძოლონ. *"არავის უარუყვია, კონფლიქტი ნამდვილად იყო, მაგრამ იმ მომენტში ნერვები ყველას მოშლილი გვქონდა. ვწუხვარ, რომ ასე მოხდა, რადგან იქამდე ჩემსა და ფრანკს შორის პრინციპში იდეალური ურთიერთობები იყო. კარგია, რომ ყველაფერი დავიწყებას მიეცა. ჩვენ ორივეს ერთი გზა გვაქვს გასავლელი, ასე რომ, მზად ვარ, მის გვერდით ფეხბურთის თამაშისგან ისევ ძველებურად ვისიამოვნო,"* – აცხადებს "ბილდთან" ინტერვიუში რობენი.

ამბები

## ჩემი ინგლისი უკეთესი იქნებოდა

რუსეთის ნაკრების ახლადდანიშნულმა მთავარმა მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომ** განაცხადა, რომ ევრო 2012-ზე ინგლისის ნაკრები მას რომ წაეყვანა, ბევრად უკეთეს შედეგს აჩვენებდა. რატომ გადადგა 66 წლის სპეციალისტი პოსტიდან, ამ თემაზე იმდენჯერ დაწერილა, რომ თავს აღარ შეგაწყენთ. ამიტომ პირდაპირ მის ციტატას შემოგთავაზებთ: *"ეს ბიჭები ჩემპიონატზე მე რომ წამეყვანა, დარწმუნებული ვარ, უკეთესად ვითამაშებდით. ყოველი სანაკრებო მწვრთნელი 2-3 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთადერთი მიზნისთვის იბრძვის. სამწუხაროდ, ამის საშუალება არ მომეცა. როცა დასახულ გეგმებზე გელაპარაკებიან, მაგრამ ამასთან შენს საქმეებში უხეშად ერევიან, შეუძლებელია, თავი კომფორტულად იგრძნო. ჩემს კონტრაქტში შავით თეთრზე ეწერა, რომ გუნდის კაპიტნის შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ მე უნდა მიმეღო,"* - თქვა იტალიელმა "მაესტრომ".

## ამორებიეტა ენფილდზე

ის, რომ "ლივერპულს" ამჟამად ოთხი კარგი ცენტრალური მცველი ჰყავს და მეხუთეს შეძენას გეგმავს, ცოტა ალოგიკურად ჟღერს, რადგან გუნდს საკადრო პრობლემები ნამდვილად არ აკლია, მაგალითად წინა ხაზში. შესაძლოა, ხმები **მარტინ შკრტელის** გუნდიდან წასვლაზე მართალია და "წითლები" ამით თავს იზღვევენ. ინფორმაცია ამის თაობაზე ესპანურმა "მარკამ" რამდენიმე დღის წინ გაავრცელა, ვენესუელელის აგენტმა კი ის გუშინ დაადასტურა. 27 წლის ფეხბურთელს "ბილბაოსთან" ხელშეკრულება ერთი წლის მერე უმთავრდება და წესით, თუკი სურვილი ექნება, "ენფილდისკენ" გზას იოლად გაიკაფავს. *"ჩემს კლიენტს თავის დროზე იმაზეც კი უფიქრია, რომ კარიერა "სან მამესზე" დაესრულებინა, მაგრამ ბოლო წარმატებული სეზონის შემდეგ მისით ძალიან ბევრი უცხოური კლუბი დაინტერესდა. მათ შორის არის "ლივერპულიც"*, - აცხადებს **დენის კარბახალი**.

## ქრეივენ კოტეჯის ტევადობა გაიზრდება

"ფულჰემის" ხელმძღვანელობამ ლონდონის მერიისგან ნებართვა მიიღო, დამტკიცებული გეგმის მიხედვით "ქრეივენ კოტეჯის" სარეკონსტრუქციო სამუშაოებს შეუდგეს. ამჟამად არენაზე 25 700 ადამიანი ეტევა. სამუშაოების შემდეგ მას 4300 ადგილი დაემატება. მშენებლების მტკიცებით, სტადიონი არ დაკარგავს თავის განუმეორებელ ხიბლს.

## მოჯანყეთა სასამართლო

ისევე როგორც 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, საფრანგეთის ნაკრების ბანაკში სკანდალები არც ამჯერად ყოფილა უცხო ხილი. სიტუაცია იქამდეც კი მივიდა, რომ ფეხბურთელების ჯგუფებმა ერთმანეთში საქმის გარჩევები მოაწყვეს. სკანდალში შემჩნეულები **სამირ ნასრი, იან მ'ვილა, ჟერემი მენეზი** და **ატემ ბენ-არფა** გუშინ სადისციპლინო კომიტეტის წინაშე თბილისის დროით 12:00-ზე წარდგნენ. მათ დახურულ სხდომაზე კომისიის წევრთა შეკითხვებზე უნდა გაეცათ პასუხი. ვის მიმართ რა სანქციები იქნება დაწესებული, ინფორმაციას მოგვიანებით მოგაწვდით.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**


# 28 ივლისი — მსოფლიო ჰეპატიტის დღეა!

## C ჰეპატიტი განკურნებადი დაავადებაა

C ჰეპატიტის ვირუსი სისხლით გადამცემ ინფექციებს განეკუთვნება. იგი უპირატესად აზიანებს ღვიძლს და იწვევს მის ანთებას. მას აგრეთვე ჩუმ დაავადებასაც უწოდებენ, ვინაიდან C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებულთა უმრავლესობას წლების განმავლობაში შესაძლოა არ აღენიშნებოდეს დაავადების არავითარი სიმპტომი.

C ჰეპატიტის ვირუსით ღვიძლის დაზიანებისას ხდება ღვიძლის უჯრედების — ჰეპატოციტების კვდომა, რაც ღვიძლის ნორმალურ მუშაობას არღვევს. დროთა განმავლობაში მკვდარი უჯრედები ჩანაცვლდება ნაწიბუროვანი ქსოვილით (ფიბროზი), რომელსაც საბოლოოდ ღვიძლის მძიმე დაზიანებამდე — ციროზამდე მივყავართ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით C ჰეპატიტის ვირუსით მსოფლიოში დაახლოებით 170 მილიონი ადამიანია ინფიცირებული. ყოველწლიურად ამ ვირუსით ინფიცირდება 3-4 მლნ ადამიანი. C ჰეპატიტის პრობლემა საქართველოსთვისაც უაღრესად აქტუალურია. არსებული მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის 6.7% ინფიცირებულია C ჰეპატიტის ვირუსით. მისი გავრცელება კიდევ უფრო მაღალია რისკის ჯგუფებში და 70%-ს აღწევს.

პაციენტთა უმრავლესობას დაავადების სიმპტომები არ უვლინდებათ. უსიმპტომო პერიოდი შესაძლოა რამდენიმე წელიწადს გაგრძელდეს. მიუხედავად ამისა, ვირუსი აგრძელებს გამრავლებას ღვიძლში. ეს კი იწვევს ღვიძლის ანთებას. ღვიძლის დაზიანებამ (ფიბროზი) შესალოა ფართო ხასიათი მიიღოს, რაც საბოლოო ჯამში მძიმე მდგომარეობის — ციროზის განვითარებას იწვევს. C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებულთა დაახლოებით 25-%-ს უვითარდება ციროზი ინფიცირებიდან 20 წლის შემდეგ. ციროზის შორსწასული ფორმის მკურნალობის ერთადერთი გზა ღვიძლის გადანერგვაა (ტრანსპლანტაცია). უმკურნალებელ შემთხვევაში ციროზს შეიძლება ღვიძლის კიბოს განვითარებაც მოჰყვეს.

C ჰეპატიტის პროგრესირების სიჩქარე სხვადასხვა ადამიანში განსხვავებულია. ამის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ზოგ პაციენტში 20 ან 30 წლის შემდეგაც კი ცვლილებები უმნიშვნელო ხასიათს ატარებს მაშინ, როდესაც სხვებში 10 წელიწადში შეიძლება განვითარდეს ციროზი. საყურადღებოა, რომ დაავადების პროგრესირების ტემპი არ არის დამოკიდებული ვირუსის გენოტიპზე ან ორგანიზმში ვირუსის შემცველობაზე. თუმცა ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ არსებობს რიგი ფაქტორები, რომლებთანაც შეიძლება დაკავშირებული იყოს დაავადების სწრაფი პროგრესირება: ხანდაზმული ასაკი, მამრობითი სქესი, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, ჭარბწონიანობა, დიაბეტი, თამბაქოს წევა, თანდართული ინფექციები.

დაავადების განკურნება თავისით არ ხდება. ვირუსისაგან განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ სათანადო მკურნალობის ჩატარების შემდეგ, რომელიც გააუმჯობესებს ღვიძლის მდგომარეობას.

C ჰეპატიტი სამკურნალოდ მსოფლიოში არსებობს ორი ლიცენზირებული პეგილირებული ინტერფერონი: პეგინტერფერონ ალფა 2a (პეგასისი, ჰოფმან-ლა როში, შვეიცარია) და პეგინტერფერონ ალფა 2b (პეგინტრონი, შერინგ პლაუ, აშშ). ამ მედიკამენტებით მკურნალობის ეფექტურობა ყველა ფორმის დაავადების დროს საშუალოდ 60-65%-ს შეადგენს. აღნიშნული მედიკამენტები საქართველოშიც რეგისტრირებულია და ხელმისაწვდომია აფთიაქებში.

C ჰეპატიტის რთული ფორმების სამკურნალოდ 2011 წელს აშშ-სა და ევროპაში დარეგისტრირდა ახალი, პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული მედიკამენტები (ტელაპრევირი და ბოცეპროვირი) სამმაგი თერაპიისთვის, რომლებიც განკურნების შანსებს კიდევ უფრო ზრდის ორმაგ თერაპიასთან შედარებით. ჯერჯერობით ეს მედიკამენტები საქართველოში რეგისტრირებული არ არის.

2009 წელს კოჰრეინის დამოუკიდებელი ჰეპატო-ბილიარული ჯგუფის მიერ ჩატარდა პეგილირებულ ინტერფერონზე ბოლო წლებში ჩატარებული, რეგისტრირებული კვლევების მეტა ანალიზი. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ C ჰეპატიტის ვირუსისგან განკურნება 11%-ით მეტი იყო იმ პირებში რომლებიც მკურნალობდნენ პეგილირებულ ინტერფერონ ალფა 2a-თი.

ამ კვლევების მეტა ანალიზიდან გამომდინარე მკვლევარებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ C ჰეპატიტის მკურნალობა, პეგილირებული ინტერფერონ ლაფა 2a-თი დაკავშირებულია განკურნების უფრო მაღალ შანსთან (11 %-ით) ვიდრე მკურნალობა პეგილიერებულ ინტერფერონ ალფა 2b-თი, მიუხედავად ვირუსის ტიპის, სუბ ტიპის, რაოდენობის ან სხვა ფაქტორებისა.

ასე, რომ შეიძლება ითქვას, რომ C ჰეპატიტი განკურნაბადი დაავადებაა. მისი დროული დიაგნოსტირების და მკურნალობის შემთხვევაში შესაძლებელია ამ ვირუსისგან განთავისუფლება. ხოლო მკურნალობა ჩატარებული პეგილირებული ინტერფერონ ალფა 2a-თი კიდევ უფრო ზრდის განკურნების შანსს სხვა პეგილირებულ ინტერფერონებთან შედარებით.

გამოიკვლიეთ თავი C ჰეპატიტის ვირუსზე და დაიცავით თქვენი ღვიძლი მძიმე ვირუსული დაზიანებისაგან.

**დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:**
**ტელ: (995 32)2 38 92 99**
**georgia.office@roche.com**
**www.roche.ge**

Roche

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

სერია A 2012/2013 წლების სეზონის კალენდარი

# კალჩო დათარიღდა

## იუვე VS მილანი ფინიშისკენ

ესეც ასე, სერია A-ს 2012/2013 წლების გათამაშება 26 აგვისტოს დაიწყება და ტრადიციულად, მაისის შუა რიცხვებში დასრულდება. თარიღები კვირების მიხედვით არის მოცემული და დანარჩენი უკვე ჩემპიონატის მსვლელობისას გამოჩნდება. ბუნებრივია, ბევრი რამე იქნება დამოკიდებული ევროტურნირების თარიღებზე და კლიმატურ პირობებზე – გასულ სეზონში, წვიმის და თოვლის გამო არაერთი მატჩი გადაიდო და ამ მხრივ, არც მომდევნო სეზონია დაზღვეული.

იტალიურ საფეხბურთო სამყაროში, ყველაფერი სკანდალამდე მიდის და ბუნებრივია, არც კალენდრის ამბავი ყოფილა გამონაკლისი; ტრადიციულად, უკმაყოფილო დარჩა აურელიო დე ლაურენტისი და განაცხადა, რომ მავანს და მავანს, "ნაპოლის" წარმატება გულზე არ ეხატება... დაახლოებით იმავეს ამბობს "პალერმოს" პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი, რომელიც შანსს არ უშვებს ხელიდან, რომ ჩრდილოელები არ გააკრიტიკოს. აი ჩრდილოელები კი, როგორც ყოველთვის, შედარებით მშვიდად არიან და ერთი შეხედვით, კალენდარს დიდ ყურადღებას არც აქცევენ. დანარჩენზე ქვემოთ...

ლაშა ნიკლაური


სერია A-ს 2011/2012 წლების გათამაშება იუვენტუსის ტრიუმფით დასრულდა

**I ტური**
26.08.12
ატალანტა-ლაციო
კიევო-ბოლონია
ფიორენტინა-უდინეზე
ჯენოა-კალიარი
იუვენტუსი-პარმა
მილანი-სამპდორია
პალერმო-ნაპოლი
პესკარა-ინტერი
რომა-კატანია
სიენა-ტორინო

**II ტური**
02.09.12
ბოლონია-მილანი
კალიარი-ატალანტა
კატანია-ჯენოა
ინტერი-რომა
ლაციო-პალერმო
ნაპოლი-ფიორენტინა
პარმა-კიევო
სამპდორია-სიენა
ტორინო-პესკარა
უდინეზე-იუვენტუსი

**III ტური**
16.09.12
კიევო-ლაციო
ფიორენტინა-კატანია
ჯენოა-იუვენტუსი
მილანი-ატალანტა
ნაპოლი-პარმა
პალერმო-კალიარი
პესკარა-სამპდორია
რომა-ბოლონია
სიენა-უდინეზე
ტორინო-ინტერი

**IV ტური**
23.09.12
ატალანტა-პალერმო
ბოლონია-პესკარა
კალიარი-რომა
კატანია-ნაპოლი
ინტერი-სიენა
იუვენტუსი-კიევო
ლაციო-ჯენოა
პარმა-ფიორენტინა
სამპდორია-ტორინო
უდინეზე-მილანი

**V ტური**
26.09.12
კატანია-ატალანტა
კიევო-ინტერი
ფიორენტინა-იუვენტუსი
ჯენოა-პარმა
მილანი-კალიარი
ნაპოლი-ლაციო
პესკარა-პალერმო
რომა-სამპდორია
სიენა-ბოლონია
ტორინო-უდინეზე

**VI ტური**
30.09.12
ატალანტა-ტორინო
ბოლონია-კატანია
კალიარი-პესკარა
ინტერი-ფიორენტინა
იუვენტუსი-რომა
ლაციო-სიენა
პალერმო-კიევო
პარმა-მილანი
სამპდორია-ნაპოლი
უდინეზე-ჯენოა

**VII ტური**
07.10.12
კატანია-პარმა
კიევო-სამპდორია
ფიორენტინა-ბოლონია
ჯენოა-პალერმო
მილანი-ინტერი
ნაპოლი-უდინეზე
პესკარა-ლაციო
რომა-ატალანტა
სიენა-იუვენტუსი
ტორინო-კალიარი

**VIII ტური**
21.10.12
ატალანტა-სიენა
კალიარი-ბოლონია
კიევო-ფიორენტინა
ჯენოა-რომა
ინტერი-კატანია
იუვენტუსი-ნაპოლი
ლაციო-მილანი
პალერმო-ტორინო
პარმა-სამპდორია
უდინეზე-პესკარა

**XIX ტური**
28010.12
ბოლონია-ინტერი
კატანია-იუვენტუსი
ფიორენტინა-ლაციო
მილანი-ჯენოა
ნაპოლი-კიევო
პესკარა-ატალანტა
რომა-უდინეზე
სამპდორია-კალიარი
სიენა-პალერმო
ტორინო-პარმა

**X ტური**
31.10.12
ატალანტა-ნაპოლი
კალიარი-სიენა
კიევო-პესკარა
ჯენოა-ფიორენტინა
ინტერი-სამპდორია
იუვენტუსი-ბოლონია
ლაციო-ტორინო
პალერმო-მილანი
პარმა-რომა
უდინეზე-კატანია

**XI ტური**
03.11.12
ბოლონია-უდინეზე
კატანია-ლაციო
ფიორენტინა-კალიარი
იუვენტუსი-ინტერი
მილანი-კიევო
ნაპოლი-ტორინო
პესკარა-პარმა
რომა-პალერმო
სამპდორია-ატალანტა
სიენა-ჯენოა

**XII ტური**
10.11.12
ატალანტა-ინტერი
კალიარი-კატანია
კიევო-უდინეზე
ჯენოა-ნაპოლი
ლაციო-რომა
მილანი-ფიორენტინა
პალერმო-სამპდორია.
პარმა-სიენა
პესკარა-იუვენტუსი
ტორინო-ბოლონია

**XIII ტური**
17.11.12
ბოლონია-პალერმო
კატანია-კიევო
ფიორენტინა-ატალანტა
ინტერი-კალიარი
იუვენტუსი-ლაციო
ნაპოლი-მილანი
რომა-ტორინო
სამპდორია-ჯენოა
სიენა-პესკარა
უდინეზე-პარმა

**XIV ტური**
24.11.12
ატალანტა-ჯენოა
კალიარი-ნაპოლი
კიევო-სიენა
ლაციო-უდინეზე
მილანი-იუვენტუსი
პალერმო-კატანია
პარმა-ინტერი
პესკარა-რომა
სამპდორია-ბოლონია
ტირინო-ფიორენტინა

**XV ტური**
01.12.12
ბოლონია-ატალანტა
კატანია-მილანი
ფიორენტინა-სამპდორია
ჯენოა-კიევო
ინტერი-პალერმო
იუვენტუსი-ტორინო
ლაციო-პარმა
ნაპოლი-პესკარა
სიენა-რომა
უდინეზე-კალიარი

**XVI ტური**
08.12.2012
ატალანტა-პარმა
ბოლონია-ლაციო
კალიარი-კიევო
ინტერი-ნაპოლი
პალერმო-იუვენტუსი
პესკარა-ჯენოა
რომა-ფიორენტინა
სამპდორია-უდინეზე
სიენა-კატანია
ტორინო-მილანი

**XVII ტური**
15.12.12
კატანია-სამპდიორია
კიევო-რომა
ფიორენტინა-სიენა
ჯენოა-ტორინო
იუვენტუსი-ატალანტა
ლაციო-ინტერი
მილანი-პესკარა
ნაპოლი-ბოლონია
პარმა-კალიარი
უდინეზე-პალერმო

**XVIII ტური**
22.12.12
ატალანტა-უდინეზე
ბოლონია-პარმა
კალიარი-იუვენტუსი
ინტერი-ჯენოა
პალერმო-ფიორენტინა
პესკარა-კატანია
რომა-მილანი
სამპდორია-ლაციო
სიენა-ნაპოლი
ტორინო-კიევო

**XIX ტური**
05.01.13
კატანია-ტორინო
კიევო-ატალანტა
ფიორენტინა-პესკარა
ჯენოა-ბოლონია
იუვენტუსი-სამპდორია
ლაციო-კალიარი
მილანი-სიენა
ნაპოლი-რომა
პარმა-პალერმო
უდინეზე-ინტერი

**XX ტური**
12.01.13
ლაციო-ატალანტა
ბოლონია-კიევო
უდინეზე-ფიორენტინა
კალიარი-ჯენოა
პარმა-იუვენტუსი
სამპდორია-მილანი
ნაპოლი-პალერმო
ინტერი-პესკარა
კატანია-რომა
ტორინო-სიენა

**XXI ტური**
19.01.13
მილანი-ბოლონია
ატალანტა-კალიარი
ჯენოა-კატანია
რომა-ინტერი
პალერმო-ლაციო
ფიორენტინა-ნაპოლი
კიევო-პარმა
სიენა-სამპდორია
პესკარა-ტორინო
იუვენტუსი-უდინეზე

**XXII ტური**
26.01.13
ლაციო-კიევო
კატანია-ფიორენტინა
იუვენტუსი-ჯენოა
ატალანტა-მილანი
პარმა-ნაპოლი
კალიარი-პალერმო
სამპდორია-პესკარა
ბოლონია-რომა
უდინეზე-სიენა
ინტერი-ტორინო

**XXIII ტური**
02.02.13
პალერმო-ატალანტა
პესკარა-ბოლონია
რომა-კალიარი
ნაპოლი-კატანია
სიენა-ინტერი
კიევო-იუვენტუსი
ჯენოა-ლაციო
ფიორენტინა-პარმა
ტორინო-სამპდორია
მილანი-უდინეზე

**XXIV ტური**
09.02.12
ატალანტა-კატანია
ინტერი-კიევო
იუვენტუსი-ფიორენტინა
პარმა-ჯენოა
კალიარი-მილანი
ლაციო-ნაპოლი
პალერმო-პესკარა
სამპდორია-რომა
ბოლონია-სიენა
უდინეზე-ტირინო

**XXV ტური**
16.02.12
ტორინო-ატალანტა
კატანია-ბოლონია
პესკარა-კალიარი
ფიორენტინა-ინტერი
რომა-იუვენტუსი
სიენა-ლაციო
კიევო-პალერმო
მილანი-პარმა
ნაპოლი-სამპდორია
ჯენოა-უდინეზე

**XXVI ტური**
23.02.13
პარმა-კატანია
სამპდორია-კიევო
ბოლონია-ფიორენტინა
პალერმო-ჯენოა
ინტერი-მილანი
უდინეზე-ნაპოლი
ლაციო-პესკარა
ატალანტა-რომა
იუვენტუსი-სიენა
კალიარი-ტორინო

**XXVII ტური**
02.03.13
სიენა-ატალანტა
ბოლონია-კალიარი
ფიორენტინა-კიევო
რომა-ჯენოა
კატანია-ინტერი
ნაპოლი-იუვენტუსი
მილანი-ლაციო
ტორინო-პალერმო
სამპდორია-პარმა
პესკარა-უდინეზე

**XXVIII ტური**
09003.13
ინტერი-ბოლონია
იუვენტუსი-კატანია
ლაციო-ფიორენტინა
ჯენოა-მილანი
კიევო-ნაპოლი
ატალანტა-პესკარა
უდინეზე-რომა
კალიარი-სამპდორია
პალერმო-სიენა
პარმა-ტორინო

**XXIX ტური**
16.03.12
ნაპოლი-ატალანტა
სიენა-კალიარი
პესკარა-კიევო
ფიორენტინა-ჯენოა
სამპდორია-ინტერი
ბოლონია-იუვენტუსი
ტორინო-ლაციო
მილანი-პალერმო
რომა-პარმა
კატანია-უდინეზე

**XXX ტური**
30.03.13
უდინეზე-ბოლონია
ლაციო-კატანია
კალიარი-ფიორენტინა
ინტერი-იუვენტუსი
კიევო-მილანი
ტორინო-ნაპოლი
პარმა-პესკარა
პალერმო-რომა
ატალანტა-სამპდორია
ჯენოა-სიენა

**XXXI ტური**
06.04.13
ინტერი-ატალანტა
კატანია-კალიარი
უდინეზე-კიევო
ნაპოლი-ჯენოა
რომა-ლაციო
ფიორენტინა-მილანი
სამპდორია-პალერმო
სიენა-პარმა
იუვენტუსი-პესკარა
ბოლონია-ტორინო

**XXXII ტური**
13.04.13
პალერმო-ბოლონია
კიევო-კატანია
ატალანტა-ფიორენტინა
კალიარი-ინტერი
ლაციო-იუვენტუსი
მილანი-ნაპოლი
ტორინო-რომა
ჯენოა-სამპდორია
პესკარა-სიენა
პარმა-უდინეზე

**XXXIII ტური**
20.04.13
ჯენოა-ატალანტა
ნაპოლი-კალიარი
სიენა-კიევო
უდინეზე-ლაციო
იუვენტუსი-მილანი
კატანია-პალერმო
ინტერი-პარმა
რომა-პესკარა
ბოლონია-სამპდორია
ფიორენტინა-ტორინო

**XXXIV ტური**
27.04.13
ატალანტა-ბოლონია
მილანი-კატანია
სამპდორია-ფიორენტინა
კიევო-ჯენოა
პალერმო-ინტერი
ტორინო-იუვენტუსი
პარმა-ლაციო
პესკარა-ნაპოლი
რომა-სიენა
კალიარი-უდინეზე

**XXXV ტური**
04.05.13
პარმა-ატალანტა
ლაციო-ბოლონია
კიევო-კალიარი
ნაპოლი-ინტერი
იუვენტუსი-პალერმო
ჯენოა-პესკარა
ფიორენტინა-რომა
უდინეზე-სამპდორია
კატანია-სიენა
მილანი-ტორინო

**XXXVI ტური**
08.05.13
სამპდიორია-კატანია
რომა-კიევო
სიენა-ფიორენტინა
ტორინო-ჯენოა
ატალანტა-იუვენტუსი
ინტერი-ლაციო
პესკარა-მილანი
ბოლონია-ნაპოლი
კალიარი-პარმა
პალერმო-უდინეზე

**XXXVII ტური**
11.05.13
უდინეზე-ატალანტა
პარმა-ბოლონია
იუვენტუსი-კალიარი
ჯენოა-ინტერი
ფიორენტინა-პალერმო
კატანია-პესკარა
მილანი-რომა
ლაციო-სამპდორია
ნაპოლი-სიენა
კიევო-ტორინო

**XXIII ტური**
18.05.13
ტორინო-კატანია
ატალანტა-კიევო
პესკარა-ფიორენტინა
ბოლონია-ჯენოა
სამპდორია-იუვენტუსი
კალიარი-ლაციო
სიენა-მილანი
რომა-ნაპოლი
პალერმო-პარმა
ინტერი-უდინეზე


სერია A საუკეთესო ბომბარდირმა, ზლატან იბრაჰიმოვიჩმა დატოვა

მოსაზრება

# ათი ყველაზე ცუდი ტრანსფერი

## რეიესი, არშავინი და სხვა უთოფო მეთოფეები

**„არსენალის" მთავარი მწვრთნელის არსენ ვენგერის მიერ იან მ'ვილაზე უარის თქმამ ჩვენს უცხოელ კოლეგებს ფრანგი სპეციალისტის სატრანსფერო პოლიტიკაზე წერის სადერლელი აუშალა. გუშინ შემოგთავაზეთ მასალა, სადაც იმ ხუთი ფეხბურთელის ვინაობა გაგაცანით, რომელთა შეძენაზე ვენგერმა თავის დროზე უარი თქვა და შემდეგ ალბათ მწარედაც ინანა. დღეს იმ ფეხბურთელებზე ვიმსჯელოთ, რომლებიც „მეთოფეებმა" რეალურად ტყუილად გადაიბირეს. მასალა დენ კილპეტრიკის კალამს ეკუთვნის და მას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.**

### ანდრეი არშავინი

საკამათო არჩევანია, თუკი მხედველობაში მივიღებთ რუსი ფეხბურთელის თამაშის რიგ მომენტებს. მაგალითად, „ენფილდზე" გატანილ 4 გოლს. თუმცა როგორც არ უნდა ვატრიალოთ, ფეხბურთელმა, ვისი გადაბირებაც „არსენალს" 15 მილიონი ფუნტი დაუჯდა, მასზე გაცემული ავანსი ვერ გაამართლა. ლონდონში თავდამსხმელმა თავი გამოიჩინა მხოლოდ სიზარმაცითა და საქმისადმი უგულო დამოკიდებულებით. ამჟამად 31 წლის ვეტერანს აქვს შანსი მშობლიურ „ზენიტს" დაუბრუნდეს.

### მიკაელ სილვესტრი

ფრანგმა ფეხბურთელმა „მანჩესტერ იუნაიტედი" თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა. მალე ცხადი გახდა, თუ რატომ დათმო **ალექს ფერგიუსონმა** ფეხბურთელი უბრძოლველად. კონტრაქტის ხელის მოწერის მომენტში ის უკვე შორს იყო საუკეთესო ფორმისგან. „მეთოფეთა" რიგებში მან 2 სეზონის განმავლობაში სულ 26 თამაში ჩაატარა და ისე დაშორდა გუნდს.

### სებასტიან სკილაჩი

ფრანგი ცენტრალური მცველი „არსენალში" „სევილიიდან" მოვიდა, თუმცა ვენგერის ნდობა ძალიან მალევე დაკარგა. წარუმატებელი მატჩების მთელი სერიის შემდეგ მწვრთნელმა მას გერმანელი **პერ მერტეზაკერის** სახით ღირსეული ალტერნატივა მოუნახა. შარშანდელ სეზონში ფეხბურთელმა სულ 6 მატჩი ჩაატარა, მათ შორის ერთადერთი პრემიერლიგაში.

### პაკ ჩუ იუნი

2011 წლის ზაფხულზე სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე საათებით ადრე სამხრეთკორეელი თავდამსხმელი გუნდში დათესილი პანიკური განწყობის გამო შეიძინეს. მას მხოლოდ ერთხელ ეღირსა პრემიერლიგის მატჩებში მოედანზე გასვლა. მწვრთნელი შეგირდს მაშინაც კი არ ენდობოდა, გუნდს ჰაერივით რომ სჭირდებოდა დახმარება წინა ხაზში.

### ჟულიო ბაპტისტა

„მხეცი" „არსენალში" „რეალიდან" 2006 წელს გადავიდა. გულშემატკივარი დიდხანს ელოდა მისი „მხეცური" თვისებების დემონსტრირებას. ბრაზილიელმა სეზონის დიდი ნაწილი ულიმღამოდ ჩაატარა. ის თავის გამოჩენას მხოლოდ რეზერვისტთა შორის თუ ახერხებდა.

### ხოსე ანტონიო რეიესი

უმაღლესი კლასის ვინგერი „არსენალმა" „სევილიისგან" 2004 წელს 10,75 მილიონ ფუნტად შეიძინა და გარკვეული პერიოდი გუნდის ყველაზე ძვირად ღირებულ შენაძენად მიიჩნეოდა. რეიესმა არაერთხელ მოახერხა თავისი ოსტატობის დემონსტრირება, თუმცა სტაბილურად მაღალ დონეზე თამაშს მაინც ვერ ახერხებდა. ამასთან ესპანელი ტრავმების გამოც იტანჯებოდა. 2007 წელს რეიესი „რეალში" გადავიდა.

### პასკალ სიგანი

2002 წელს „არსენალს" ფრანგი მცველის შეძენა 2,1 მილიონი ფუნტი დაუჯდა. თუმცა პირველივე შეხვედრებში გასაგები გახდა, თუ რატომ შეიძინა ვენგერმა ეს ფეხბურთელი. სიგანი მშვენივრად თამაშობდა თავით და არასოდეს ერიდებოდა ძალისმიერ ილეთებს ორთაბრძოლებში. თუმცა ის ვერაფრით ახერხებდა მაღალ ტემპში თამაშს. „არსენალიდან" ის „სევილიაში" 2006 წელს გადავიდა.

### რიჩარდ რაიტი

2001 წელს რაიტის შეძენა „არსენალს" 6 მილიონი ფუნტი დაუჯდა და ის **დევიდ სიმენის** პოტენციურ შემცვლელად განიხილებოდა. მან გუნდი ერთი წლის შემდეგ დატოვა, რადგან როცა თამაშობდა, მაშინაც წარმოუდგენელ შეცდომებს უშვებდა. სულ მის ანგარიშზე 12 მატჩი იყო. 2002 წელს ის „ევერტონში" გადავიდა.

### მარუან შამახი

2010 წელს მაროკოელი „არსენალში" უფასოდ გადავიდა, მაგრამ ამის მიუხედავად თქმა, რომ წარმატებული ტრანსფერი იყო, შეუძლებელია. მშვენიერი სტარტის შემდეგ მან ძალიან მალე დაკარგა ფორმა. ფანებმა მის მიერ შეტევების დასრულებაზე ანეკდოტების შეთხზვა დაიწყეს. შარშანდელ სეზონში მან ერთადერთი გოლი „ბლექბერნს" გაუტანა. სულ კი მის ანგარიშზე 8 ბურთია. ვენგერს რა ხანია ფეხბურთელის გაყიდვა სურს, მაგრამ მსურველს ვერ პოულობს.

### ფრენსის ჯეფერსი

მიუხედავად იმისა, რომ ჯეფერსს პროფესიულ ფეხბურთში სულ 4 წლის სტაჟი ჰქონდა, ვენგერმა 2001 წელს მასში 8 მილიონი ფუნტი გადაიხადა. პრესა მას „მომავალ მაიკლ ოუენს" უწოდებდა. ფეხბურთელმა ვერ მოახერხა თავისი პოტენციალის ჩვენება. 4 სეზონის განმავლობაში მან მხოლოდ 22 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა.



ხოსე ანტონიო რეიესმა არსენალში სტაბილურად მაღალ დონეზე თამაში ვერ შეძლო

ამბები



### [illegible]

„ბილდის" ცნობით, „შალკეს" 24 წლის ცენტრალურ მცველს **ბენედიქტ ჰიოვედესს** შესაძლოა „ხუმარების" კაპიტნის სამკლავური ჩამოართვან. ამის თაობაზე ჟურნალისტებთან გელზენკირხენელთა თავკაცმა **ჰუუბ სტევენსმა** განაცხადა. მეტიც, მას გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილიც კი არ აქვს გარანტირებული. *„ჰიოვედესმა მინიმუმ 10%-ით მაინც უნდა მოუმატოს ეფექტურობას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დავინახავთ მოედანზე იმ მოთამაშეს, ვის ხილვასაც შევეჩვიეთ. რაც შეეხება კაპიტნობას, ჩემი აზრით, სამკლავურის გამო ის მეტისმეტად დიდ წნეხს გრძნობს,"* – აცხადებს სტევენსი.

### ჯერ 2, მერე 16

ადრეც ვწერდით, რომ „ლივერპულის" 23 წლის თავდამსხმელის **ენდი კეროლის** გადაბირება „ვესტ ჰემს" სურსო. „ჩაქუჩებმა" მერსისაიდელებს საინტერესო წინადადება შესთავაზეს – 2 მილიონი ფუნტი ერთწლიან იჯარაში და წლის ბოლოს 16 მილიონად მისი გარანტირებული გამოსყიდვა, ოღონდ ერთი პირობით, ლონდონელებმა პრემიერლიგაში ადგილი უნდა შეინარჩუნონ. მათი შეთავაზება აშკარად უკეთესია, ვიდრე „ნიუკასლის" იდეა, ენდი პირდაპირ 16 მილიონად გამოისყიდოს. „ლივერპული" ფეხბურთელს 20 მილიონად აფასებს და წესით, 2 მილიონის დათმობაზე კი უნდა წავიდეს, თუ არ სურს, რომ კეროლმა მომავალ სეზონშიც ბალასტის როლი ითამაშოს.

### ჰადლსტოუნი მინდორს დაუბრუნდა

25 წლის **ტომ ჰადლსტოუნმა** 2011/12 წლების სეზონი პრაქტიკულად მთლიანად გამოტოვა. შუახაზელმა პრემიერლიგის მე-2 და მე-3 ტურებში ითამაშა და ფეხის ტერფის ტრავმის გამო მინდორს ჩამოშორდა. იმავე პერიოდში (ლაპარაკია 18-დან 28 აგვისტომდე მონაკვეთზე) ევროპა ლიგაზეც მოასწრო ორ შეხვედრაში მონაწილეობა შოტლანდიური „ჰართსის" წინააღმდეგ. ჰადლსტოუნს ამ ხნის განმავლობაში ფეხზე ოპერაცია ორჯერ დასჭირდა, შარშან შემოდგომაზე და თებერვალში, მას მერე, რაც ვარჯიში განაახლა და ტრავმა გაიმიზეზა. ფეხბურთში მისი ხელახალი დებიუტი რამდენიმე დღის წინ „ლოს ანჯელეს გალაქსისთან" შედგა. *„გასულმა წელმა მხოლოდ იმედგაცრუება მომიტანა. მხოლოდ ოთხჯერ მოვახერხე მინდორზე გასვლა და შემდეგ ტკივილები დამეწყო, რაც რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა. შოკში ჩავვარდი, როცა გავიგე, რომ განმეორებითი ოპერაცია მჭირდებოდა. ახლა უკვე კონცენტრირებული ვარ მომდევნო სეზონისთვის მზადებაზე,"* – აცხადებს ფეხბურთელი.

### ლილს მცველი დააკლდა

„ლილის" 19 წლის მარცხენა მცველმა **ლუკას დინმა** ვარჯიშზე **ტულიო დე მელოსთან** საჰაერო ორთაბრძოლისას ცხვირი იმდენად სერიოზულად დაიშავა, რომ მას ოპერაციაც კი სჭირდება. ექიმების ვარაუდით, ახალგაზრდას 3 კვირის გამოტოვება მოუწევს. **რუდი გარსიას** გაჭირვებას ესლა აკლდა, ლიგა 1-ის ექსჩემპიონებს უკანა ხაზში სერიოზული „გარღვევა" აქვთ - გარსიას განკარგულებაში ამ წუთას მხოლოდ ხუთი კვალიფიციური მცველია და აქედან **კლოდ დებუში** „ჩემოდნებზე ზის" და „ნიუკასლში" გადასასვლელად ემზადება.

### ჩელსის არსად არ ეჩქარება

„ჩელსის" 31 წლის მარცხენა მცველ **ეშლი კოულს** ხელშეკრულება 2013 წლის ივნისის ბოლოს უმთავრდება. მას კი სურს „სტემფორდ ბრიჯზე" დარჩენა, მაგრამ კლუბს თანამშრომლობის გახანგრძლივება ჯერ არ შეუთავაზებია. „დეილი მირორი" ნაკრების წევრის მდგომარეობას **თეო უოლკოტისა** და **რობინ ვან პერსის** ვითარებას ადარებს და აცხადებს, რომ კოული პოტენციური დამსაქმებლებისთვის არანაკლებ საინტერესო ფიგურა უნდა იყოს.

მარსელი

# უცნაური ამბავი საფრანგეთის თავს

**„მარსელის" სპორტულმა დირექტორმა ჟოზე ანიგომ მცირე ინტერვიუ მისცა ფრანგულ პრესას, სადაც მომავალ სეზონში პროვანსელების პერსპექტივებზე გულწრფელად ილაპარაკა. მასალას მონოლოგის სტილში შემოგთავაზებთ.**

- სტეფან მ'ბიასაც და სესარ ასპილიკუეტასაც აქვთ „მარსელიდან" წასვლის შანსი. ჩვენ ფინანსურად შეზღუდულები ვართ და გადაწყვეტილებას უშუალოდ კლუბში კი არ ვიღებთ, არამედ ამას „მარსელის" მთავარი აქციონერი აკეთებს. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, პატივი ვცეთ მის ნებას. დიახ, მ'ბიაც და ასპილიკუეტაც შესაძლოა წავიდნენ. სესარს აქვს შანსი, რომ რომელიმე დიდ კლუბში გადავიდეს. თუკი გრანდში არ გააგრძელებს კარიერას, უმჯობესია, დარჩეს. ვაღიარებ, ფინანსურად დიდი პრობლემები გვაქვს ასე რომ არ ყოფილიყო, ჩვენთან ახლა რაიან მენდესი და მარვენ მარტენი ითამაშებდნენ.

გუნდთან ელი ბოპის ადაპტაცია კარგად მიდის. ეს არის ადამიანი, ვისაც იოლად ეხერხება დიალოგი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ვფიქრობ, მას არ გაუჭირდება გუნდის გაძლოლა ჩემპიონატის განმავლობაში. იმედი მაქვს, სამწვრთნელო კარიერაში ამხელა პაუზის შემდეგ ის უფრო მონდომებული იქნება. ბოპს ფეხბურთელებს შორის ზოგადად კარგი ატმოსფერო დახვდა. გუნდთან ერთად ემზადება პიერ-ანდრე ჟინიაკიც. ვარჯიშებზე ჯერჯერობით კარგად გამოიყურება, თუმცა ვერ გეტყვით, თამაშებშიც რეგულარულად გაიტანს თუ არა. ყველაფერი მხოლოდ მასზე დამოკიდებული ხომ არ არის.

„პარი სენ-ჟერმენს" შეუძლია ლიგა 1-ის ინტრიგა იოლად დაასამაროს. დადებით გავლენას მოახდენს თუ არა ეს ფრანგულ ფეხბურთზე? არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ. თუმცა უცნაური ისაა, რომ ფრანგულ კლუბს პრაქტიკულად ფრანგი ფეხბურთელების გარეშე ვხედავ, ყოველ შემთხვევაში, ძირითად შემადგენლობაში. მგონი, მსგავსი რამ პირველად ხდება. ყველაფერს გავიღებთ, რომ „პარი სენ-ჟერმენს" მაქსიმალური წინააღმდეგობა გავუწიოთ. დედაქალაქელთა ახალწვეულებს ჯერ კიდევ მოუწევთ ჩვენებურ რეალობასთან შეგუება. მათთვის პატარა მატჩებიც კი შეიძლება დიდ პრობლემებად იქცნენ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ჟოზე ანიგო გუნდის ფინანსურ პრობლემებზე ღიად ალაპარაკდა

ლა ლიგა. ტრანსფერები


ხოან კაპდევილა ესპანეთს და ესპანიოლს დაუბრუნდა

# ჯადოსნური სამკუთხედი

## ალბამ კაპდევილას ადგილი დაიკავა, ვილამ ალბასი, კაპდევილამ ვილასი

### ვალენსიას ახალი მარცხენა მცველი ჰყავს...

„ვალენსიამ" **ხორდი ალბას** შემცვლელი იპოვა - „მილანისგან" ერთი სეზონით ესპანელი მცველი **დიდაკ ვილა** ითხოვა. 23 წლის მარცხენა მცველის ხელში ჩასაგდებად, „ლოს ჩეს" ხელმძღვანელობამ 700 ათასი ევრო გაიღო. ხელშეკრულების თანახმად, თუკი დიდაკ ვილა „მესტალიაზე" წარმატებით ითამაშებს, კლუბს აქვს უფლება მისი გამოსყიდვის. კონტრაქტში თანხაც მითითებულია, თუმცა ის საჯაროდ არ გახმაურებულა. დიდაკ ვილა მეტეორივით შემოიჭრა ესპანურ ფეხბურთში, მან „ესპანიოლში" ისე კარგად ითამაშა, რომ 2011 წლის იანვარში ის „მილანმა" შეიძინა. იტალიაში დიდაკს საქმეები კარგად ვერ წაუვიდა, მან მხოლოდ ერთხელ მოირგო სერია A-ში „მილანის" ფორმა. გასული სეზონი კი ესპანელმა სამშობლოში, იმავე „ესპანიოლში" გაატარა, ოღონდ უკვე იჯარით. დიდაკ ვილა ევროპის 2011 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებულია ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში.

სავარაუდოდ, „მილანი" დიდაკ ვილას სეზონის ბოლოს 5 მილიონი ევროს სანაცვლოდ დაემშვიდობება. შეგახსენებთ, რომ ხორდი ალბა „ბარსელონას" 14 მილიონი ევრო დაუჯდა.

### ...ესპანიოლსაც

არც „ესპანიოლში" დარჩა მარცხენა მცველის პოზიცია ვაკანტური - სამშობლოში მსოფლიოს ჩემპიონი მცველი, **ხოან კაპდევილა** დაბრუნდა. სწორედ ის, ვისი ადგილიც დაიკავა ეროვნულ ნაკრებში ხორდი ალბამ. 34 წლის ვეტერანი „ესპანიოლში" ითამაშებს, რომელიც მან 1999 წელს დატოვა.

კაპდევილა „ესპანიოლმა" ლისაბონის „ბენფიკადან" გადაიყვანა და ერთი პლუს ერთი ხელშეკრულება გაუფორმა. მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კაპდევილა „ვილიარეალიდან" პორტუგალიაში გადაბარგდა, სადაც კარიერა ვერ აეწყო. *„მოხარული ვართ, რომ ხოან კაპდევილა დავიმატეთ. მას დიდი და წარმატებული კარიერა ჰქონდა"*, - იტყობინება „ესპანიოლის" ოფიციალური საიტი. კაპდევილას 250-ზე მეტი მატჩი აქვს ლა ლიგაში ნათამაშები.

### სხვა ტრანსფერები

ამ დღეებში ჩვენ უკვე ვწერდით კოტდივუარელი **კოფი ნდრი რომარიკის** ტრანსფერზე „სევილიადან" „სარაგოსაში". „ბარსელონაში" არგენტინელი **სერხიო არაუხოს** მისვლაზეც ვწერდით. ქვემოთ გთავაზობთ ბოლო დღეებში ესპანურ კლუბებში განხორციელებულ ყველა ტრანსფერს, რომელიც ლა ლიგის კლუბებს ეხება. გამოვარჩევთ 27 წლის ბერძენი მარცხენა მცველის, **ნიკოლაოს კარაბელასის** გადასვლას ათენის აეკ-იდან ევროპალიგაზე მოთამაშე „ლევანტეში". ლა ლიგაში ალზევებულმა ვიგოს „სელტამ" 32 წლის ვეტერანი ცენტრალური მცველი **დავიდ კატალა** დამსახურებულ პენსიაზე გაუშვა - კვიპროსულ „ლარნაკაში". „მალაგა" პორტუგალიელ მცველ **ელდერ როსარიოს** დაემშვიდობა, 32 წლის ფეხბურთელი „პონფერადინაში" გადაბარგდა. ფრანგი **ჟულიენ ესკუდე** კი „სევილიამ" მილიონ ევროდ დაუთმო სტამბოლის „ბეშიქთაშს".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


დიდაკ ვილა ვალენსიისთვის გაირჯება

**ბოლო დღეებში ლა ლიგაში განხორციელებული ტრანსფერები**

| თარიღი | ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 23 ივლ | ვადიმ დემიდოვი (ნორ) | სოსიედადი | აინტრახტი | თავ. აგენტი |
| 23 ივლ | კალუ უჩე (ნიგ) | ესპანიოლი | კასიმპაშა | 1,5 მლნ. ევრო |
| 23 ივლ | იკეჩი ანია (შოტ) | გრანადა | უოტფორდი | იჯარა |
| 23 ივლ | პედრო მოსკერა | ხეტაფე | რეალი II | იჯარა |
| 23 ივლ | ხუან ანხელ ნეირა (არგ) | ლანუსი | ვალიადოლიდი | იჯარა |
| 24 ივლ | ტიბერიო გუარენტე (იტა) | სევილია | ბოლონია | იჯარა |
| 24 ივლ | ხავი ალამო | უელვა | სარაგოსა | 0,5 მლნ. ევრო |
| 24 ივლ | ჯეფრი კონდოგბია (საფრ) | ლანსი | სევილია | თავ. აგენტი |
| 24 ივლ | ხავიერ კასკერო | ხეტაფე | ალმერია | თავ. აგენტი |
| 24 ივლ | სებასტიან ეგურენი (ურუ) | სპორტინგი | ლიბერტადი | თავ. აგენტი |
| 24 ივლ | დამიან სუარესი (ურუ) | სპორტინგი | ელჩე | თავ. აგენტი |
| 25 ივლ | ესეკიელ კალვენტე | ბეტისი | ფრაიბურგი | იჯარა |
| 25 ივლ | ტიაგო გომეში (პორ) | ერკულესი | ბლექპული | თავ. აგენტი |
| 25 ივლ | ჯეისონ მურილიო (კოლ) | გრანადა | ლას პალმასი | იჯარა |
| 25 ივლ | ჟულიენ ესკუდე (საფრ) | სევილია | ბეშიქთაში | 1 მლნ. ევრო |
| 25 ივლ | პაბლო ორბაისი | ბილბაო | რუბინი | თავ. აგენტი |
| 25 ივლ | სერხიო არაუხო (არგ) | ბოკა | ბარსელონა II | იჯარა |
| 25 ივლ | ალექს ბერნალი | ბეტისი | გრანადა | თავ. აგენტი |
| 25 ივლ | ივან გონსალესი | მალაგა | რეალი II | თავ. აგენტი |
| 25 ივლ | აბელ აგილარი (კოლ) | ერკულესი | დეპორტივო | იჯარა |
| 26 ივლ | ელდერ როსარიო (პორ) | მალაგა | პონფერადინა | თავ. აგენტი |
| 26 ივლ | ნდრი რომარიკი (კოტ) | სევილია | სარაგოსა | თავ. აგენტი |
| 26 ივლ | ნიკოლაოს კარაბელასი (საბ) | აეკ | ლევანტე | თავ. აგენტი |
| 27 ივლ | დავიდ კატალა | სელტა | აეკ ლარნაკა | თავ. აგენტი |

ლა ლიგა. ამხანაგური მატჩები

# მოურინიო სამშობლოში შეარცხვინეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

**26 ივლისი**

**ელაზიგსპორი-ხეტაფე 0:2**

**ხეტაფე:** კოდინა - აბრაამი, მ. ტორესი, სარაბია, გავილანი - ლაფიტა - რაფა, აროიო - მიჩელი - ხ. როდრიგესი, კოლუნგა.

**შეცვლაზე შევიდნენ:** ალბერტო, ლასენი, მიკუ, დ. კასტრო, გუისა და უგო.

**გოლები:** 0:1 გუისა (55), 0:2 სარაბია (59)

**პერალადა-ესპანიოლი 0:2**

**ესპანიოლი:** კასილია - ხ. ლოპესი, ფორლინი, დუარტე, ვაკასო - ბაენა, ტეხერა - ნიეტო, ალბინი, რუი ფონტე - ს. გარსია.

**შეცვლაზე შევიდნენ:** ბადია, გალანი, კოლოტო, მორენო, ვ. ალვარესი, ვ. სანჩესი, კ. გომესი, ტიევი, ალფონსო, ვერდიუ და ა. ვასკესი.

**გოლები:** 0:1 ტეხერა (15), 0:2 ალფონსო (91)

**27 ივლისი**

**ლილი-ბილბაო 3:1**

**გოლები:** 1:0 ბასა (45), 2:0 კალუ (66), 2:1 ი. გომესი (67), 3:1 დე მელო (68)

**გაძევება:** რამალიო (81. ბილბაო)

**უტრეხტი-რაიო ვალეკანო 0:1**

**გოლი:** 0:1 ლ. ბანგურა (11)

**ბენფიკა-რეალი 5:2**

**გოლები:** 1:0 ხ. გარსია (4), 1:1 კალეხონი (18), 1:2 კალეხონი (20), 2:2 ვიტსელი (22), 3:2 ე. პერესი (53), 4:2 მარტინში (58), 5:2 ე. პერესი (85)


ბენფიკა-რეალი, ვიტსელი გრანეროს წინააღმდეგ



# ქართველი ოლიმპიელები

london 2012

მშვილდოსნობა. ოლიმპიადა

## ესებუამ ჩემპიონებს დაუმიზნა

### ქართველის მძიმე ხვედრი ოლიმპიადაზე


ქრისტინე ესებუა

დღეს ლონდონში მშვილდოსან ქალთა საკვალიფიკაციო შეჯიბრება გაიმართა, რომელიც **ქრისტინე ესებუამ** 642 ქულით და 34-ე ადგილით დაასრულა. ამ შედეგით ის 64-კაციანი სიის შუაში დამკვიდრდა და პლეი ოფის პირველივე წრეში - 1/32-ედფინალში საინტერესო წყვილი მივიღეთ - ესებუა ჩილელ მსოფლიოს ჩემპიონ **დენისე ასტრიდ ვან ლემოენს** ხვდება ანუ მსოფლიოს პირველობის ფინალი მეორდება. შეგახსენებთ, რომ ჩვენებური მასთან შარშან მსოფლიოს პირველობის გადამწყვეტ შეხვედრაში დამარცხდა.

ჩვენებურს ლონდონში ძალიან მძიმე წილისყრა ერგო - ჩილელს თუ გასცდება, სავარაუდოდ, მომდევნო მეტოქე სამხრეთკორეელი მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი, შესარჩევ ეტაპში მეორეზე გასული **სუნგ ჯინ ლეე** იქნება, ამ წრესაც თუ გაივლის და შესაძლოა, ბრიტანელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონსა და ოლიმპიურ მედალოსან **ალისონ ვილიამსონს** შეხვდეს, რომლის შემდეგაც საკმაოდ ძლიერი დანიელი **კარინა კრისტიანსენია** ცხრილში... ერთი სიტყვით, ესებუას მედლისთვის დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევს. ვფიქრობთ, ჩილელი ტრაგედია არაა - ის არც შარშანდლამდე მიიჩნეოდა ფავორიტად და არც მას მერე მოუპოვებია ტიტული, თორემ ლიდერი არაა. ვფიქრობთ, მან პიკი სწორედ მსოფლიოზე გადაიარა და ვიქონიოთ იმედი, ესებუა თავისი ჟინიანი, მებრძოლი ხასიათით რევანშს შეძლებს. ჩილელზე ბევრად უფრო ძლიერი კორეელი გვგონია, რომელიც ოლიმპიურ ციკლში ნაკლებად ჩანდა. ის საკმაოდ ახალგაზრდაა - 27 წლისა, თუმცა კარიერის პიკზე სულ მთლად ბავშვი ავიდა. ის ათენის ოლიმპიადაზე 18 წლისა გუნდურში ჩემპიონი გახდა, პირადში კი მხოლოდ ფინალში დამარცხდა იმხანად მსოფლიოს ჩემპიონ თანაგუნდელ **სუნგ ჰიუნ პარკთან**. მას რევანში მომდევნო წელს მადრიდში გამართულ მსოფლიოს პირველობაზე აუღო, სადაც მერე ფინალიც მოიგო და გუნდურშიც გაიმარჯვა. უდავოა, მისი სახით ესებუას ძლიერი მეტოქე ელოდება (ცხადია, ჯერ იქამდე უნდა გავიდეს), მაგრამ გავიხსენოთ მსოფლიოს შარშანდელი პირველობა, სადაც ჩვენებურმა სამხრეთ და ჩრდილოკორეელი, ჩინელი, ინდოელი, ბრიტანელი მეტოქეები დაამარცხა. ვიქონიოთ იმედი, რომ ესებუა ამჯერადაც შემოგვთავაზებს სიურპრიზს, თუმცა ეს მისი მხრიდან უკვე მოულოდნელობა არ იქნება.

გუშინ ქართველმა ასპარეზობა 10-იანით დაიწყო - პირველივე ისარი ფარის შუაგულს დაასვა, თუმცა მთლიანად ტურნირზე უმაღლესი ქულა საკმაოდ ცოტა ჰქონდა - 72-დან მხოლოდ 15. საინტერესოა, რომ 12 სერიიდან 9-ში პირველი ისარი 10-იანს გაარტყა, თუმცა მერე ამის გაკეთება უჭირდა. სტატისტიკისთვის გეტყვით, რომ 3 სერიაში 60-დან 50 ქულა დააგროვა, 2-ში - 53, ერთხელ - 54, 4-ჯერ - 55 და 2-ჯერ - 56.

პლეი ოფის ორი წინასწარი ეტაპი სამ დღეზეა გათვლილი, თუმცა ესებუა შეხვედრებს ჩილელთან და, თუ მოუგო, კორეელთანაც 31 ივლისს გამართავს, დანარჩენ ორთაბრძოლებს კი 2 აგვისტოს გამართავს. ცხადია, ამდენ ეტაპს თუ გაივლის.

აქვე გეტყვით, რომ ესებუამ პეკინის ოლიმპიადაზეც ლამის ასეთი შედეგი აჩვენა - საკვალიფიკაციო ეტაპი 643 ქულით დაასრულა. კიდევ ერთი საინტერესო პარალელი ჩინურ თამაშებთან - იქ შესარჩევში მეოთხე შედეგი **ხათუნა ნარიმანიძემ** აჩვენა, ახლაც მეოთხე შედეგზე ისევ ქართველი და ისევ ხათუნა, ოღონდ უკვე ამერიკის სახელით მოასპარეზე **ხათუნა ლორიგია (ქვრივიშვილი)**. პეკინისგან განსხვავება ისაა, რომ მაშინ შესარჩევი სამხრეთკორეელებმა მოიგეს - პირველ სამ ადგილზე ისინი იყვნენ, ახლა კი ორია ლიდერებში - **ბო ბაე** კი პირველია, ლეე - მეორე. მესამე პოზიციაზე ტაივანელი **ია-ტინგ ტანია,** რომელსაც ლორიგი მოსდევს, ხუთეულს კი ისევ ტაივანელი **ჩია-ენ ლინი** აგვირგვინებს. მესამე კორეელი 21-ეა, ჩინელები კი საკმაოდ სუსტად გამოვიდნენ - მათი საუკეთესო შედეგი მე-20-ე ადგილია. აღსანიშნავია, რომ სამეულში სამივეს ერთნაირი ქულა - 671 აქვთ. ქალთა გუნდურ ტურნირშიც ის მოწინავე ქვეყნები ლიდერობენ - კორეა 1993 ქულით პირველია, აშშ - მეორე 1979-ით, ტაივანი კი - მესამე 1976-ით.

კორეელები ლიდერობენ ვაჟთა შორისაც - მოწინავე სამეულში მხოლოდ ისინი შედიან. სუსტად გამოვიდა უკრაინელი ოლიმპიური ჩემპიონი **ვიქტორ რიბანი** - 43-ეა 660-ით, ამაზე მეტს კი უკვე ჩვენი მშვილდოსნები აკეთებენ. ვაჟთა გუნდურ ტურნირს კორეელები ლიდერობენ 2087 ქულით, მეორეზე ფრანგები არიან 2021-ით, მესამეზე - ჩინეთი 2019-ით.

წარდგენა

## იაპონელთა ქართველი თავსატეხი

**ავთანდილ ჭრიკიშვილი**

ძიუდო (81 კგ).

**დაიბადა:** 1991 წლის 18 მარტს გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოში.

ახალგაზრდებში ევროპისა (2010) და მსოფლიოს (2010) ჩემპიონი, ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი (2009); უფროსებში გუნდურში ევროპის ჩემპიონი (2012) და მესამე პრიზიორი (2011); საქართველოს ბრინჯაოს მედალოსანი (2010), საერთაშორისო ტურნირების 4-გზის გამარჯვებული.

**მწვრთნელი:** გურამ მოდებაძე

დებიუტანტი

**ავთანდილ ჭრიკიშვილი** ძიუდოისტთა ნაკრების კიდევ ერთი დებიუტანტი და ახალი თაობის ერთ-ერთი ყველაზე იმედის მომცემი წარმომადგენელია. მან სახელი ახალგაზრდულ ნაკრებში გაითქვა, მისი კარიერის პიკად კი ჯერჯერობით 2010 წელიწადი რჩება, როცა 20-წლამდელთა შორის დუბლი შეასრულა - ევროპაც მოიგო და მსოფლიოც. ევროპის პირველობაზე გამარჯვება თითქოს არც გაგვკვირვებია, რადგან ჭრიკიშვილი იმ დროს უკვე ლიდერად იყო ჩამოყალიბებული. აი, მსოფლიოზე კი ნამდვილი გმირობა შემოგვთავაზა - სხვებთან ერთად ორ იაპონელსაც დამაჯერებლად მოუგო, ცხადია, მთავარი არა იაპონელთა ფაქტორი, არამედ მისი ჭიდაობის მაღალი ხარისხი იყო.

ჭრიკიშვილმა ფინალიც და ის ჩემპიონატიც მშვენიერი გდებით დაასრულა - დამთავრებამდე ორიოდე წამით ადრე ვა-ბანკზე წასული კიტანო ჯიქურ მიახტა ჩვენებურს, რომელიც თავიდანვე მხარმარჯვნივ დაუდგა გამოქცეულ მეტოქეს და კისრულით ჰაერში ისეთი სალტო შემოახაზინა, ლამის ტატამის მიღმა გადააგდო. ეს იყო ძალიან ლამაზი, უფრო დადგმული შოუსთვის განკუთვნილი გდება, თუმცა რისკიანიც, მაგრამ აზრიანი ჭიდაობით გამორჩეული ქართველი თავიდანვე შესაძლო კონტრშეტევის მოსაგერიებლად დადგა.

ჭრიკიშვილი მოაზროვნეთა კატეგორიას მიეკუთვნება - ტატამზე ფიქრობს, უშუალოდ ჭიდაობის მიმდინარეობისას ცვლის სტილს ვითარებიდან გამომდინარე.

ბუნებრივია, წინასწარ არ ვიცით, რას იზამს ჭრიკიშვილი ლონდონის ოლიმპიადაზე, მაგრამ წილი უკვე ნაყარია და მის შანსებზე საუბარი უკვე შეიძლება. ალბათ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას გაუმართლა, რადგან განუთესავს ბევრად ძნელი ბადეც შეიძლებოდა შეხვედროდა.

ახლა კი განთესილთაგან მასთან ყველაზე ახლოს ამერიკელი **ტრევის სტევენსია**. ამერიკელი ნამდვილად არაა წონის ფავორიტი - მან რეიტინგში ასე მაღალი ქულები ძირითადად პანამერიკულ და შედარებით დაბალი რანგის შეჯიბრებებში დააგროვა. ჭრიკიშვილი სტევენსს მხოლოდ ერთხელ შეხვდა და ისიც მოუგო - 2010-ში ძიგორო კანოს მემორიალზე.

ჩვენებურის პირველი მეტოქე ხორვატი **ტომისლავ მარიჯანოვიჩია**. ჭრიკიშვილის მხარეს ძლიერთაგან გილეირო აღმოჩნდა, ოღონდ მას მეოთხედფინალამდე ვერ შეხვდება.

გვერდი მოამზადა
**ირაკლი თავაძემ**

ანონსი

ტყვიის სროლა. ოლიმპიადა

## მედროშე - სასროლეთზე

ხვალ ოლიმპიადაზე ჩვენი მედროშე და ოლიმპიური გუნდის ლიდერი, ევროპის სამგზის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** ისვრის პნევმატური იარაღიდან. შეჯიბრება თბილისის დროით 12 საათზე დაიწყება საკვალიფიკაციო ეტაპით, მისი 8 საუკეთესო მსროლელი კი 14.45-დან ფინალში იასპარეზებს. პირდაპირ რეპორტაჟს აღნიშნულ დროს საზოგადოებრივ მაუწყებელზე ნახავთ.

აქვე კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ სალუქვაძე თავის მეშვიდე ოლიმპიადაზე გამოვა, თუმცა ამ მხრივ ქალთა შორის საერთაშორისო მასშტაბით რეკორდსმენი ვერაა - სერბეთის ფედერაციამ ერთი საგზური მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურ ჩემპიონ **იასნა სეკარიჩს** მისცა თავისი სხვა მსროლელის ხარჯზე. სეკარიჩი მხოლოდ სპორტულში გამოვა 1 აგვისტოს, თუმცა ამით სალუქვაძეს გაუთანაბრდება ოლიმპიადებში მონაწილეობის მხრივ.

ძიუდო. ოლიმპიადა

## დღეს - შუკვანი, ხვალ - შავდათუაშვილი

დღეს ლონდონში ძიუდოისტთა შეჯიბრება იწყება, რომელშიც ვაჟთაგან 60, ქალთაგან კი 48-ის წარმომადგენლები გამოვლენ. ჩვენგან მხოლოდ **ბეთქილ შუკვანი** იჭიდავებს, რომელსაც წილისყრამ მეტ-ნაკლებად გაუმართლა და მედლის შანსი აქვს.

ქართველი პირველ წრეში ავსტრალიელ **ამიენ დიკინსს** ხვდება, მას თუ მოუგებს, ფრანგ ევროპის ჩემპიონ **სოფიენ მილუს** შეხვდება. დაგვეთანხმებით, განუთესავს ბევრად ძლიერი შეიძლებოდა შეხვედროდა. შუკვანს ფრანგთან არ უჭიდავია. სამაგიეროდ, ის ორჯერ დაუმარცხებია ამირან პაპინაშვილს ანუ შუკვანსაც აქვს რეალური შანსი, თუმცა ჩვენებურს თითი სტკივა - წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე მანქანის კარში მოიყოლა.

განთესილთაგან შუკვანის მხარეს მოხვდნენ იაპონელი მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი **ჰიროაკი ჰიროაკა**, უკრაინელთა ქართველი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **გიორგი ზანთარაია** და განუთესავი სომეხი ევროპის მედალოსანი **ჰოვანეს დავთიანი**. სომეხს შუკვანმა შარშან ევროპირველობაზე კი მოუგო, მაგრამ ის ჩვენებურისთვის მაინც უხერხული მეტოქეა, თუმცა შუკვანამდე ჯერ გერმანელი **ტობიას ენგლმაიერი** უნდა დაამარცხოს, მერე კი - ზანთარაიაც, რაც საკმაოდ რთული ამოცანაა.

ხვალ ლონდონში ვაჟთაგან 66, ქალთაგან კი 52 კილოგრამები იასპარეზებენ. ადრეულ ეტაპზე განთესილები ანუ წონის ლიდერები არც **ლაშა შავდათუაშვილს** (66) ერგო - მხოლოდ მეოთხედფინალში ხვდება მონღოლ მსოფლიოს ჩემპიონსა და ოლიმპიურ პრიზიორ **ხაშბაატარ ცაგანბაატარს**, იმ ეტაპზე კი რომც წააგოს, დამამშვიდებელში მაინც გადავა. ჩვენებური პირველ შეხვედრას ჩილელ **ალეხანდრო სუნიგასთან** გამართავს, მერე კი მისი მომავალი მეტოქე რუმინელი **დან ფასიეს**, ებრაელ **გოლან პოლაცკისა** და ფრანგ **დავიდ ლაროსეს** შორის გაირკვევა. ორივე დღეს 12.30-დან საზოგადოებრივი მაუწყებელი პირდაპირ რეპორტაჟს შემოგთავაზებთ (შუკვანი სულაც ტურნირს გახსნის - პირველივე ჭიდაობს), როგორც ფინალებისას - 19.10-დან.

Oxford MEDICAL

პროსტატიტი -მამაკაცური პრობლემის მარტივად მოგვარება!



ვიტალი ბერიშვილი

უროლოგია
- პოტენციის აღდგენა ასაკისა და თანმდევი დაავადებების მიუხედავად
- ნაადრევი ეაკულაციის ეფექტური მკურნალობა.
- პროსტატიტის და პროსტატის ადენომის დიაგნოსტიკა და მკურნალობა

გინეკოლოგია
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები. საშვილოსნოს ყელის ეროზიის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და მკურნალობა უახლესი აპარატურით.
- პრემენსტრუალური ტკივილების მკურნალობა.
- მედიკამენტოზური აბორტი

პროქტოლოგია
- ბუასილის მკურნალობა უსისხლოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ლიგირების მეთოდით.
- სწორი ნაწლავის ნაპრალის ეფექტური მკურნალობა.

კოსმეტოლოგია
- ეპილაცია
- მკურნალობა ELOS უახლესი აპარატით

დერმატოლოგია
- კანის, თმის, ფრჩხილების დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

ანონიმურობა დაცულია!

დიდი ხანია ქრონიკული პროსტატიტის მკურნალობის პრობლემების მიმართ მედიკოსთა ინტერესი არ სუსტდება. ეს დაავადება მედიცინის გარდა, სოციალური პრობლემაც გახდა. ცნობილია, რომ ახალი და ძვირად ღირებული მკურნალობის მეთოდების შემოღების მიუხედავად, ქრონიკული პროსტატიტი სრულ განკურნებას თითქმის არ ექვემდარება, ვინაიდან დაავადების ხანგრძლივი არსებობის შედეგად (დაგვიანებული მკურნალობა), წინამდებარე ჯირკვალში (პროსტატაში) ვითარდება ისეთი მორფოლოგიური ცვლილებები, რომლებიც შენარჩუნებულია მთელი ცხოვრების განმავლობაში. როგორც ჩვენთან საუბარში ექიმი უროლოგი ვიტალი ბერიშვილი აღნიშნავს, პროსტატის ინფექციური დაავადებები სიცოცხლისთვის საშიში არ არის, მაგრამ მისმა ხანგრძლივობამ შესაძლოა უშვილობა, სექსუალური დარღვევები და სხვ. პრობლემები გამოიწვიოს.

– ახალი, თანამედროვე, ორგანიზმისთვის ნაკლებად საზიანო სამკურნალო ტექნოლოგიების დანერგვა ძალზე ეფექტურია. ქლამიდიური პროსტატიტის მკურნალობისას მიღწეული შედეგების მიუხედავად, საკმაოდ გავრცელებულია და სქესობრივად გადამდები ინფექციების სტრუქტურაში 70 %-ს შეადგენს. ყოველწლიურად მსოფლიოში ქლამიდოზით დაავადების 80 მილიონამდე შემთხვევა აღინიშნება და უფრო მეტად ახალგაზრდები ავადდებიან. ქლამიდიური პროსტატიტის მკურნალობის გაუმჯობესების აუცილებლობა გამოწვეულია მისი არარაციონალური კვებისა და თვითმკურნალობის სიხშირით. დაავადება ხანგრძლივი მიმდინარეობისას იწვევს ისეთ გართულებებს, როგორიცაა, ეპიდიდიმიტი, პროსტატიტი, უშვილობა, სექსუალური დარღვევები. არსებობს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მრავალი მეთოდი. მაგალითად, ანტიბიოტიკებით მკურნალობისას შეიძლება მიღწეულ იქნეს შარდის სტერილიზაცია, მაგრამ ინფექცია დიდხანს შენარჩუნდეს პროსტატის ქსოვილში. ანტიბიოტიკების დიდი რაოდენობის მიღება იწვევს უარყოფით ზემოქმედებას: – იმუნიტეტის დაქვეითება, დისბაქტერიოზი და სხვ. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ პროსტატა წარმოადგენს ქლამიდიური ინფექციის რეზერვუარს. ანატომიური თვისებების გამო, მის ქსოვილში გაძნელებულია ანტიბიოტიკების შეღწევა მათი ტრადიციული (დალევა, ინტრავენურად, კუნთში) მიღების დროს, რაც ანტიბიოტიკების რაოდენობისა და მკურნალობის ხანგრძლივობაზე აისახება და უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმზე.

თამაზი, 48 წლის:

– გავიგე, რომ ამ კლინიკაში დანერგილია და ფართოდ გამოიყენება მკურნალობის უახლესი ტექნოლოგიები, კერძოდ, ანტიბიოტიკების ორგანიზმში ლიმფოტროპული გზით შეყვანა. უახლესი დაბალინტენსიური მაგნიტოლაზერული აპარატურის გამოყენებით, ეფექტი გაიზარდება და მედიკამენტების რაოდენობა შემცირდა. მკურნალობისთვის ხანგრძლივობა შემცირდა და სტაბილურ შედეგიც მივიღე.

Oxford MEDICAL

229 00 66; 229 47 47
მის: თბილისი, ფალიაშვილი 15
Email: oxford.tbilisi@gmail.com

დელიკატური პრობლემების დელიკატური გადაწყვეტა

ნომრის სტუმარი

# რობერტ შავლაყაძის ოქროს სიმაღლე



**დიდ სპორტს რომ შემოვრჩი, ეს გაზეთ „ლელოს" დამსახურებაა. ჭაბუკობისას ჩავარდნები მქონდა და მძლეოსნობისთვის თავის დანებებას ვაპირებდი, მაგრამ გაზეთის თანადგომამ გამამხნევა და გადაწყვეტილება შემაცვლევინა. დიდი მადლობა, რომ პატივი დამდეთ და ჩემს საყვარელ გაზეთში მომიწვიეთ, - ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი „ლელოს" გუშინდელმა სტუმარმა, 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა და რეკორდსმენმა, 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადის მონაწილემ (IV-V ადგილები), ევროპის ჩემპიონატის მე-3 პრიზიორმა, სსრკ ჩემპიონმა (1964), სოციალისტური ქვეყნების თამაშების შვიდგზის ოქროს მედალოსანმა, „გიგანტთა მატჩის" გამარჯვებულმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რობერტ შავლაყაძემ, რომელიც 1981-1993 წლებში საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის კათედრას ხელმძღვანელობდა. წლების სიმძიმის მიუხედავად, იგი დღესაც "სპორტის დედოფალს" უდგას გვერდით. სახელოვან ვეტერანს, უპირველესად, ნახევარი საუკუნის წინანდელი რომაული პაექრობებისა და 1960 წლის ოლიმპიადასთან დაკავშირებული ამბების გახსენება ვთხოვეთ.**

- აბა, რა გითხრათ, ლამის მთელი სპორტული კარიერა დაკერებული ქაცვიანი ფეხსაცმლებით გავატარე. მონდომების, ჟინისა და ტექნიკის ხარჯზე ვაღწევდი შედეგებს, მარცხის სინანულიც მახსოვს და გამარჯვებებით გამოწვეული სიხარულიც, თუმცა რომის ოლიმპიურ თამაშებს, ცხადია, ვერაფერი შეედრება, - ეს თქვა სტუმარმა, წამით შეისვენა და თვალი მოავლო სივრცეს, თითქოს იქ ეძებსო გარდასულ დღეთა დაუვიწყარ კადრებს...

მარადიული ქალაქის ოლიმპიური სტადიონი. სიმაღლეზე ხტომის სექტორთან უამრავ ქომაგს მოეყარა თავი ხუთგზის მსოფლიოს რეკორდსმენის, ჩიკაგოელ კენგურუდ მონათლულ ჯონ თომასის მორიგი გამარჯვების საყურებლად. ჟურნალისტები მოსვენებას არ აძლევდნენ. მაშინ ის მძლეოსანთა შორის უდიდესი ვარსკვლავი იყო. ჩვენს სპორტსმენს ამერიკელთან ერთად ქუჩაშიც ხშირად შეხვედრიან, მაგრამ ჟურნალისტები მხოლოდ ქართველ მეტოქეზე 12 სანტიმეტრით მაღალ თომასს აქცევდნენ ყურადღებას.



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

საბჭოთა ათლეტები ერთხელ ოკეანისგაღმელთა ვარჯიშს დაესწრნენ. აი, რას წერდა ამის შესახებ „დეილი ამერიკენი": „გუშინ ჯონ თომასმა რუსი მხტომელების თანდასწრებით შესანიშნავი ვარჯიში ჩაატარა. ეს უკვე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური უპირატესობაა. რუსები პანიკაში არიან". არადა, რას იფიქრებდნენ ამერიკელები, რომ შავლაყაძემ სწორედ იმ ვარჯიშზე ირწმუნა თომასის დამარცხება.

- ამერიკელმა ვარჯიშზე საოცარი მაკრატელა გვიჩვენა: ერთი ფეხი მინაზე ედგა, მეორე საფეხბურთო კარის ხარიხის ზემოთ ასწია. სიმაღლეზე ხტომებისას მწვრთნელი ჩვენს გასაგონად ხმამაღლა აცხადებდა შედეგებს - 210, 215, 220 სანტიმეტრი აიღეო. ჩემს თანაგუნდელებს - ვალერი ბრუმელსა და ვიქტორ ბოლშოვს ლამის გული შეუღონდათ. თომასის შესაძლებლობებმა გულგრილი დამტოვა-მეთქი, რომ გითხრათ, ტყუილი იქნება, მაგრამ ნამდვილად არ შემშინებია. პირიქით, ბრძოლის ჟინი მომემატა. სხვა შეჯიბრებებისგან განსხვავებით, ოლიმპიურ თამაშებში ფსიქოლოგიურ მომზადებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ კი მართლაც გამობრძმედილი ვიყავი, რადგან საკავშირო პირველობებზე უამრავ უსამართლობას ვუძლებდი...

27 წლის ქართველ სპორტსმენს იმ დღეს, მართლაც, ნერვიც არ ატოკებია. ფავორიტებმა შეჯიბრება 190 სანტიმეტრი სიმაღლით დაიწყეს, მერე 195 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლნენ, შავლაყაძემ ორივე სიმაღლე გამოტოვა და იქვე სარბენ ბილიკებზე სპრინტერთა შეჯიბრების საყურებლად შებრუნდა.

- რობერტ, რას შვრები?! - უყვიროდა ტრიბუნიდან საკავშირო ნაკრების მწვრთნელი ვლადიმირ დიაჩკოვი. ყურადღება არ მიუქცევია მისთვის - თავისი „შპარგალკით" მოქმედებდა. მთავარი მეტოქეები 2 მეტრზე რომ ავიდნენ, მაშინ გამოიყენა პირველი ცდა. მერეც წარმატებით დაძლია 203, 206, 209, 211 სანტიმეტრი...

სწორედ იმ დღეს, პირველ სექტემბერს, თბილისში, ვახუშტის ქუჩაზე მდებარე ბინიდან რობერტ შავლაყაძის დედა - ღრმად მორწმუნე ქალბატონი, უთენია ფეხშიშველა მივიდა დიდუბის ეკლესიამდე, სამჯერ შემოუარა ტაძარს, დარაჯს კარი გაალებინა, უფლის ხატთან სანთლები დაანთო, ილოცა და შინ, ასევე, ფეხშიშველა დაბრუნდა. ის იყო, ოთახში შევიდა, რომ ფანჯარას მტრედი მოაწყდა. დედას კეთილად ენიშნა ეს. ოჯახის წევრები გაალვიძა და უთხრა - რობერტი ჩემპიონი დაგვიბრუნდებაო...

- 1957 წელს საკავშირო პირველობა თბილისში ჩატარდა. - განაგრძო თხრობა ბატონმა რობერტმა. - საქართველოს ნაკრები დილმის საწვრთნელ ბაზაზე ემზადებოდა. შეჯიბრების დღეს საწოლზე წამოწოლილი ველოდებოდი სტადიონზე გამგზავრებას. ხანგრძლივმა სიჩუმემ დამაეჭვა. გარეთ გამოვედი და რას ვხედავ - კაციშვილის ჭაჭანება არ არის. სხვა გზა არ იყო, მარტო უნდა წავსულიყავი „დინამოზე". ქუჩაში მანქანებიც არ მოძრაობდნენ - სპორტულ სიარულში შეჯიბრების გამო გზები გადაეკეტათ. როგორც იქნა, მივაღწიე სტადიონამდე. ძლივს დამიშვეს საასპარეზოდ. მერე გაუგონარი რამ მოხდა: ძლიერი სპორტსმენი იყო კაშკაროვი, მაგრამ ხშირად თაღლითობასაც არ თაკილობდა. მსაჯებმა თბილისში ქაცვებიანი ფეხსაცმლიდან რბილი რეზინის საფენი ამოუღეს. ჩემპიონატიდან უნდა მოეხსნათ. მას კი შეჯიბრების გაგრძელების უფლება მისცეს. მაჯობა. სამაგიეროდ, მომდევნო წელს რევანში ავიღე. 1959 წელს ფილადელფიაში ამერიკისა და საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ტრადიციულ „გიგანტთა მატჩში" საასპარეზოდ სწორედ ჩვენ წაგვიყვანეს...

ტურნირის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ამერიკელებმა ამაყად განაცხადეს, სიმაღლეზე ხტომა ჩვენი სახეობაა და გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩებაო. ოკეანისგაღმელებს ქადილის საბაბიც ჰქონდათ, რადგან გუნდში ჰყავდათ 1956 წლის მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და რეკორდსმენი (214 სმ) ჩარლზ დიუმასი. შავლაყაძეს კი მონაწილეთაგან მანამდე ყველაზე დაბალი შედეგი ჰქონდა - 208 სანტიმეტრი. ყოველივეს მიუხედავად, სწორედ ქართველმა სპორტსმენმა შეურყია ფილადელფიაში ტახტი ამერიკელ მხტომელებს. დიუმასმა და მისმა თანაგუნდელმა უილიამსმა შავლაყაძის გამარჯვება შემთხვევითობას მიაწერეს და რომში შევხვდებითო, წაიტრაბახეს.

...ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებელმა რობერტ შავლაყაძეს უთხრა - საქალაქო პირველობაზე სიმაღლეზე ხტომაში უნდა გამოხვიდეო. სპორტის სხვადასხვა სახეობაში ნავარჯიშებ ჭაბუკს არ გასჭირვებია - სადებიუტო შეჯიბრებაში 155 სანტიმეტრით პირველი ადგილი დაიკავა. საბჭოთა კავშირის რეკორდსმენ გაბრიელ ათანელოვთან დაიწყო რეგულარული ვარჯიში. მონდომებამ მალე შედეგიც გამოიღო. რამდენიმე თვეში შავლაყაძემ პირადი მიღწევა 20 სანტიმეტრით გააუმჯობესა. 1954 წელს ხარკოვში „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაც მოიგო იმ დროისთვის სოლიდური მაჩვენებლით - 190 სანტიმეტრით, რის შემდეგაც ქართველი მხტომელი საკავშირო ნაკრებში მიიწვიეს. ექვსი წლის მერე კი რომის ოლიმპიურ სტადიონზე ამოყო თავი.

ბობოქრობდა „ფორო იტალიკო". სიმაღლეზე ხტომის სექტორთან შეკრებილნი სასწაულის მოლოდინში იყვნენ. ჯონ თომასი, რომელმაც ოლიმპიადამდე თვენახევრით ადრე დაამყარა მსოფლიო რეკორდი (222), ასევე, ოლიმპიური ჩემპიონი ჩარლზ დიუმასი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვიქტორ ბოლოშოვი და ევროპის რეკორდსმენი ვალერი ბრუმელი (217) საკუთარ თავს აღარ ჰგავდნენ. შავლაყაძე კი, ქომაგთა გასაკვირად, ყველა სიმაღლეს პირველსავე ცდაზე იღებდა. ბოლოშოვი 214 სანტიმეტრზე გაჩერდა, მელბურნის ოლიმპიადის გმირმა ჩარლზ დიუმასმა უფრო ადრე გადაინაცვლა მაყურებლებში.

- მსოფლიოს რეკორდსმენმა 212 სანტიმეტრი გამოტოვა, მე კი ისიც და 214-იც პირველივე ცდით ავიღე. ბრუმელსა და თომასს ამ სიმაღლის დასაძლევად ორ-ორი ცდა დასჭირდათ. 216 სანტიმეტრიც პირველმა დავძლიე და ოლიმპიური რეკორდი დავამყარე. ბრუმელმა განმეორებითი ნახტომით შეძლო, თამასას გადავლებოდა და ვერცხლის მედალი ერგო. თომასი 214 სანტიმეტრზე დარჩა. სწორედ რომ ფსიქოლოგიურმა მომზადებამ, ცხადია, ფიზიკურთან და ტექნიკურთან ერთად, ამიყვანა ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

**- ბატონო რობერტ, თქვენ ტოკიოშიც ცდიდით ძალებს. იქ რა მოხდა?**

- ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ ცივ აუზში ვიცურავე. წყლიდან ამოსვლისთანავე წელი გამიკავა. ვერ ვიმართებოდი. არადა, უკეთ ვიყავი მომზადებული, ვიდრე რომისთვის. ვარჯიშებზე 220 სანტიმეტრიც არაერთხელ დამიძლევია. იაპონიის დედაქალაქში მედლამდე ცოტა დამაკლდა, სამაგიეროდ, ვალერი ბრუმელს დავეხმარე ჩემპიონობის მოპოვებაში.

**- რომის ოლიმპიადაზე თქვენთან ერთად სამმა ქართველმა მძლეოსანმაც იასპარეზა.**

- დიახ. და აი, 52 წლის შემდეგ ლონდონშიც ქართველ მძლეოსანთა ოთხეული გამოვა, რაც ძალიან მახარებს. ახალგაზრდა სიგრძეზე მხტომელია მაიკო გოგოლაძე, რომელმაც ოლიმპიური პრიზიორის - ხნიკინადვალიშვილის მიერ 1954 წელს დამყარებული საქართველოს რეკორდი გააუმჯობესა. ჯერ გამოუცდელია, ამიტომ ლონდონში გაუჭირდება, სამაგიეროდ, მომავალი ოლიმპიადისთვის შეძლებს ფავორიტებისთვის სათანადო მეტოქეობის გაწევას. იგივე ითქმის ბოლესლავ სხირტლაძეზე. რაც შეეხება დავით ილარიანს, მას უფრო ფსიქოლოგიური მომზადება აკლია. ასეთი აღნაგობისა და ფიზიკური მონაცემების სპორტსმენს უკეთესი მაჩვენებლები უნდა ჰქონდეს. დათო შეჯიბრებებისას დაძაბულია და საკუთარ თავს ყოველი ბარიერის დაძლევისას 10-10 სანტიმეტრს მაინც აკლებს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ დიდი შინაგანი რესურსი აქვს. როცა ვხტებოდი, განა, მე არ განვიცდიდი, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი, შეჯიბრებისგან სიამოვნება მიმეღო. სხვაგვარად წარმატება წარმოუდგენელია.

მძლეოსნების გარდა, ლონდონში 32 ოლიმპიელი გვეყოლება. მჯერა, რომ ისინი სათანადოდ არიან მომზადებული და სამშობლოში უკეთესი შედეგებით დაბრუნდებიან, ვიდრე 2008 წელს პეკინიდან. თითოეულ მათგანს წარმატებას ვუსურვებ.

ქართული სპორტი

ჩოგბურთი




## კალაშნიკოვას მთავარი პრიზი

ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ჩოგბურთელ ქალთა 100.000-იანი ტურნირის წყვილთა პაექრობაში თბილისელმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** რუს მარტა სიროტკინასთან ერთად ნახევარფინალში მეორე ნომრად განთესილ კატრინ ვოელარსა (გერმანია) და სტეფანი გაკონს (საფრანგეთი) სამ სეტში აჯობა - 7:5, 6:4, 10:2. კალაშნიკოვა - სიროტკინას დუეტმა ფინალშიც იყოჩაღა - პირველ ნომრად განთესილ უკრაინელ დებს - ნადია და ლუდმილა კიჩენოკებს დააყრევინა ფარხმალი - 3:6, 6:4, 10:2 და მთავარი პრიზი მოიპოვა.

ერთეულებში ნახევარფინალს უწია **სოფიო შაფათავამ,** რომელიც გუშინ მე-8 ნომრად განთესილ მარტა სიროტკინასთან დამარცხდა - 2:6, 0:6. ეს უკანასკნელი ფინალში პოლონელი პაულა კანიას მძლეველ (6:1, 6:2) მარია ჟოაო კოენლერს (პორტუგალია) დაუპირისპირდება.

ჭადრაკი

## გამარჯვებული დღეს გამოვლინდება

სომხურ ჯერმუკში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის გათამაშება. ბოლოსწინა ტურში **ნინო ხურციძემ** მეორე გამარჯვება მოიპოვა - თეთრი ფიგურებით ბათჰუიაგ მონგონთუულს (მონგოლეთი) აჯობა. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ჟაო სიუ (ჩინეთი) - ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი) 1:0, ჰამფი კონერუ (ინდოეთი) - ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი) 1:0. დაზავდნენ: ელინა დანიელიანი (სომხეთი) - კატერინა ლაგნო (უკრაინა), ჰოუ იფანი (ჩინეთი) - ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი), ლუფეი რუანი (ჩინეთი) - ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი).

10 ტურის შემდეგ: ჰოუ იფანი - 7, ვენძიუნი, რუანი - 6-6, კოსინცევა, ლაგნო, ჟაო სიუ, კონერუ - 5,5-5,5, დანიელიანი - 4,5, მკრტიჩიანი - 4, ხურციძე, კოვალევსკაია, მონგონთუული - 3,5-3,5 ქულა.

დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: კოვალევსკაია - ჟაო სიუ, კოსინცევა - რუანი, ლაგნო - ჰოუ იფანი, მონგონთუული - დანიელიანი, მკრტიჩიანი - ხურციძე, ვენძიუნი - კონერუ.

## 2 ტური დარჩა

ჩეხურ პარდუბიცეში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. მე-7 ტურში მეწინავეთა 12 პარტიიდან 8 შეხვედრა ყაიმით დამთავრდა, ერთპიროვნულმა ლიდერმა თამირ ნაბათიმ (ისრაელი) პოზიციები შეინარჩუნა - 6,5 ქულით კვლავაც გათამაშების ცხრილის სათავეშია. 8 მოჭადრაკეს 5,5-5,5 ქულა აქვს. მათ შორის არ არიან **კონსტანტინე შანავა** და **დავით არუთინიანი.** შანავამ შავი ფიგურებით პიოტრ ნეიმანს (ჩეხეთი) აჯობა, არუთინიანი კი ერვინ ტოტს (იტალია) დაუზავდა. ორივე ჩვენებურმა 5-5 ქულა მოაგროვა. მე-8 ტურში შანავა რამილ ჰასანგატინს (რუსეთი), არუთინიანი კი კასპერ პიორუნს (პოლონეთი) დაუპირისპირდება.

გვერდი მოამზადა
ვაჟა **დანელიამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაკრები

# საქართველო 2012 წელს ესტონეთით იწყებს

კვირას, 29 ივლისს საქართველოს ეროვნული ნაკრები 2012 წლის პირველ მატჩს ჩაატარებს. მისი მეტოქე ესტონეთი იქნება, რომელიც ოთხთა ტურნირის, „ერთა თასის" მასპინძელია. შეჯიბრებაში საქართველოსა და ესტონეთის გარდა ჩეხეთის ნაკრები და ამერიკის კოლეჯების კრებული მიიღებენ მონაწილეობას.

ბალტიისპირელების მთავარ საკალათბურთო საიტ „ბასკეტზე" ქართველთა შესახებ ვრცელი სტატია გამოქვეყნდა, სადაც ჩამოთვლილია ჩვენი გუნდის წამყვანი მოთამაშეები. ყურადღება გამახვილებულია მათზე, ვინც წლეულს დაწინაურდა - **ვიქტორ სანიკიძე** (რომელიც 2008-09 წლებში ესტონეთის ჩემპიონატში გამოდიოდა) „ვირტუსიდან" „მონტეპასკიში" გადავიდა, **გიორგი შერმადინი** - „კანტუდან" „მაქაბიში", ხოლო **თორნიკე შენგელია** - „შარლერუადან" ამერიკულ „ბრუკლინში".

გთავაზობთ „ერთა თასის" გათამაშების განრიგს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| | |
|---|---|
| **29 ივლისი** | |
| 18:00 | ჩეხეთი-კოლეჯები |
| 20:00 | ესტონეთი-საქართველო |
| **30 ივლისი** | |
| 18:00 | ჩეხეთი-ესტონეთი |
| 20:00 | საქართველო-კოლეჯები |
| **31 ივლისი** | |
| 18:00 | საქართველო-ჩეხეთი |
| 20:00 | ესტონეთი-კოლეჯები |

დრო თბილისისაა



სტუმრად ვარსკვლავთან



# მარჩულიონისი საქართველოსა და ევრობასკეტზე

**შარუნას მარჩიულიონისი** გამორჩეული ფიგურაა ლიტვისა და ევროპის კალათბურთში, როგორც დიდი მოთამაშე და როგორც საინტერესო მენეჯერი ან, თუნდაც ბიზნესმენი. იგი 1988 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, 1992 და 1996 წლებში ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, 1995 წლის ევროპის ვიცე-ჩემპიონია. მარჩულიონისი 90-იან წლებში 7 სეზონი თამაშობდა NBA-ში.

ვილნიუსში რთული აღმოჩნდა მასთან დაკავშირება. უბრალოდ, არ იღებდა ყურმილს მისთვის უცნობი ზარის გამო. მასთან შეხვედრა მხოლოდ საერთო ნაცნობების თხოვნის შემდეგ მოხერხდა.

მარჩიულიონისმა ვილნიუსში, 4-ვარსკვლავიან სასტუმრო „შარუნასში" მიგვიღო, რომელიც თვით მარჩიულიონისის საკუთრებაა. ასევე, მის მფლობელობაშია სპორტული დარბაზი, სადაც სამი სავარჯიშო მოედანი და მცირე ზომის ტრიბუნებია. მარჩიულიონისმა შექმნა მისივე სახელობის საკალათბურთო აკადემია, სადაც ნიჭიერ ახალგაზრდა კალათბურთელებს ამზადებენ.

48-წლის შარუნასმა საუბრის დასაწყისში საქართველოში პირველი სტუმრობა გაიხსენა.

- 16 წლისა ვიყავი, როცა ლიტვის ჭაბუკთა ნაკრებთან ერთად თბილისში ჩამოვედი. ერთ-ერთ საღამოს ვახშამზე შეგვაგვიანდა და მშივრებისთვის დაძინება რთული იქნებოდა. ჯიბეში ფული არ გვქონდა და ამიტომ, ვიფიქრეთ, მივაკითხავდით მოსახლეობას, პური რომ გამოგვერთმია. გავნაწილდით რამდენიმე ჯგუფად და დავიწყეთ სტუმრობა ბინებში. ფანტასტიკური შედეგი მივიღეთ - იმდენი ხორცი, ხაჭაპური, ყველი, ბოსტნეული და ღვინოც კი გვაჩუქეს, რომ 2-3 დღე გვეყო. ამასთან, გვეკუთვნოდა სასადილოში უფასო კვება, როგორც სპორტსმენებს. მაგრამ სასადილო არასოდეს ყოფნის ახალგაზრდას, ამიტომ ასეთი საჩუქარი ახდენილ ოცნებად გვესახებოდა. მსგავსი თბილი მიდგომა ახალგაზრდებისა და სტუმრებისადმი არსად მინახავს, შემდგომ ბევრჯერ ვარ ნამყოფი საქართველოში და ყოველთვის დიდ სითბოს ვგრძნობდით ხალხისგან. საუბარია არა საჩუქრებზე, არამედ უპრეცედენტო სტუმართმოყვარეობაზე.

როგორც შარუნასი ამბობს, ყოველთვის მოხიბლული იყო ქართველი კალათბურთელების ვირტუოზული და არტისტული ტექნიკისა და იმპროვიზაციის შემხედვარე. თუმცა დასძენს - სათამაშო დისციპლინა და ტაქტიკა ცოტა სუსტი იყოო.

- ამიტომ ქართველები მაღალ შედეგებს ხშირად ვერ აღწევდნენ, თუმცა ხალხს მოსწონდა მათი თამაში. ვიცი, რომ ბოლო წლებში ქართული კალათბურთი აღმავლობის გზაზეა და უფრო მეტ წარმატებას გისურვებთ, - თქვა მან.

შარუნასს ვკითხეთ:

**- არასოდეს მალავდით, რომ გინდათ გახდეთ ფიბა-ევროპის პრეზიდენტი. ამჯერად რას აპირებთ, თუ მიაღწევთ ამ მიზანს?**

- ეს თვითმიზანი არ არის. მინდა განვახორციელო მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელიც განსაკუთრებით პატარა ქვეყნებს შეუწყობს ხელს. იქ, სადაც არის საკალათბურთო ტრადიციები და სურვილი, მაგრამ ამასთან მატერიალური სირთულეებიცაა.

სხვათა შორის, არ ვეთანხმები ზოგიერთის სურვილს, რომ ევროპის ჩემპიონატი ტარდებოდეს 4 წელიწადში ერთხელ. ეს არაფერს მოუტანს კალათბურთს. უნდა იყოს ორწლიანი ციკლი, თუმცა ამავე დროს არ მომწონს, რომ ფინალურ ეტაპზე 24 ქვეყანაა. ჩემი აზრით, ეს ძალიან დიდი რაოდენობაა.

**თენგიზ პაქპორია,**
ვილნიუსიდან
სპეციალურად „ლელოსთვის"

18-წლამდელთა ნაკრები

# ჭაბუკებიც ესტონეთში

ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისში მყოფი საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ესტონეთში გაემგზავრა. **მიხეილ ბერუაშვილის** გაწვრთნილი გუნდი ესტონეთში 2 საკონტროლო მატჩს გამართავს. 29 ივლისს ბელარუსის 18-წლამდელთა ნაკრებს დაუპირისპირდება, ხოლო 31-ში - ესტონეთს.

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში 9-დან 19 აგვისტოს ჩათვლით იასპარეზებს. ტურნირს ბოსნიის დედაქალაქი სარაევო უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები ჯგუფში მასპინძელ ბოსნიასთან, პორტუგალიასთან, ჰოლანდიასთან და ბელგიასთან მოხვდა. მომდევნო ეტაპზე ჯგუფიდან 2 საუკეთესო გუნდი გავა. A დივიზიონის საგზურს ტურნირის 3 საუკეთესო ნაკრები მოიპოვებს.

ოჯახური მიზეზების გამო ესტონეთში ვერ მიემგზავრება გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **ბექა ბურჯანაძე**, რომელმაც ახლახან დაასრულა გამოსვლა 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| მოთამაშე | პოზიცია | დაბ. თარიღი | გუნდი |
|---|---|---|---|
| ოთარ ბულიავა | ფორვარდი | 02.04.1994 | სოხუმი |
| მერაბ მირზიაშვილი | ცენტრი | 14.05.1995 | შსს-აკადემია |
| გიორგი ცირეკიძე | ფორვარდი | 07.01.1994 | ქუთაისი |
| ნოდარ გოგოძე | გამთამაშებელი | 12.07.1994 | ქუთაისი |
| ირაკლი მიქელაძე | გამთამაშებელი | 26.03.1994 | ოლიმპი |
| გიორგი ძიძიგური | გამთამაშებელი | 28.02.1994 | სოხუმი |
| ლერი კვანტალიანი | ცენტრი | 22.08.1994 | სამედიცინო |
| ნუგზარ აბულაძე | გამთამაშებელი | 14.06.1995 | შსს-აკადემია |
| არჩილ პულუზაშვილი | ცენტრი | 03.09.1995 | შსს-აკადემია |
| გიორგი დვალი | გამთამაშებელი | 19.08.1995 | რუსთავი |
| ნიკა რამიშვილი | უკანახაზელი | 14.04.1994 | ბათუმი |
| შოთა გელაზონია | ცენტრი | 23.12.1994 | შსს-აკადემია |
| კახა ტომარაძე | ფორვარდი | 13.04.1995 | ჰიუნდაი |

**მთავარი მწვრთნელი:** მიხეილ ბერუაშვილი
**ასისტენტი:** ზაზა გაბისონია
**ექიმი:** ზურაბ ჯანიკაშვილი
**გუნდის მენეჯერი:** გივი სანაძე



ვეტერანთა ევროპის ჩემპიონატი



# კაუნასისკენ

გუშინ საქართველოს ვეტერანთა ნაკრები ლიტვაში გაფრინდა, სადაც ევროპის ჩემპიონატზე დაიცავს საქართველოს ღირსებას. მატჩები კაუნასში გაიმართება. საქართველოს ნაკრებთან ჯგუფში მოხვდნენ იტალია, ხორვატია და პეტერბურგის ნაკრები.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება: ნოდარ ქორქია, დავით გიორგობიანი, ლევან წულაია, ზაზა ლონლაძე, ალექსანდრე ფერიაშვილი, გია სანაძე, გიორგი ბერუაშვილი, დავით ჩიხლაძე და პაატა გურასპაული. ნაკრებს წვრთნის ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, რომელიც გუნდთან ერთად ვარჯიშობდა, მაგრამ აქილევსის მყესი დაუზიანდა და ოპერაცია დასჭირდა.



ნაკრების მზადებასთან დაკავშირებით ველაპარაკეთ პაატა გურასპაულს:

*- ვცდილობდით ინტენსიურად გვევარჯიშა, მაგრამ ეს ვერ ხერხდებოდა, რაშიც ხელს ტრავმები გვიშლიდა. ევროპის ჩემპიონატამდე თვენახევრით ადრე კი მეტ-ნაკლებად სრული შემადგენლობით შევიკრიბეთ და აქტიურად ვემზადებით. ვიტყოდი, ლიტვაში ოპტიმალური გუნდით ვითამაშებთ-მეთქი, ნიკოლოზ დერიუგინი რომ გვყავდეს. იგი ვერ გვეხმარება, რადგან ოპერაცია გადაიტანა და ექიმები დატვირთვის უფლებას არ აძლევენ.*

პაატა გურასპაულს საქართველოს ვეტერანთა ნაკრების მეტოქეებზეც ვკითხეთ.

*- მოწინააღმდეგეთა შესახებ ბევრი არ ვიცით, თუმცა ის კი უნდა ითქვას, რომ ჩვენი ჯგუფის წარმომადგენელი იტალია შეჯიბრების ფავორიტია. იგი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია. სხვათა შორის, იტალიაში სხვა შეჯიბრებების პარალელურად ვეტერანთა ჩემპიონატიც რეგულარულად იმართება. ლოგიკურია, რომ იტალიელებს ძლიერი გუნდი ეყოლებათ. თუმცა, ვეცდებით ყველასთან ღირსეულად ვითამაშოთ.*

შეჯიბრება დღეს დაიწყება. მასში მონაწილე გუნდები სამ ჯგუფად არიან გაყოფილნი. თითოდან ორ-ორი საუკეთესო და ორი მესამეადგილოსანი საპლეიოფო წყვილებს შეადგენს.

ისღა დაგვრჩენია, საქართველოს ნაკრებს წარმატება ვუსურვოთ და მის გამოსვლას დაველოდოთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ოლიმპიზმი

# რაგბი და ოლიმპიადა

**რაგბი ოლიმპიურ სახეობათა რიგში პირველად თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელმა პიერ დე კუბერტენმა წარადგინა. მანვე ძალიან დიდი როლი ითამაშა რაგბის განვითარებით საფრანგეთში. აღსანიშნავია, რომ პიერ დე კუბერტენი გახლდათ საფრანგეთის პირველი ჩემპიონატის ფინალური მატჩის არბიტრი, რომელიც 1892 წელს გაიმართა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი კი 1894 წელს დაფუძნდა. რაგბი ოლიმპიურ თამაშებზე 1900 წელს მეორე ცდიდან მოხვდა.**



საფრანგეთი-აშშ. 1924 წელი

### პარიზი, 1900 წელი

მეოცე საუკუნის დასაწყისში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში გუნდები მხოლოდ სამმა ქვეყანამ საფრანგეთმა, გერმანიამ და დიდმა ბრიტანეთმა მიავლინა. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელები და ბრიტანელები ოლიმპიადაზე ეროვნული გუნდებით არ იყვნენ წარმოდგენილი. პირველის ღირსებას ფრანკფურტის, ხოლო მეორის მოზლის სარაგბო კლუბები იცავდნენ.

თამაშის წესები, ცხადია, დღევანდელისგან განსხვავდებოდა. ლელო 3 ქულად ფასობდა, საჯარიმო 4 ქულა იყო, ამდენივე ქულა ეძლეოდა გუნდს არეკნისთვის. თანამედროვე სახე ქულების დარიცხვამ 1977 წლიდან მიიღო.

ოლიმნპიური თამაშების პირველი გამარჯვებული რაგბიში საფრანგეთის ნაკრები გახდა. მასპინძლებმა დიდ ბრიტანეთს 27:8, ხოლო გერმანიას 27:17 მოუგეს. გერმანიასა და ინგლისს შორის მატჩი არ გამართულა, რადგან ფინანსური სიდუხჭირის გამო, გუნდებმა პარიზში დარჩენა ვერ მოახერხეს.

საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის გუნდების შეხვედრას 6000 მაყურებელი დაესწრო. ეს იმ დროისთვის რეკორდული რაოდენობა იყო ოლიმპიურ თამაშებზე. საფრანგეთის ნაკრების მორაგბე, **კონსტანტინ ენრიკე დე ზუბიერა** პირველი ფერადკანიანი სპორტსმენი გახლდათ, ვინც ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზა.

### ლონდონი, 1908 წელი

1904 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც სენტ ლუისში გაიმართა, მორაგბეებს არ უთამაშიათ. სამაგიეროდ, ოვალური ბურთით თამაშის მიმდევრებს მომდევნო, 1908 წლის ოლიმპიადაზე გაუმართლათ, რადგან ის რაგბის სამშობლოში, ინგლისში ჩატარდა. ისევ როგორც 1900 წელს, ამჯერადაც მონაწილეობა სამმა გუნდმა მიიღო: ავსტრალიამ, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა.

ავსტრალიის ნაკრებმა ინგლისში ის გუნდი ჩაიყვანა, რომელიც ერთი წლით ადრე უკვე ნამყოფი იყო ტურნეში. დიდ ბრიტანეთს კი კორნოულის საგრაფო წარმოადგენდა, რომელმაც 1907 წელს ინგლისის ჩემპიონატი მოიგო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ავსტრალიამ დაამარცხა დიდი ბრიტანეთის გუნდი და ოქროს მედალი მოიპოვა. „ვოლაბების" ორმა მოთამაშემ კიდევ ერთხელ შეძლო ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება. **დენ კეროლმა** ეს 1920 წლის ოლიმპიადაზე მოახერხა, როცა უკვე აშშ-ს ნაკრებში გამოდიოდა. **სიდნი მიდლტონმა** კი 1912 წელს ნიჩბოსნობაში გაიმარჯვა. ამ წელიწადს რაგბი ოლიმპიური სახეობა არ იყო. 1916 წელს კი ოლიმპიური თამაშები პირველი მსოფლიო ომის გამო გადაიტანეს.

### ანტვერპენი, 1920 წელი

ამ ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი აშშ-ს მორაგბეთა ნაკრებმა მოიგო. ამ ქვეყნის ოლიმპიურმა კომიტეტმა ანტვერპენში გუნდის გაგზავნა მას შემდეგ გადაწყვიტა, როცა ერთი წლით ადრე ბერკლის გუნდმა ბრიტანულ კოლუმბიაში გამართული ტურნე ტრიუმფით მოიარა.

აშშ-ს ნაკრები სტენფორდის, ბერკლისა და სანტა კლარას გუნდების საუკეთესო მოთამაშეებისგან შედგებოდა. 1908 წლის ჩემპიონი დენ კეროლი, რომელიც მაშინ სტენფორდის უნივერსიტეტის გუნდის მოთამაშე მწვრთნელი გახლდათ, ყველაზე გამოჩენილი პიროვნება იყო.

როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები ანტვერპენში ჩავიდა, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის ნაკრებებმა თავიანთი ეროვნული გუნდები გათამაშებიდან მოხსნეს. ინგლისის რაგბის კავშირმა კი ბელგიაში გუნდი არ გააგზავნა, ვინაიდან იმ პერიოდში ქვეყნის ჩემპიონატი იწყებოდა.

ამრიგად, ანტვერპენში მხოლოდ ერთი სარაგბო დაპირისპირება შედგა. აშშ-ს ნაკრებმა მატჩში, რომელსაც 20 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, საფრანგეთის ეროვნული გუნდი მშრალი ანგარიშით დაამარცხა - 8:0.

ამერიკელთა გუდნის ერთ-ერთმა წევრმა **მორის კირკსიმ** ანტვერპენიდან კიდევ ორი მედალი წაიღო. მან 100 მეტრზე სპრინტში მეორე ადგილი დაიკავა, ესტაფეტაში 4X100 კი ჩემპიონი გახდა.

### პარიზი, 1924 წელი

1924 წელს პარიზში გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე აშშ-ს ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, გუნდი ტიტულის დასაცავად გაეგზავნა. მასპინძელთა გარდა ტურნირში მონაწილეობა რუმინეთის ეროვნულმა გუნდმაც მიიღო.

აშშ-ს ნაკრების ძირითად ბირთვს ისევ კალიფორნიელი მორაგბეები შეადგენდნენ, აქედან შვიდი 1920 წლის ოლიმპიადის მონაწილე იყო. ამერიკელები ევროპაში საოკეანო ლაინერით გამოემგზავრნენ და ინგლისამდე ჩასვლას ერთი კვირა მოანდომეს. მიუხედავად დაღლილობისა, მათ რუმინეთის ეროვნულ გუნდს მშრალი ანგარიშით 37:0 მოუგეს. თამაშს თვალს 6 ათასი კაცი ადევნებდა. ფრანგებმა „მუხის ფოთლებს" უფრო დიდი ანგარიშითY61:3 მოუგეს.

ფინალი 18 მაისს 21 ათასი მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა. ამერიკის ნაკრებმა მასპინძელთა გუნდი 17:3 დაამარცხა და ერთადერთი გუნდი გახდა, რომელმაც რაგბიში ორჯერ მოიგო ოლიმპიადა. თამაშის დასრულების შემდეგ მაყურებელი მოედანზე შევარდა. საფრანგეთის ნაკრების მოთამაშეებმა, პოლიციასთან ერთად, ყველაფერი ილონეს საიმისოდ, რომ მეტოქე გუნდი მორაგბეები დაეცვათ. დაჯილდოების ცერემონია პოლიციის დაცვის თანხლებით გაიმართა.

მას შემდეგ, რაგბი ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ამოიღეს. 2008 წელს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, რაგბის ნაირსახეობა, შვიდკაცა რაგბი ოლიმპიურ ოჯახში მიიღო და ოვალური ბურთით თამაშის ოსტატები, 2016 წელს რიო დე ჟანეიროში, 92-წლიანი პაუზის შემდეგ, ისევ დაუბრუნდებიან მსოფლიოს სრულიად სპორტულ სამყაროს.



აშშ-ს ნაკრები. 1924 წლის ოლიმპიური ჩემპიონი

ზერაგბი



ბურთით სონი ბილ ვილიამსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბელადებმა ჯვაროსნები გზიდან ჩამოიცილეს

**ზე რაგბის გათამაშების პირველი ფინალისტი ცნობილია. ჰემილტონის „ჩიფსმა" შინ დაძაბულ ბრძოლაში ტურნირის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი" დაამარცხა 20:17 და პირველობისთვის ბრძოლას განაგრძობს.**

„ჯვაროსნები" ლიდერების, **დენ კარტერისა** და **რიჩი მაქოას** მეთაურობით, უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, მთელი სეზონის განმავლობაში შესანიშნავად მოასპარეზე მასპინძელთა გუნდთან ვერას გახდნენ.

პირველ ტაიმში სათამაშო უპირატესობა ჰემილთონელების მხარეს იყო და ანგარიშში სხვაობა 33-ე წუთისთვის 11 ქულამდე მიაღწია. „ჩიფსი" ამ დროისთვის 17:6 იგებდა. ანგარიში „ჩიფსმა" მგეზავის **აარონ კრადენის** საჯარიმოთი მე-3 წუთზე გახსნა. რაზეც კარტერმა საჯარიმოთივე 11 წუთში უპასუხა - 3:3.

ამის მერე ლელოების ჯერი დადგა და აქაც უპირატესობას მასპინძლებმა მიაღწიეს. მათ ორ ლელოს ქრაისთჩერჩელებმა ტაიმის ბოლო წუთზე ერთი ლელოთი უპასუხეს - 11:17. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ „კრუსეიდერზი" უფრო მობილურად ამოქმედდა და 44-ე წუთზე კარტერმა ანგარიშში სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა - 14:17. „ჩიფსი" გამუდმებით ცდილობდა მეტოქის დაცვის ხაზში ხარვეზის მოძებნას, თუმცა მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში მეტოქეს სტუმრებს შეცდომა მხოლოდ ერთხელ დააშვებინა. 49-ე წუთზე კრადენმა ისიც გამოიყენა და საჯარიმოთი ექვსქულიანი სხვაობა აღადგინა.

ამას ცხადია კარტერის პასუხი მოჰყვა. მან საკმაოდ არახელსაყრელი პოზიციიდან კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა და სხვაობა ისევ სამ ქულამდე დაიყვანა - 17:20. თამაშის დასრულებამდე 18 წუთი რჩებოდა. ცხადია, ეს დროს სრულიად საკმარისია ასეთი მცირექულიანი ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. კარტერმა 75-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრების შანსი გაუშვა ხელიდან. მან კარის პირდაპირ 47 მეტრიდან საჯარიმო ვერ გაიტანა. მატჩის ბოლო ორ წუთში მონწყობილი იერიში კი ჰემილთონელებმა თავდადებული თამაშის წყალობით მოიგერიეს.

„ჩიფსის" მომავალი მეტოქე ზე რაგბის ფინალში დღეს გაირკვევა. კეიპთაუნში სამხრეთაფრიკულ დერბიში „სტორმერზი" დურბანის „ნატალ შარქსს" უმასპინძლებს. გამარჯვების შემთხვევაში „სტორმერზი" ფინალში ისევ შინ ითამაშებენ. თუ დურბანელები მოიგებენ, ზე რაგბის გადამწყვეტი მატჩი ჰემილთონში გაიმართება.

| ჩიფსი-კრუსეიდერზი | 20:17 |
| --- | --- |

ჩიფსი: 15. რობი რობინსონი, 14. ტიმ ნანაი-ვილიამსი, 13. ენდრიუ ჰორვილი, 12. სონი ბილ ვილიამსი, 11. აზაელი ტიკიორროტუმა, 10. აარონ კრადენი, 9. ტავერა კერ-ბარლოუ. 1. სონა ტამულალო, 2. მაონორი შვაიგერი, 3. ბენ ტამეიფუნა, 4. კრეიგ კლარკი, 5. ბროდი რეტალეკი, 6. ლიამ მესამი, 7. ტენერაუ ლატიმერი, 8. კენი თომსონი.

16. ჰიკა ელიოტი, 17. ბენ აფეაკი, 18. მაიკლ ფიცჯერალდი, 19. სემ კენი, 20. ბრენდონ ლეონარდი, 21. ჯექსონ ვილსონი, 22. ლელია მასაგა.

2ლ: ტაუმალოლო. მესამი. 2გ,2ს: კრადენი

კრუსეიდერზი: 15. იზრაელ დაგი, 14. ადამ ვაითლოქი, 13. რობი ფრუეანი, 12. რაიან კროტი, 11. ზაკ გილფორდი, 10. დენ კარტერი, 9. ენდი ელისი. 1. ვაით კროკეტი, 2. კორი ფლინი, 3. ბენ ფრენქსი, 4. ლუკ რომანო, 5. სამუელ ვაითლოქი, 6. ჯორჯ ვაითლოქი, 7. მეთ ტოდი, 8. რიჩი მაქოა.

16. ქვენტინ მაკდონალდი, 17. ბენ ფრენქსი, 18. ტომ დონელი, 19. ლუკ ვაითლოქი, 20. ვილი ჰეინცი, 21. ტომ ტეილორი, 22. შონ მეთლენდი.

ლ: კროტი. 4ს: კარტერი

| სტორმერზი-ნატალ შარქსი |
| --- |

სტორმერზი: 15. ჯო პიტერსენი, 14. ხიო ეპლონი, 13. იუან დე იონგი, 12. იან დე ფილიერსი, 11. ბრაიან ჰაბანა, 10. პიტერ გრანტი, 9. დიუვალ დუვენაგე. 1. სტივენ კიტშოფი, 2. ტიან ლიბენბერხი, 3. ბრუკ ჰარისი, 4. ევან ეცებესი, 5. აბდიას ბეკერი, 6. სიია კოლისი, 7. რაინარდ ელსტადი, 8. დეონ ფური.

16. ფრანს მალერბი, 17. დეონ კარსტენსი, 18. დე კოკ სრენკამპი, 20. ლუის შროიდერი, 21. ბარტონ ფრაენსისი, 22. ხერარდ ფან დერ ჰევერი.

ნატალ შარქსი: 15. ლუის ლუდეკი, 14. ჯეი პი პიტერსენი, 13. ტიმ ვაითჰედი, 12. მეიერ ბოსმანი, 11. ლუაზი მვოვო, 10. ფრედერიკ მიშალაკი, 9. კარლ მაკლოიდი. 1. ტენდაი მთავარირა, 2. ბისმარკ დუ პლესი, 3. იანი დუ პლესი, 4. ვილემ ალბერტსი, 5. ენტონი ბრესლერი, 6. კიგან დენიელი, 7. მარსელ კუცია, 8. რაიან კანკოვსკი.

16. კრეიგ ბარდენი, 17. ვიჰან ჰერბეტსი, 18. სტივენ სკისი, 19. იან დეიზელი, 20. ჟაკ ბოთა, 21. ოდოვა ნდუნგანე, 22. რაიან ვილჯოენი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

london 2012

# 10 დუელი, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ

ოლიმპიადების ისტორიას ბევრი ლეგენდარული დუელი ახსოვს - ზაფხულის თამაშები ამით ყოველთვის გამორჩეული იყო. გამონაკლისი არც ლონდონის ოლიმპიადა იქნება. ჩვენ გამოვარჩიეთ 10 დაპირისპირება, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოვტოვოთ...

## ბოლტი vs ბლეიკი

*მძლეოსნობა, 100 მეტრი, მამაკაცები*

ორი-სამი წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ უსაინ ბოლტს სარბენ ბილიკზე კონკურენტი ეყოლებოდა, მაგრამ დღეს უცნაურ სიტუაციასთან გვაქვს ადგილი: ამ სეზონში უსაინი აღარ მიიჩნევა პლანეტის უსწრაფეს ადამიანად. ბოლტს ნაგებების სერია დაუგროვდა – შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე და წელს ორჯერ – იამაიკის პირველობაზე. სამივე შემთხვევაში უსაინის დამარცხება ვარჯიშებზე მისმა პარტნიორმა და უმცროსმა მეგობარმა **იოჰან ბლეიკმა** მოახერხა.

ის, რაც ამ ოთხი წლის განმავლობაში **ტაისონ გაიმ** და **ასაფა პაუელმა** ვერ შეძლეს, ამ "თავხედმა" იამაიკელმა ბიჭმა გააკეთა – მან გამოწვევა ესროლა ბოლტს და სწორედ ის მიიჩნევა ლონდონის მთავარ ფავორიტად. ბლეიკის წყალობით, 10 წამი სარბენ ბილიკზე ყველაზე საინტერესო გახდება ამ ოლიმპიადაზე.

## ფელპსი vs ლოხტე

*ცურვა. მამაკაცები*

როცა ეს ორი მოცურავეა აუზში, სხვებს იქ არაფერი ესაქმებათ. **ფელპსსა** და **ლოხტეს** ჯამში 17 ოლიმპიური ოქრო აქვთ მოგებული და მსოფლიოს 11 მოქმედი რეკორდის ავტორები არიან. მათი რვაწლიანი კონკურენცია სწორედ ლონდონში მიაღწევს კულმინაციას.

ფელპსი ისევ აპირებს ერთ ოლიმპიადაზე რვა ოქროს მოგებას, მაგრამ ლოხტე ორ დისტანციაზე ეცდება მისთვის ხელის შეშლას – 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში. სწორედ ამ დისციპლინებში გადაიკვეთება მათი გზები ლონდონის აუზში.

თან ამ დაპირისპირებას ინტრიგას ისიც მატებს, რომ თავად ლოხტესაც აქვს დაგეგმილი რვა ოქროს მოგება და ფელპსის ლეგენდარული რეკორდის გამეორება.

## ფელიქსი vs კემპბელ-ბრაუნი

*მძლეოსნობა, 200 მეტრი, ქალები*

მათი დაპირისპირებაც ასევე რვა წელია გრძელდება. 200 მეტრზე **ფელიქსი** მუდმივად ამარცხებს **კემპბელ-ბრაუნს** მსოფლიოს ჩემპიონატებზე, სამაგიეროდ, იამაიკელმა ათენისა და პეკინის ოლიმპიადაზე დაამარცხა ამერიკელი "გრძელ სპრინტში".

ფელიქსს ამ ორი მარცხისთვის რევანშის აღება აქვს დაგეგმილი და ამისთვის მან 400 მეტრზე გამოსვლაზეც კი თქვა უარი. მაგრამ კემპბელ-ბრაუნიც კარგ ფორმაშია და ის აპირებს გახდეს პირველი ქალი მორბენალი ისტორიაში, ვინც ზედიზედ სამ ოლიმპიადაზე მოიგებს 200 მეტრს.

## აშშ vs ჩინეთი

*სპორტული ტანვარჯიში, ქალები*

ეს დუელი პეკინის ოლიმპიადაზე დაიწყო. ოთხი წლის წინ, ჩინეთმა მოუგო გუნდურ პირველობაზე ამერიკას, თუმცა ცალკეულ დისციპლინებში ამერიკელებმა დაამარცხეს მასპინძლები. ახლა მათი დაპირისპირება ლონდონში გაგრძელდება.

გარკვეული ფსიქოლოგიური უპირატესობა ამერიკელებს ექნებათ, რადგან შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატზე ისინი ჩემპიონები გახდნენ, ჩინეთი კი მესამეზე გავიდა. ბუნებრივია, აზიელები რევანშს უმიზნებენ.

## ტომ დეილი vs კიუ ბო

*წყალში ხტომა, 10 მ. კაცები*

ორი თინეიჯერი კარიერაში თავის პირველ ოლიმპიურ ოქროს უმიზნებს. ბრიტანელ **ტომ დეილის** ჩინელზე ერთადერთი უპირატესობა აქვს – მას საკუთარი პუბლიკა დაეხმარება.

დეილიმ 2009 წელს, რომში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ფურორი მოახდინა, როცა 16 წლის ასაკში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, მაგრამ 2011 წელს, ასევე პლანეტის პირველობაზე მეხუთე ადგილზე გავიდა და ტიტული ბოს დაუთმო.

19 წლის ჩინელმა უკვე ორჯერ მოასწრო მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება და ეს ფაქტორი მას ფავორიტად აქცევს. არადა, ბოს მწვერვალამდე რთული გზა ჰქონდა. მის სკოლაში აუზი არ იყო და ჩინელი ნახტომებს ბალიშების გროვაში ასრულებდა.

პეკინში ჩინეთის ნაკრებმა წყალში ხტომაში რვიდან რვა ოქრო აიღო და შესაბამისად, გულშემატკივრები იმავე შედეგის გამეორებას ითხოვენ, ამიტომაც ბოზე გარკვეული ზეწოლა იქნება, თუმცა ის მაინც ფავორიტია დეილისთან დაპირისპირებაში.



ბლეიკი და ბოლტი



ფელიქსი და კემპბელ-ბრაუნი



ლოხტე და ფელპსი



ძმები ბრაუნლები


პენდლტონი და მეარსი


ჟანგი და ბოლი



ბეილი და კიუ ბო

## ენისი vs ჩერნოვა

*შვიდჭიდი, ქალები*

კიდევ ერთი ბრიტანელი სპორტსმენის გამოსვლას ელიან დიდი იმედით. ლონდონში გაგრძელდება **ჯესიკა ენისისა** და რუსი **ტატიანა ჩერნოვას** დუელი. მსოფლიოს ბოლო ორ ჩემპიონატზე მათ დიდი ბრძოლა ჰქონდათ და ოქროს მედლები გაიყვეს.

შარშანდელი ჩემპიონატი ენისმა მოიგო, ასევე მისი გამარჯვებით დასრულდა მათი ბოლო ბრძოლა მაისში – ავსტრიის ტურნირზე. იქ ენისმა პირადი რეკორდები დაამყარა შუბის ტყორცნაში, სიგრძეზე ხტომასა და 200 მეტრზე სირბილში.

## პენდლტონი vs მეარსი

*ველოსპორტი, ქალები*

ეს იქნება ამ ოლიმპიადის ერთ-ერთი უდიდესი დაპირისპირება: ინგლისი ავსტრალიის წინააღმდეგ. მოქმედ ველომრბოლელებს შორის ისინი ყველაზე ტიტულოვანი ქალები არიან ველოსპორტში: **ანა მეარსს** ერთი ოლიმპიური ოქრო და მსოფლიოს ჩემპიონატზე ათი გამარჯვება აქვს, **ვიქტორია პენდლტონს** – ერთი ოლიმპიური და მსოფლიოს პირველობის ცხრა ოქრო.

მათი გზები ლონდონში სამჯერ გადაიკვეთება – სპრინტში, გუნდურ სპრინტსა და კეირინში. მათ ბოლო დაპირისპირებებს თუ გავიხსენებთ, ამ ოლიმპიადაზე ნამდვილი ფეიერვერკი გველის. ამ წლის დასაწყისში, მელბურნში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე სპრინტის ნახევარფინალში პენდლტონი დაეცა და მხარი დაიზიანა, მაგრამ იქვე მოასწრო აღდგენა და ოქროს მედლის მოპოვება. სხვათა შორის, ამ მოგებით ბრიტანელმა შეწყვიტა მეარსის ორწლიანი მოგებათა სერია ველოტრეკზე.

## ალისტერ ბრაუნლი vs ჯონი ბრაუნლი

*ტრიატლონი, მამაკაცები*

ეს არის თამაშების ისტორიაში უნიკალური დაპირისპირება – ერთმანეთის წინააღმდეგ ბრიტანელი ძმები წარსდგებიან.

ორივე ძალიან ნიჭიერი სპორტსმენია, ორივეს უმაღლესი მიზნები აქვს და ორივეს შეუძლია ოქროს მედლის მოგება, მაგრამ ერთ-ერთი ვერცხლით უნდა დაკმაყოფილდეს.

24 წლის **ალისტერი** მსოფლიოს ექვსგზისა და ევროპის სამგზის ჩემპიონია, იმ დროს, როცა 22 წლის **ჯონი** მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებულია, აგრეთვე იუნიორებს შორის იყო პლანეტისა და კონტინენტის ჩემპიონი. 2011 წელს ძმებს შორის პირველი დუელი შედგა უმაღლეს დონეზე – მსოფლიოს ჩემპიონატზე ალისტერმა დაამარცხა უმცროსი ძმა – მათ პირველი ორი ადგილი დაიკავეს.

## ტიმო ბოლი vs ჟაიკ ჟანგი

*მაგიდის ჩოგბურთი, მამაკაცები*

**ჟანგი** მსოფლიოს ჩემპიონი, მსოფლიოს თასის მფლობელი და რეიტინგის ახალი პირველი ნომერია და ოლიმპიადის მოგება სჭირდება "დიდი სლემის" ასაღებად. ამით ის გახდება მეოთხე ჩინელი ისტორიაში, ვინც ამგვარ შედეგს მიაღწევს. ის ჩინური სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია, რომელიც დომინირებს საერთაშორისო არენაზე.

**ტიმო ბოლი** კი შეიძლება ის ადამიანი იყოს, ვინც ჟანგის დამარცხებას შეძლებს. ის ახლა რეიტინგის მეშვიდე ნომერია, თუმცა ერთხელ იყო კლასიფიკაციის სათავეში და პეკინში გუნდური პირველობის ვერცხლისმედალოსანიცაა. საყოველთაო შეფასებით, მხოლოდ მას შეუძლია ჩინელების დომინირების დარღვევა.

## ლინ დანი vs ჩონ-ვეი ლი

*ბადმინტონი, მამაკაცები*

ლეგენდარული დაპირისპირება ბადმინტონშიც არსებობს, რომელიც პეკინის ოლიმპიადიდან იღებს სათავეს. ოთხი წლის წინ, ფინალში ჩინელმა **დანმა** 21:12, 21:8 მოუგო მალაიზიელ **ლის**.

აქედან მოყოლებული, მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეები სხვადასხვა ტურნირის მე-11-ედ ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს: შვიდჯერ ლინ დანმა მოიგო, ოთხჯერ - ჩონ-ვეი ლიმ. მალაიზიელმა განაცხადა, რომ ლონდონის შემდეგ დიდი სპორტიდან წასვლას აპირებს, ამიტომაც ეს თამაშები მისთვის პეკინის მარცხისთვის რევანშის აღების ბოლო შანსი იქნება.

ისინი ბოლოს სწორედ ლონდონში, მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და ლინ დანმა გაჭირვებით მოიგო – 20:22, 21:14, 23:21.

**გია თვალაბეიშვილი**

# კალენდარი: 28-29 ივლისი
london 2012

## 28 ივლისი. შაბათი

### მშვილდოსნობა

12:00 კაცები. გუნდური. 1/8 ფინალი
18:00 კაცები. გუნდური. 1/4 ფინალი
19:40 კაცები. გუნდური. 1/2 ფინალი
20:33 კაცები. გუნდური. მე-3 ადგილისთვის
21:01 კაცები. გუნდური. ფინალი

### ბადმინტონი

11:30 კაცები. ერთეულები. ჯგუფური ეტაპი
15:30 კაცები. ერთეულები. ჯგუფური ეტაპი
21:30 კაცები. ერთეულები. ჯგუფური ეტაპი

11:30 კაცები. წყვილები. ჯგუფური ეტაპი
15:30 კაცები. წყვილები. ჯგუფური ეტაპი
21:30 კაცები. წყვილები. ჯგუფური ეტაპი

11:30 ქალები. ერთეულები. ჯგუფური ეტაპი
15:30 ქალები. ერთეულები. ჯგუფური ეტაპი
21:30 ქალები. ერთეულები. ჯგუფური ეტაპი

11:30 ქალები. წყვილები. ჯგუფური ეტაპი
15:30 ქალები. წყვილები. ჯგუფური ეტაპი
21:30 ქალები. წყვილები. ჯგუფური ეტაპი

11:30 შერეული წყვილები. ჯგუფური ეტაპი
15:30 შერეული წყვილები. ჯგუფური ეტაპი
21:30 შერეული წყვილები. ჯგუფური ეტაპი

### კალათბურთი

12:00 ქალები. ჯგუფი A. I ტური. ჩინეთი-ჩეხეთი
14:15 ქალები. ჯგუფი B. I ტური. კანადა-რუსეთი
17:30 ქალები. ჯგუფი A. I ტური. თურქეთი-ანგოლა
19:45 ქალები. ჯგუფი A. I ტური. აშშ-ხორვატია
23:00 ქალები. ჯგუფი B. I ტური. ბრაზილია-საფრანგეთი
01:15 ქალები. ჯგუფი B. I ტური. ავსტრალია-ბრიტანეთი

### აკადემიური ნიჩბოსნობა

12:30 ქალები. ორადგილიანი (უმესაჭოდ). წინასწარი ეტაპი
12:50 ქალები. ოთხადგილიანი (წყვილმოსასმელიანი). წინასწარი ეტაპი
13:10 კაცები. რვაადგილიანი. წინასწარი ეტაპი
13:30 კაცები. ორადგილიანი (წყვილმოსასმელიანი). წინასწარი ეტაპი
14:00 კაცები (მსუბუქი წონა). ოთხადგილიანი (უმესაჭოდ). წინასწარი ეტაპი
14:30 კაცები. ოთხადგილიანი (წყვილმოსასმელიანი). წინასწარი ეტაპი
15:00 კაცები. ორადგილიანი (უმესაჭოდ). წინასწარი ეტაპი
15:30 კაცები. ერთადგილიანი. წინასწარი ეტაპი
16:20 ქალები. ერთადგილიანი. წინასწარი ეტაპი

### პლაჟის ფრენბურთი

12:00 კაცები. წინასწარი რაუნდი
17:30 კაცები. წინასწარი რაუნდი
23:00 კაცები. წინასწარი რაუნდი

12:00 ქალები. წინასწარი რაუნდი
17:30 ქალები. წინასწარი რაუნდი
23:00 ქალები. წინასწარი რაუნდი

### კრივი

16:30 კაცები. 56 კგ. 1/16 ფინალი
23:30 კაცები. 56 კგ. 1/16 ფინალი

18:00 კაცები. 75 კგ. 1/16 ფინალი
01:00 კაცები. 75 კგ. 1/16 ფინალი

### ველოსპორტი (შოსე)

13:00 კაცები. გუნდური რბოლა. ფინალი

### ცხენოსნობა

13:00 სამჭიდი. ინდივიდუალური. გაწვრთნა. I დღე
13:00 სამჭიდი. გუნდური. გაწვრთნა. I დღე

### ფარიკაობა

13:30 ქალები. რაპირა. ინდივიდუალური. 1/32 ფინალი
14:50 ქალები. რაპირა. ინდივიდუალური. 1/16 ფინალი
17:10 ქალები. რაპირა. ინდივიდუალური. 1/8 ფინალი
18:30 ქალები. რაპირა. ინდივიდუალური. 1/4 ფინალი
21:00 ქალები. რაპირა. ინდივიდუალური. 1/2 ფინალი
22:10 ქალები. რაპირა. ინდივიდუალური. მე-3 ადგილისთვის
22:40 ქალები. რაპირა. ინდივიდუალური. ფინალი

### ფეხბურთი

15:00 ქალები. ჯგუფი F. II ტური. იაპონია-შვედეთი
17:30 ქალები. ჯგუფი E. II ტური. ახ. ზელანდია-ბრაზილია
17:45 ქალები. ჯგუფი F. II ტური. კანადა-ს. აფრიკა
20:00 ქალები. ჯგუფი G. II ტური. აშშ-კოლუმბია
20:15 ქალები. ჯგუფი E. II ტური. ბრიტანეთი-კამერუნი
22:45 ქალები. ჯგუფი G. II ტური. საფრანგეთი-ჩრ. კორეა

### სპორტული ტანვარჯიში

14:00 კაცები. მრავალჭიდი. ინდივიდუალური. კვალიფიკაცია
18:30 კაცები. მრავალჭიდი. ინდივიდუალური. კვალიფიკაცია
23:00 კაცები. მრავალჭიდი. ინდივიდუალური. კვალიფიკაცია

14:00 კაცები. მრავალჭიდი. გუნდური. კვალიფიკაცია
18:30 კაცები. მრავალჭიდი. გუნდური. კვალიფიკაცია
23:00 კაცები. მრავალჭიდი. გუნდური. კვალიფიკაცია

### ხელბურთი

12:30 ქალები. ჯგუფი A. I ტური. რუსეთი-ანგოლა
14:15 ქალები. ჯგუფი B. I ტური. ესპანეთი-ს. კორეა
17:30 ქალები. ჯგუფი A. I ტური. ხორვატია-ბრაზილია
19:15 ქალები. ჯგუფი B. I ტური. დანია-შვედეთი
22:30 ქალები. ჯგუფი A. I ტური. ჩერნოგორია-ბრიტანეთი
00:15 ქალები. ჯგუფი B. I ტური. ნორვეგია-საფრანგეთი

### ძიუდო

12:30 კაცები. 60 კგ. 1/32 ფინალი
12:30 კაცები. 60 კგ. 1/16 ფინალი
12:30 კაცები. 60 კგ. 1/8 ფინალი
12:30 კაცები. 60 კგ. 1/4 ფინალი
17:00 კაცები. 60 კგ. 1/2 ფინალი
17:00 კაცები. 60 კგ. მე-3 ადგილისთვის
19:10 კაცები. 60 კგ. ფინალი

12:30 ქალები. 48 კგ. 1/32 ფინალი
12:30 ქალები. 48 კგ. 1/16 ფინალი
12:30 ქალები. 48 კგ. 1/8 ფინალი
12:30 ქალები. 48 კგ. 1/4 ფინალი
17:00 ქალები. 48 კგ. 1/2 ფინალი
17:00 ქალები. 48 კგ. მე-3 ადგილისთვის
19:00 ქალები. 48 კგ. ფინალი

### ტყვიის სროლა

11:15 ქალები. პნევმატური შაშხანა. 10 მ. კვალიფიკაცია
14:00 ქალები. პნევმატური შაშხანა. 10 მ. ფინალი

15:00 კაცები. პნევმატური პისტოლეტი. 10 მ. კვალიფიკაცია
13:30 კაცები. პნევმატური პისტოლეტი. 10 მ. ფინალი

### ცურვა

13:00 კაცები. კომპლექსური. 400 მ. წინასწარი
22:30 კაცები. კომპლექსური. 400 მ. ფინალი

13:31 ქალები. ბატერფლაი. 100 მ. წინასწარი
22:40 ქალები. ბატერფლაი. 100 მ. 1/2 ფინალი

13:58 კაცები. თავისუფალი. 400 მ. წინასწარი
22:51 კაცები. თავისუფალი. 400 მ. ფინალი

14:51 ქალები. კომპლექსური. 400 მ. წინასწარი
23:09 ქალები. კომპლექსური. 400 მ. ფინალი

15:15 კაცები. ბრასი. 100 მ. წინასწარი
23:28 კაცები. ბრასი. 100 მ. 1/2 ფინალი

15:42 ქალები. თავისუფალი. 4x100 მ. წინასწარი
23:48 ქალები. თავისუფალი. 4x100 მ. ფინალი

### მაგიდის ჩოგბურთი

12:00 ქალები. ერთეულები. წინასწარი რაუნდი
14:15 ქალები. ერთეულები. I რაუნდი
17:30 ქალები. ერთეულები. I რაუნდი
23:30 ქალები. ერთეულები. II რაუნდი

12:45 კაცები. ერთეულები. წინასწარი რაუნდი
19:00 კაცები. ერთეულები. I რაუნდი
22:00 კაცები. ერთეულები. I რაუნდი

### ჩოგბურთი

14:30 კაცები. ერთეულები. I რაუნდი
14:30 კაცები. წყვილები. I რაუნდი
14:30 ქალები. ერთეულები. I რაუნდი
14:30 ქალები. წყვილები. I რაუნდი

### ფრენბურთი

12:30 ქალები. ჯგუფი A. I ტური. ალჟირი-იაპონია
14:30 ქალები. ჯგუფი B. I ტური. ჩინეთი-სერბეთი
17:45 ქალები. ჯგუფი A. I ტური. ბრიტანეთი-რუსეთი
19:45 ქალები. ჯგუფი A. I ტური. იტალია-დომინიკის რეს.
23:00 ქალები. ჯგუფი B. I ტური. აშშ-ს. კორეა
01:00 ქალები. ჯგუფი B. I ტური. ბრაზილია-თურქეთი

### ძალოსნობა

18:30 ქალები. 48 კგ. A ჯგუფი

## 29 ივლისი. კვირა

### მშვილდოსნობა

12:00 ქალები. გუნდური. 1/8 ფინალი
18:00 ქალები. გუნდური. 1/4 ფინალი
19:40 ქალები. გუნდური. 1/2 ფინალი
20:33 ქალები. გუნდური. მე-3 ადგილისთვის
21:01 ქალები. გუნდური. ფინალი

### ბადმინტონი

11:30 კაცები. ერთეულები. ჯგუფური ეტაპი
15:30 კაცები. ერთეულები. ჯგუფური ეტაპი
21:30 კაცები. ერთეულები. ჯგუფური ეტაპი

11:30 კაცები. წყვილები. ჯგუფური ეტაპი
15:30 კაცები. წყვილები. ჯგუფური ეტაპი
21:30 კაცები. წყვილები. ჯგუფური ეტაპი

11:30 ქალები. ერთეულები. ჯგუფური ეტაპი
15:30 ქალები. ერთეულები. ჯგუფური ეტაპი
21:30 ქალები. ერთეულები. ჯგუფური ეტაპი

11:30 ქალები. წყვილები. ჯგუფური ეტაპი
15:30 ქალები. წყვილები. ჯგუფური ეტაპი
21:30 ქალები. წყვილები. ჯგუფური ეტაპი

11:30 შერეული წყვილები. ჯგუფური ეტაპი
15:30 შერეული წყვილები. ჯგუფური ეტაპი
21:30 შერეული წყვილები. ჯგუფური ეტაპი

### კალათბურთი

12:00 კაცები. ჯგუფი A. I ტური. ნიგერია-ტუნისი
14:15 კაცები. ჯგუფი B. I ტური. ბრაზილია-ავსტრალია
17:30 კაცები. ჯგუფი A. I ტური. აშშ-საფრანგეთი
19:45 კაცები. ჯგუფი B. I ტური. ესპანეთი-ჩინეთი
23:00 კაცები. ჯგუფი B. I ტური. რუსეთი-ბრიტანეთი
01:15 კაცები. ჯგუფი A. I ტური. არგენტინა-ლიტვა

### პლაჟის ფრენბურთი

12:00 კაცები. წინასწარი რაუნდი
17:30 კაცები. წინასწარი რაუნდი
23:00 კაცები. წინასწარი რაუნდი

12:00 ქალები. წინასწარი რაუნდი
17:30 ქალები. წინასწარი რაუნდი
23:00 ქალები. წინასწარი რაუნდი

### კრივი

16:30 კაცები. 60 კგ. 1/16 ფინალი
23:30 კაცები. 60 კგ. 1/16 ფინალი

18:00 კაცები. 69 კგ. 1/16 ფინალი
01:00 კაცები. 69 კგ. 1/16 ფინალი

### ნიჩბოსნური სლალომი

16:30 კაცები. ერთადგილიანი კანოე. კვალიფიკაცია
17:24 კაცები. ერთადგილიანი ბაიდარა. კვალიფიკაცია

### ველოსპორტი (შოსე)

15:00 ქალები. გუნდური რბოლა. ფინალი

### წყალში ხტომა

18:00 ქალები. სინქრონული ხტომები. 3 მ. ფინალი

### ცხენოსნობა

13:00 სამჭიდი. ინდივიდუალური. გაწვრთნა. II დღე
13:00 სამჭიდი. გუნდური. გაწვრთნა. II დღე

### ფარიკაობა

13:30 კაცები. ხმალი. ინდივიდუალური. 1/32 ფინალი
14:30 კაცები. ხმალი. ინდივიდუალური. 1/16 ფინალი
16:10 კაცები. ხმალი. ინდივიდუალური. 1/8 ფინალი
17:10 კაცები. ხმალი. ინდივიდუალური. 1/4 ფინალი
21:00 კაცები. ხმალი. ინდივიდუალური. 1/2 ფინალი
21:50 კაცები. ხმალი. ინდივიდუალური. მე-3 ადგილისთვის
22:10 კაცები. ხმალი. ინდივიდუალური. ფინალი

### ფეხბურთი

15:00 კაცები. ჯგუფი C. II ტური. ეგვიპტე-ახ. ზელანდია
17:30 კაცები. ჯგუფი B. II ტური. მექსიკა-გაბონი
18:00 კაცები. ჯგუფი C. II ტური. ბრაზილია-ბელარუსი
20:00 კაცები. ჯგუფი D. II ტური. იაპონია-მაროკო
20:00 კაცები. ჯგუფი A. II ტური. სენეგალი-ურუგვაი
20:15 კაცები. ჯგუფი B. II ტური. ს. კორეა-შვეიცარია
22:45 კაცები. ჯგუფი D. II ტური. ესპანეთი-ჰონდურასი
22:45 კაცები. ჯგუფი A. II ტური. ბრიტანეთი-საემიროები

### სპორტული ტანვარჯიში

12:00 ქალები. მრავალჭიდი. ინდივიდუალური. კვალიფიკაცია
14:15 ქალები. მრავალჭიდი. ინდივიდუალური. კვალიფიკაცია
17:45 ქალები. მრავალჭიდი. ინდივიდუალური. კვალიფიკაცია
19:30 ქალები. მრავალჭიდი. ინდივიდუალური. კვალიფიკაცია
23:00 ქალები. მრავალჭიდი. ინდივიდუალური. კვალიფიკაცია

12:00 ქალები. მრავალჭიდი. გუნდური. კვალიფიკაცია
14:15 ქალები. მრავალჭიდი. გუნდური. კვალიფიკაცია
17:45 ქალები. მრავალჭიდი. გუნდური. კვალიფიკაცია
19:30 ქალები. მრავალჭიდი. გუნდური. კვალიფიკაცია
23:00 ქალები. მრავალჭიდი. გუნდური. კვალიფიკაცია

### ხელბურთი

12:30 კაცები. ჯგუფი A. I ტური. ისლანდია-არგენტინა
14:15 კაცები. ჯგუფი B. I ტური. ხორვატია-ს. კორეა
17:30 კაცები. ჯგუფი A. I ტური. შვედეთი-ტუნისი
19:15 კაცები. ჯგუფი B. I ტური. ესპანეთი-სერბეთი
22:30 კაცები. ჯგუფი A. I ტური. საფრანგეთი-ბრიტანეთი
00:15 კაცები. ჯგუფი B. I ტური. უნგრეთი-დანია

### ბალახის ჰოკეი

11:30 ქალები. ჯგუფი B. I ტური. ზელანდია-ავსტრალია
13:45 ქალები. ჯგუფი A. I ტური. ჰოლანდია-ბელგია
16:45 ქალები. ჯგუფი A. I ტური. ჩინეთი-კორეა
19:00 ქალები. ჯგუფი B. I ტური. არგენტინა-ს. აფრიკა
22:00 ქალები. ჯგუფი A. I ტური. ბრიტანეთი-იაპონია
00:15 ქალები. ჯგუფი B. I ტური. გერმანია-აშშ

### ძიუდო

12:30 კაცები. 66 კგ. 1/32 ფინალი
12:30 კაცები. 66 კგ. 1/16 ფინალი
12:30 კაცები. 66 კგ. 1/8 ფინალი
12:30 კაცები. 66 კგ. 1/4 ფინალი
17:00 კაცები. 66 კგ. 1/2 ფინალი
17:00 კაცები. 66 კგ. მე-3 ადგილისთვის
19:10 კაცები. 66 კგ. ფინალი

12:30 ქალები. 52 კგ. 1/32 ფინალი
12:30 ქალები. 52 კგ. 1/16 ფინალი
12:30 ქალები. 52 კგ. 1/8 ფინალი
12:30 ქალები. 52 კგ. 1/4 ფინალი
17:00 ქალები. 52 კგ. 1/2 ფინალი
17:00 ქალები. 52 კგ. მე-3 ადგილისთვის
19:00 ქალები. 52 კგ. ფინალი

### აკადემიური ნიჩბოსნობა

12:30 კაცები. ორადგილიანი (წყვილმოსასმელიანი). მანუგეშებელი ეტაპი
12:40 კაცები (მსუბუქი წონა). ოთხადგილიანი (უმესაჭოდ). მანუგეშებელი ეტაპი
12:50 კაცები. ერთადგილიანი. მანუგეშებელი ეტაპი
13:10 ქალები. ერთადგილიანი. წინასწარი ეტაპი
13:20 ქალები (მსუბუქი წონა). ორადგილიანი. წინასწარი ეტაპი
13:50 კაცები (მსუბუქი წონა). ორადგილიანი. წინასწარი ეტაპი
14:30 კაცები. რვაადგილიანი. წინასწარი ეტაპი

### ტყვიის სროლა

12:00 ქალები. პნევმატური პისტოლეტი. 10 მ. კვალიფიკაცია
14:45 ქალები. პნევმატური პისტოლეტი. 10 მ. ფინალი
12:00 ქალები. სკიტი. კვალიფიკაცია
17:00 ქალები. სკიტი. ფინალი

### ცურვა

13:00 ქალები. გულაღმა. 100 მ. წინასწარი
23:45 ქალები. გულაღმა. 100 მ. 1/2 ფინალი

13:24 კაცები. თავისუფალი. 200 მ. წინასწარი
22:36 კაცები. თავისუფალი. 200 მ. 1/2 ფინალი

14:13 ქალები. ბრასი. 100 მ. წინასწარი
22:47 ქალები. ბრასი. 100 მ. 1/2 ფინალი

14:38 კაცები. გულაღმა. 100 მ. წინასწარი
23:24 კაცები. გულაღმა. 100 მ. 1/2 ფინალი

15:10 ქალები. თავისუფალი. 400 მ. წინასწარი
23:13 ქალები. თავისუფალი. 400 მ. ფინალი

15:41 კაცები. თავისუფალი. 4x100 მ. წინასწარი
23:55 კაცები. თავისუფალი. 4x100 მ. ფინალი

22:30 ქალები. ბატერფლაი. 100 მ. ფინალი

23:07 კაცები. ბრასი. 100 მ. ფინალი

### მაგიდის ჩოგბურთი

12:00 ქალები. ერთეულები. II რაუნდი
21:00 ქალები. ერთეულები. III რაუნდი

14:00 კაცები. ერთეულები. II რაუნდი
16:30 კაცები. ერთეულები. II რაუნდი

### აფროსნობა

15:00 კაცები. ფინი. I და II რბოლა
15:00 კაცები. ვარსკვლავი. I და II რბოლა
15:00 ქალები. ელიოტი. წინასწარი რაუნდი

### ჩოგბურთი

14:30 კაცები. ერთეულები. I რაუნდი
14:30 კაცები. წყვილები. I რაუნდი
14:30 ქალები. ერთეულები. I რაუნდი
14:30 ქალები. წყვილები. I რაუნდი

### ფრენბურთი

12:30 კაცები. ჯგუფი A. I ტური. ბრიტანეთი-ბულგარეთი
14:30 კაცები. ჯგუფი B. I ტური. რუსეთი-გერმანია
17:45 კაცები. ჯგუფი A. I ტური. ავსტრალია-არგენტინა
19:45 კაცები. ჯგუფი B. I ტური. აშშ-სერბეთი
23:00 კაცები. ჯგუფი A. I ტური. იტალია-პოლონეთი
01:00 კაცები. ჯგუფი B. I ტური. ბრაზილია-ტუნისი

### წყალბურთი

13:00 კაცები. ჯგუფი A. I ტური. საბერძნეთი-ხორვატია
14:20 კაცები. ჯგუფი A. I ტური. ყაზახეთი-ესპანეთი
17:10 კაცები. ჯგუფი A. I ტური. იტალია-ავსტრალია
18:30 კაცები. ჯგუფი B. I ტური. უნგრეთი-სერბეთი
21:20 კაცები. ჯგუფი B. I ტური. რუმინეთი-ბრიტანეთი
22:40 კაცები. ჯგუფი B. I ტური. ჩერნოგორია-აშშ

### ძალოსნობა

13:00 კაცები. 56 კგ. ჯგუფი B
22:00 კაცები. 56 კგ. ჯგუფი A

15:30 ქალები. 53 კგ. ჯგუფი B
18:30 ქალები. 53 კგ. ჯგუფი A

## მშვილდოსნობა
london 2012

# ბრმა კორეელის ორი რეკორდი



დონ-ჰიუნ იმი

ლონდონის ოლიმპიადა ოფიციალურად დაწყებული არ იყო, როცა თამაშებზე უკვე ორი რეკორდი დაამყარა. ერთის ავტორი და მეორეს თანაავტორი გახდა სამხრეთ კორეის ნაკრების წევრი **დონ-ჰიუნ იმი**.

დაუჯერებელია, მაგრამ სპორტსმენმა, რომელიც ოფიციალურად ბრმად (!) არის მიჩნეული, 699 ქულა დააგროვა, რაც მისსავე რეკორდზე სამი ქულით უკეთესი შედეგია.

სინამდვილეში, სამხრეთკორეელი ბოლომდე ბრმა არ არის: ერთ თვალში ის 20 პროცენტით ხედავს, მეორეში 10-ით. მას სამიზნის გარჩევა მხოლოდ ფერების მიხედვით შეუძლია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის სასწაულის მოხდენაში.

მსოფლიოს რეკორდსმენს მხარი მისმა თანაგუნდელებმა აუბეს და კორეელებმა გუნდურ პირველობაშიც მსოფლიოს რეკორდი დაამყარეს - 2087 ქულა დააგროვეს.

წინასწარი რაუნდის მიხედვით, ორგანიზატორები ადგენენ სატურნირო ბადეს და ორშაბათს მშვილდოსნობაში ტურნირი 1/32 ფინალით განახლდება.

### პირადი

1. **დონ-ჰიუნ იმი** (ს. კორ) - 699 ქულა (მსოფლიოს რეკორდი); 2. **ბუბმინ კიმი** (კ. კორ) - 698; 3. **იინ-ჰიეკ ოჰი** (ს. კორ)- 690; 4. **ლარი გოდფრი** (ბრიტ) - 680; 5. **ტაკაჰარუ ფურუკავა** (იაპ) - 679; 6. **გაელ პრევოსი** (საფ) - 679...

### გუნდური

1. **სამხრეთ კორეა** - 2087 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **საფრანგეთი** - 2021; 3. **ჩინეთი** - 2019; 4. **აშშ** - 2019; 5. **იაპონია** - 2009; 6. **იტალია** - 1998...

■ ■ ■

გუშინდელ საკვალიფიკაციოზე ასობით ყალბი ბილეთი გაიყიდა. შესარჩევი ტურნირი მაყურებლების გარეშე უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ინტერნეტით მოასწრეს ყალბი ბილეთების რეალიზაცია, რის შემდეგაც მათი მყიდველები აღშფოთებას ვერ მალავდნენ იმის გამო, რომ შეჯიბრებაზე არ შეუშვეს.

## ამბები
london 2012

# გიგანტი გაზეთი გინესის წიგნში

ოლიმპიადის გახსნამდე ერთი დღით ადრე, ცნობილმა ფრანგულმა სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა“ თავისი მკითხველების გახარება და გაოცება გადაწყვიტა - ბოლო ნომერი არაჩვეულებრივად დიდი ზომისა იყო. თითო ეგზემპლარი სიგანეში 56, სიგრძეში კი 80 სანტიმეტრი იყო. „ეკიპის“ ჩვეულებრივი ეგზემპლარი ორჯერ ნაკლები ზომისაა. შესაბამისად, გიგანტური ზომების წყალობით, ეს გაზეთი ყველაზე დიდია სპორტული პრესის ისტორიაში, რის გამოც ის გინესის რეკორდების წიგნში შევა.

სარეკორდო ნომერშია მასალები **უსაინ ბოლტზე, კარლ ლუისზე, მაიკლ ფელპსზე, კობი ბრაიანტზე**... აქვეა ინტერვიუ **ზინედინ ზიდანთან**. ბოლო გვერდზე დაბეჭდილია ფრანგი ძიუდოისტის **რინერის** პოსტერი ერთი ერთზე მასშტაბით. არადა, ამ სპორტსმენის სიმაღლე 203 სანტიმეტრია.

*„თუ თქვენ ახლა მეტროში. მატარებელში ან თვითმფრინავში ხართ, ბოდიში მოუხადეთ თქვენს მეზობლებს“*, - აფრთხილებს გამოცემა მკითხველს პირველ გვერდზე.

სარეკორდო ნომერი 400 ათასი ტირაჟით გამოვიდა, ფასი კი ჩვეულებრივი იყო - 1 ევრო.



გიგანტური ეკიპის გარეკანი

### მთავარი ფანები ჩინელები არიან

ერთ-ერთი ბრიტანული კვლევითი კომპანიის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ყველაზე ყურადღებით დამდეგ ოლიმპიურ თამაშებს ჩინეთის მოსახლეობა მიადევნებს თვალს. გამოკითხვა ინტერნეტის მეშვეობით 24 ქვეყანაში ჩატარდა.

ოლიმპიადის მიმართ ყველაზე დიდი ინტერესი ჩინეთში შეინიშნება - ზაფხულის თამაშების ყურებას ქვეყნის მოსახლეობის 92 პროცენტი აპირებს.

მეორე ადგილზეა - ლათინური ამერიკა (81 პროცენტი). ევროპელებს თამაშები ნაკლებად აინტერესებთ - 62 პროცენტი. დაახლოებით ასეთივე მაჩვენებელია უშუალოდ თამაშების მასპინძლის - ბრიტანეთის ტერიტორიაზე.

ამავდროულად, ბრიტანელთა მეოთხედმა (25 პროცენტი) უპასუხა, რომ არ აპირებს ოლიმპიადის ყურებას. ბრიტანელებზე ნაკლებად ოლიმპიადა მხოლოდ საფრანგეთის, გერმანიისა და ბელგიის მოსახლეობას აინტერესებს.

მაყურებლებს შორის ყველაზე პოპულარული სახეობებია - მძლეოსნობა და ფეხბურთი (20 პროცენტი). შემდეგ მოდიან: ცურვა (16), ტანვარჯიში (14) და ფრენბურთი (5).

### ლონდონს მსვერპლიც ჰყავს

73 წლის თურქი რეფერი **გარიპ ერქუიუმჩე**, რომელიც ოლიმპიადაზე საკრივო ორთაბრძოლებს უნდა მომსახურებოდა, ლონდონის ერთ-ერთი სასტუმროს ნომერში გარდაცვლილი იპოვეს. წინასწარი ვერსიით, სიკვდილის მიზეზად გულის შეტევა დასახელდა.

ერქუიუმჩე სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის მსაჯთა კომისიის წევრი იყო და თამაშებზე დამხმარე არბიტრად უნდა ემუშავა.

### როგე დოპინგთან ბრძოლას აქებს

ლონდონში გამართულ პრესკონფერენციაზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** განაცხადა, რომ ოლიმპიადამდე ბოლო ორი თვის განმავლობაში, მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ 70 დადებითი შედეგის დოპინგ-სინჯი აიღო.

*„ეს რიცხვი იმაზე ლაპარაკობს, რომ დოპინგთან ბრძოლა სწორი მიმართულებით მიდის და საკმაოდ წარმატებულია“*, - ამბობს როგე.

### ოქრო ოქროს სანაცვლოდ

ის ინდოელი სპორტსმენი, რომელიც ლონდონის ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მოპოვებას შეძლებს, ჯილდოს სახით 5 კილოგრამ ოქროს მიიღებს. მეორე ადგილზე გასულ სპორტსმენს სამი კილოგრამი ვერცხლი ერგება, მესამეადგილოსანს - ორი კილოგრამი ბრინჯაო.

ოთხი წლის წინ, პეკინის თამაშებზე ინდოელებმა სამი მედალი მოიპოვეს - ოქრო ტყვიის სროლაში და თითო ბრინჯაო ჭიდაობასა და კრივში.

### გასოლს ოლიმპიადაზე არ უშვებდნენ

უცნაური ისტორია შეემთხვა ესპანეთის საკალათბურთო ნაკრების ლიდერს **პაუ გასოლს**. „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ფორვარდი ორი დღის წინ ჩავიდა ლონდონში და „ჰითროუს“ აეროპორტში მოულოდნელ სირთულეებს წააწყდა.

როგორც გაირკვა, გაუგებრობას ჰქონდა ადგილი გასოლის, როგორც ოლიმპიადის მონაწილის აკრედიტაციასთან დაკავშირებით. შეცდომა დოკუმენტებში ოპერატიულად გასწორდა, თუმცა გახსნის ცერემონიაზე ესპანეთის ოლიმპიური ნაკრების მედროშეს გვარიანმა ნერვიულობამ მოუწია.

### ბერძნების კიდევ ერთი დანაკლისი

ოლიმპიადის მონაწილეთა რიცხვი ერთი სპორტსმენით შემცირდა. სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიოს 2012 წლის ჩემპიონი, ბერძენი **დიმიტრიოს ჰონდროკუკისი** დოპინგზე ჩავარდა.

*„დიმიტრისის დოპინგ-სინჯმა სტეროიდ სტენაზოლოლზე დადებითი შედეგი აჩვენა*, - განაცხადა სპორტსმენის მამამ და მწვრთნელმა **კირიაკოს ჰონდროკუკისმა**. - *მაგრამ ეს შეუძლებელია. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ვაჟს აკრძალული პრეპარატი არ მიუღია. ასე რომ იყოს, მე აუცილებლად მეცოდინებოდა. ამიტომაც მოვითხოვეთ „B სინჯის“ გახსნა“*.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## უცხოური სპორტი

### ცხელი ხაზი

#### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ტიგრუ-ჰაპოელი (ა) | 2:2 |
| არსენალი-მანჩესტერ სიტი | 0:2 |
| კრაკოვია-პოდბესკიძე | 2:1 |
| სიენა-არისი | 1:0 |
| ჰელმონდი-ვოლენდამი | 3:1 |
| ინგოლშტადტი-ნიურნბერგი | 2:2 |
| ფიორენტინა-ვერონა | 0:0 |
| მაგდებურგი-შალკე | 0:5 |
| ამიენი-პარიზი | 7:0 |
| დენ ბოში-როსი | 2:1 |
| უტრეხტი-რ. ვალეკანო | 0:1 |
| ლილი-ბილბაო | 3:1 |
| ცვოლე-ალმერი | 0:1 |
| ვესტერლო-მაასტრიხტი | 2:1 |
| ბენფიკა-რეალი | 5:2 |
| ომონია-ვილემი | 1:1 |
| კარლაილი-სტ. მირენი | 1:0 |
| დინამო (დრ)-ვესტ ჰემი | 3:0 |
| ჰარტლპული-სანდერლენდი | 1:0 |
| ოლანენსე-რედინგი | 1:1 |
| ნიუკასლი-ოლიმპიაკოსი | 1:1 პენ. 4:4 |

**საფრანგეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანჟერსი-სედანი | 1:0 |
| ოსერი-ნიმი | 2:0 |
| შატორუ-ლავალი | 1:1 |
| დიჟონი-გინგამი | 1:0 |
| გფკო აიაჩო-კაენი | 0:0 |
| ჰავრი-არლი | 1:2 |
| ნანტი-ისტრი | 1:1 |
| ნიორი-კლერმონი | 1:1 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ჰორსენსი-მიდტიულანდი | 2:2 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სტრიომსგოდ.-ფრედრიკსტადი | 5:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ატვიდაბერგი-ერებრო | 1:1 |

**ავსტრია — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალტახი-გრიოდიგი | 0:1 |
| ლუშტენაუ-სტ. პოლტენი | 1:1 |
| კაპფენბერგი-ჰორნი | 3:3 |
| ვენა-ბრაუ ვაისი | 0:0 |
| ჰარტბერგი-ოუსტრია (ლ) | 0:1 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-დანდალკი | 2:1 |
| კორკი-შელბურნი | 0:0 |
| დერი-შემროკი | 0:1 |
| დროგედა-უნივერსიტი | 1:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეთლონი-ლიმერიკი | 0:1 |
| გალვეი-ლონგფორდი | 1:3 |
| უოტერფორდი-ფინ ჰარპსი | 1:1 |
| უექსფორდი-მერვუ | 1:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| იაბლონეცი-ბანიკი | 2:0 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ყუბანი-მორდოვია | 1:0 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| დინამო-გოვერლა | 3:1 |

**ხორვატია**

| | |
|---|---|
| ინტერი-ლოკომოტივა | 0:1 |
| რიეკა-ზადარი | 0:0 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| ჰალადაში-ეგრი | 4:2 |
| დიოშდიორი-უიპეშტი | 2:1 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ბრაშოვი-ტურნუ | 2:1 |
| ჩახლაული-კლუჟი | 2:2 |

**ლატვია**

| | |
|---|---|
| გულბენე-იეგლავა | 0:1 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| ბანგა-ვილნიუსი | 2:1 |

#### ჩოგბურთი

**ATP. კიტცბუელი**

| | |
|---|---|
| კოლშრაიბერი-ვოლანდრი | 6:7, 6:2, 6:2 |
| ჰაასე-კლიჟანი | 6:3, 6:3 |

**ATP. ლოს ანჯელესი**

| | |
|---|---|
| მაუ-ბერანკისი | 4:6, 4:6 |

**WTA. ბაკუ**

| | |
|---|---|
| იოვანოვსკი-პანოვა | 6:2, 6:2 |
| კოენი-პუჩკოვა | 3:6, 6:0, 6:3 |

### TV პროგრამა

#### 28 ივლისი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ბორუსია (მ).
11:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. რომა-უდინეზე.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-მარსელი.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-აიაქსი.
20:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ხეტაფე.
22:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ვიტესი.
23:30 იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ სიტი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ალკმაარი.
12:15 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ბოსტონი-ნიუ იორკი.
14:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
15:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
16:00 რაგბი. ევროპის სუპერლიგა. გლაზგო უორიორზი-ბეთი.
18:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ბარსელონა.
20:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ფეიენოორდი.
22:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
22:45 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ბოსტონი-ნიუ იორკი.
00:40 NBA ACTION.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. მონრეალი. კანადა.
13:00 რაგბი. ჰაეინეკენის თასი. არლეკინსი-ტულუზა.
15:00 კალათბურთი. ევროლიგა. ბილბაო-მონტეპასკი.
17:00 NBA ACTION.
17:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბილბაო.
19:30 კალათბურთი. ევროლიგა. კანტუ-ბარსელონა.
21:40 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. მონრეალი. კანადა.

#### 29 ივლისი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ვიტესი.
11:30 იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
12:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
12:30 ტელეჟურნალი – FOOTBALL MUNDIAL
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-ინტერი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-პსჟ.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ჰერენვეენი.
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. უიგანი-მანჩესტერ იუნ.
22:00 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ლივერპული.
23:30 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სპორტინგი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ნაპოლი.
12:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. სან ანტონიო-ოკლაჰომა.
14:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ბორუსია (მ).
16:00 რაგბი. ევროპის სუპერლიგა. ტულუზა-გლოსტერი.
18:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰერტა.
20:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ვიტესი.
21:45 NBA ACTION.
22:15 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. სან ანტონიო-ოკლაჰომა.
00:20 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. მონრეალი. კანადა.
13:15 რაგბი. ჰაინეკენის თასი. კონახტი-გლოსტერი.
15:15 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. მონრეალი. კანადა.
17:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ნოვარა.
19:30 კალათბურთი. ევროლიგა. უნიქსი-პანათინაიკოსი.
21:30 ჩოგბურთი. ATP
-ის ტური. მონრეალი. კანადა.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 21 | 34 | (მზე) |
| ქუთაისი | 28 | 39 | (მზე) |
| ბათუმი | 26 | 32 | (მზე) |
| ფოთი | 24 | 36 | (მზე) |
| ზუგდიდი | 25 | 36 | (მზე) |
| გორი | 20 | 35 | (მზე) |
| თელავი | 20 | 32 | (მზე) |
| სიღნაღი | 19 | 31 | (მზე) |
| ძოწულეთი | 24 | 35 | (მზე) |
| ბაკურიანი | 14 | 30 | (მზე) |
| ბორჯომი | 16 | 36 | (მზე) |
| მესტია | 18 | 33 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0298 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6617 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5873 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0937 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



















დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლე-ლო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:45

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608